

8 (05)  
-403

ეკ-ეკონს

8 (05)

თ ვ ი უ რ ი

3.403

# საქართველო

წელიწადი მეორე

№ VI

ივნისი, 1899

P-26090



ქუთაისი  
ლამბაშიძის სტამბა \* Типография Панбанидзе  
1899

*Дозволено Цензурою, Тифлисъ, 21 Мая 1899 г.*

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

### ზირველა განყოფილება.

		გვ.
I	მგოსანი. ლექსი აკაკის . . . . .	1—2
II	ჩვენი ბანკუბია. მისაგე. . . . .	3—26
III	ბანსადელი მფე ვარკლე მორკა- ზედ (ამბავი). ა. ლა—ძისა . . . . .	27—32
IV	კრიტიკული წერილები: წერ. II სამი კოეტი. ვ. წ.-სა . . . . .	33—63
V	საქართველოს დედა-ქალაქი ტფილი- ნი, (გაგრძ.) მ. ჭანაშვილის . . . . .	64—80
VI	ევროპის მებაგრეუმობა. ს. ქვარაძის . . . . .	81—96
VII	არქეოლოგიური უზრცლები. ვინმე მესხისა. (დასასრული) . . . . .	97—115

### შეორე განყოფილება.

I	მასალები ქრისტიანობის დაცემის და ისლამის სარწმუნოების გაერცელების ისტორიისა დასავლეთ საქართველოში. (გაგრძელება) ზ. ჭ.-სა.. . . . .	1—24
II	მბელ-კაცა (ზღაბ.) ჩაწერილი „ქართული ოსებში“-ს მიერ. . . . .	24—45

იმ პირთა სია, რომელთაც ეზავნებათ 1899  
წლის „ქართული“.

## მ გ ო ს ა ნ ი.

(ზოგიერთების საპასუხოდ)

შეჰვედრა უფალს მგოსანმა—მეფემ:  
«ღმერთო ძლიერო, შემიწყალეო!  
ჩემთანა გული წმინდა დაჰბადე  
და სული წრფელი განმიახლეო!...»

უსმინა ზეცით საყოველთაოდ  
და აუმაღლა მგოსანთა გული...  
საერო განძად, საშვილიშვილოდ  
ჩასდვა სიმართლე და სიყვარული...

მოსეს მახვილად, არონის კვერთხად,  
ხელთ მისცა რჩეულთ უმანკო ქნარი,  
და უსუპის წილ სიმებს ასხურა  
შეზავებული თაფლ-ნაღველ-ძმარი.

ხმა უცნაური, ხმა საამური  
გაისმა ქვეყნად მარად და მარად,  
ზოგისთვის ის ხმა თაფლ-მაღამოა,  
ზოგს გულზედ ხვდება ის ნაღველ-ძმარად.

ერთი მღვდვარებს და მეორეცა,  
ორივე სწორად მოხიბლულია,  
და თვით მგოსანიც ერთის საქები,  
ათასისათვის წყეულ-კრულია.

მაგრამ მგოსანი ჰტიქრობს: «ამ ქვეყნად  
ყოველი ზრახვა არის ამაო,  
სულს შემუსვრილს და გულს დამდაბლებულს  
ნუ შეურაცხყოფ შენ-კი მამაო!»

ამბობს და ჩანგის სულის ჩამდგმელი  
ცა და ქვეყანას ესაღბუნება!...  
ზევსური მისი უტყუარია  
და მრავალ-ფერი ვით თვით ბუნება!...

აკაკი.



## ჩვენი ბანკოპია.

შ ა ც ლ ნ ე შ თ !

დღევანდელი თანაგრძნობა მიმტკიცებს, რომ ჩემზე გული არ გაგვრილებიათ, მაგრამ, მაინც, სანამ ამ ახალ ჯილდოს მივიღებდე თქვენგან, ნება მიბოძეთ ძველისათვის გადაგიხადოთ მადლობა!..

სხვა ღონის-ძიება არა მაქვს-რა და მხოლოდ მარტო გულით შემიძლია გადახდა და ეს გადასახადი ჩემი გულწრფელი აღსარება იქნება თქვენ წინაშე: 1884 წელში ჩემის მხრით მოულოდნელად საზოგადო კრებამ ერთპირად და ერთხმად დამინიშნა სიკვდილამდე პენსია.

უღირსად ჩავითვალე ჩემი თავი ამ მოწყალებისა და ორგზის უარი განვაცხადე, მაგრამ, როდესაც კრებამ მისაყვედურა: «მაგას დაწუნებად მივიღებთო!», მეც დავმორჩილდი და ვიტვირთე ის პენსია, რომ მითი საზოგადოებისათვის გამეწია ხოლმე სამსახური. ეს კრების დადგინება მეორედაც დამტკიცდა, მაგრამ ამოდენი ხნის განმავლობაში სისრულეში არ მოყვანილა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მე ვიღებდი პენსიას და ამ «უსახრაო სახელმა» ბევრი უსიამოვნება შემახვედრა. სხვა და სხვა უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას გარდა მატერიალურადაც დამსაჯა: ყოველ წლობით ჩამოვდიოდი ქუთაისში იმ დანაპირების მისაღებად; ბანკის მმართველები მპირდებო-

დენ, მაცდევინებდენ რამდენიმე ხანს, უბრალო. ხარჯს მაწვევებდენ და მერე, პირში ჩალა-გამოვლებულს, მისტუმრებდენ უკანვე. მიზეზადაც იმას მეუბნებოდენ, რომ სხვებს მივეციოთ და შენთვის აღარ დარჩაო. ეს ასე ხდებოდა ყოველთვის შიგ ბანკში და ბანკის გარეშე კი ყველას ეგონა, რომ კრების განაჩენი ჩემ შესახებ სისრულეში მრდიოდა. რა უნდა მექმნა? საჩივრის შეტანა მეუკადრისებოდა, და ვიყავი ჩემთვის გაჩუმებული. ბოლოს სულ გადავიგდე გულიდან და მოვისვენე. ჩემდა-თავად.. მე კი მოვისვენე, მაგრამ სხვებმა აღარ მომასვენეს და ვიმეორებ, რომ მაგ მატყუარა — პენსიის გადამკიდევობით ბევრი უსიამოვნება გამოვიარე. დიახ, ბევრი!.. მაგრამ არც ერთი მათგანი ასე გულ-გამჩეთქი არ ყოფილა, როგორც დღევანდელი!.. აი საქმე რაშია: დღეს, როგორც ხედავთ, საბანკო არჩევნების გამო დიდი მოძრაობაა; კრება ორმხარედ არის გაყოფილი, შეხლა-შემოხლაა, ყველა მხურვალე მონაწილეობას იღებს; იბრძვიან სიტყვითაცა და საქმითაც და ამისთანა დროს მე კი დაწყნარებული და გაჩუმებული ვარ! და ცხარედ, მღელვარებით, ვერ ვლაპარაკობ! ორივე მხარეს ეხიმება ეს და მიზეზს თავისებურადა. ხსნის; ერთი ამბობს: «მიტომ არ იღებს ხმას, რომ გულდაწყვეტილია ბანკის გამგეობაზე პენციის მოუცემლობისათვისო». მეორეს ჰგონია: «ენათრება გამგეობისა, რომ სამერპისოდ მაინც აღარ დაუკავონ მისი საწილალოო». ეს ორივე მოსაზრება მეტად წვრილმანია და პირდაპირ ჩემი შეურაცხყოფელი!.. ჩემი თავ-დაჭერისა და სიჩუმის მიზეზი სულ სხვა რამ არის და აი კიდევაც მოგახსენებთ: შარშან ამ დროს ავად გავხდი. სიკვდილის პირად ვიყავი მიგდებული. საზოგადოებამ ისეთი თანაგრძნობა გამოამიცხადა, რომლისაც ღირსი მე არ ვყო-

ფილვარ. შინაურსა და გარეშეს, მახლობელს თუ შორეულს ყველას უნდოდა ჩემი ამბავი შეეტყო. მოდიოდნენ მნახველები, გზავნიდენ წერილებს, დეპეშებს, სვამდნენ ჩემ სალღეგრძელოს, პარაკლისსაც კი იხდიდენ. ამან ყოველივემ ისე ამაფრთოვანა, რომ, ისედაც წვიპზე დაკიდებული სული, ცამდე ამიფრინა. მაგრამ სხეულს-კი შველა არ მოსცემია!.. და თუ ბატ. თოფურია არ გამჩენოდა ჭირისუფლად, ცუდათ იყო ჩემი საქმე. ისე მომიარეს მის საავადმყოფოში, რომ სწორედ ხელიდან გამოგლიჯეს სიკვდილს ჩემი თავი.

დიდხანს ვიავადმყოფე და ბოლოს რომ მოვჯობინდი, ექიმებმა მირჩიეს სამზღვარ-გარედ წასვლა. ბატ. თოფურიამ მითხრა: საქირო არის, რომ სამზღვარ გარედ გახვიდე. ვიცი, რომ ამისი საშუალება პირადად შენ არა გაქვს. ამ ჟამად რომ მეცა და ჩემი საავადმყოფოც ხელმოკლედ არ ვიყოთ, მე თვითონ წაგიყვანდი. შემდეგისათვის, იმედია, მოვახერხებ, მაგრამ ეს ცოტა დაგვიანებული იქნება და შენ კი უთუოდ მალე უნდა მიეშველო შენს თავს. ერთი რამ მოვისახრე: ითხოვე, რომ ბანკმა შენი პენსიიდან წინდაწინ რამდენიმე წლის მოგცესო. ამის პასუხად მე ვუთხარი, რომ, არა თუ წინდაწინ, სულაც არ მაძლევენ შეთქი. გაიკვირვა და სთქვა: აქ რალაც გაუგებარი საქმეაო, და ახლავე შევიტყობო. მართლადაც, იმ სალამოსვე მოვიდა და მითხრა: ვნახე ბანკის მმართველები და დიდი თანამგრძნობი არიან შენიო. ხვალ სადარბაზოდ შეიყრებიან ერთად გამგეობა და მმართველობა, და რაც არ მიგიღია, გადაგიწყვეტენ, რომ ახლა მიიღოო. მე, როგორც ამისთანა შემთხვევაში გამოცდილმა, ექვი შევიტანე და კიდევ გამართლდა ჩემი ექვა: არა თუ მეორე დღეს, კვირაები გარბოდნენ და კრება არ შესდგა!.. ხან ერთი



წვერი დააკლდებოდა ხოლმე და ხან მეორე<sup>1)</sup>). საქმე უსა-  
შველო შეიქმნა. ეს ბ. ორფურიაშვილს დაინახა და მის გაკ-  
ვირვებას საზღვარი აღარა ჰქონდა. მეტი ღონე რომ აღა-  
რა დამრჩა რა, შევიტანე ბანკში გირაოდ ის მცირეო-  
დენი მამული, მამა-პაპის ნაშთი სამარხი და ვითხოვე სეს-  
ხი. ღმერთმა უშველოს, ბანკი დიდის სისწრაფითა და  
გულს-მოდგინებით დამეხმარა. გამოვიტანე ფული, მაგ-  
რამ იმდენი აღარ დამრჩა, რომ საავადმყოფოც გამეს-  
ტუმრებია და სამზღვარს გარედაც წასულვიყავი. უნდა  
სხვა საშუალება გამომენახა.

ხელახლა ვითხოვე, რომ ბანკის მმართველებს მოეხ-  
დინათ კრება და რადგანაც ფულის მოკცემა ეძნელებოდათ,  
უარი ეთქვათ და იმ განჩინების პირი ჩემთვის მოეცათ.  
მიტომ კი არა, რომ მერე, იმ საბუთის ძალთ საჩივარი  
გამეცხადებია!. არა,—მხოლოდ იმ განზრახვით, რომ კერ-  
ძოდ საიდგანზე გამეშართა ხელი. როდესაც დარწმუნ-  
დებოდენ, რომ ბანკიდან არას ვიღებ, მე დარწმუნე-  
ბული ვიყავი, რომ უფრო მეტს თანაგრძნობას გამომი-  
ცხადებდენ კერძოდ სადმე. ამაზედაც უარი მითხრეს და  
ველარსად წავედი. დავრჩი ასე სანახევროდ დასწეულე-  
ბული. ამ თავგადასავლის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ  
თუ მე თვითონვე არ ვეცადე და არ გაეუბრთხილდი ჩემს  
თავს, სხვა გარეშე ჰირის-უფალი და ხელის შემწყობი  
არავინ მეყოლება!—დეპეშები, წერილები და სად-  
ღეგრძელოები მეტიც მომივა, მაგრამ წამლის ფასი  
კი არ მექნება, მით უფრო რომ უკანასკნელი მამულიც

<sup>1)</sup> ამისთანა დროს გამოგვიჩინდენ შუა-კაცები, ადვოკატობას კის-  
რულობდენ და ითხოვდენ მხოლოდ მის ნახევარს, რაც მერგებოდა. თუ დათან-  
ხმდები, კრება შესდგება და ფულსაც მიიღებო. მე არა ვჰქენი.

დავაგირავე და სხვა საშუალება მეორე შემთხვევისათვის აღარა მრჩება-რა!.. მივმართე ექიმებს და მათაც ვრთხმად დარიგება მომცეს: უბრთხილდი თავს: საწყენს ერიდე, ნუ დაიღლები, მოსვენებით იყავ არ აღელვდე, ბევრს ნუ იკითხავ, არა თუ ხმა-მადლად, ისე ჩუმიდაცო და სხვანი. მეც, რაღა თქმა უნდა, ვასრულებ მათ დარიგებას! აი, ბატონებო, უმთავრესი მიზეზი, თუ რაღა ვარ დამშვიდებითა და ჩუმიად ამისთანა დროს. და თქვენ კი გგონიათ, რომ მე ეს გულფრილობით, ან სხვა რამ მიზეზით მომდის. განა მე კი არ მინდა, რომ ისევ-ისე ძველებურად, ჩემებურად ვტრიალიბდე? ბ. ჩიკვაიძის სიცოცხლით საფსე მოძრაობასა და ენერჯის რომ ვლყურებ, გული მწყდება! ბ. თავდგირიძის პატიოსნური მღელვარება მეხარბუბას! მაგრამ რა ვქენა? ვიცი რომ ველარავინ დამიბრუნებს სიქაბუკესა და სიმრთელეს. და ეს ჩემდა უთქმელადაც, თავის თავად ადვილი მისახვედრია. მაგრამ ამისთანა არეულობის დროს სიმტყუნ-სიმართლის გარჩევა ძნელია!.. აღამიანი როკა რამეს ექიდება, ის საჭიდაო საგანბ, გინდ წვრილმანიც იყოს, ისე დიდ რამედ მიაჩნია, რომ იმას გარდა, სხვას ველარასა ჰხედავს და თავის პირდა-პირ მოვალეობასაც კი ივიწყებს: მოვიყვან ერთ ფსიხოლოგიურ მაგალითს. ზოგიერთმა ჩვენმა ექიმებმა და მათ რიცხვში ახალგაზდა მკურნალმა ბატ. ხუნდაძემ, წრფელის გულით გამაბრთხილეს და მირჩიეს: ნუ ხარ ამ კრებაზე, ხმაურობაა და შეიძლება ავადღეღვოს რიმემ და ცუდად იმოქმედოს შენზეო. არ გაუფლია არც ერთს საათს, ბაასი რომ გაცხარდა, იმავე ექიმმა მკითხა: რატომ არას ეტყვი ამ კრებასო? ხმა ამოიღე ჩუმიად ნუ ხარო!. საზოგადო მღელვარების დროს დაავიწყდა, რომ მე ავადმყოფი ვიყავი და ის. ექიმი. შეუძლებელია,

რომ ვნებათა ღელვამ კაცს, განდ სიმართლის მოყვარე და გონიერი ციყოს, ხან-და-ხან ხელი არ დარიოს, სწორ-მხედველობის ისარი არ გაუმრუდოს და ნამდვილი გადასხვაფერებულად არ მოაჩვენოს. სწორედ ამისთანა კალაპოტში ვართ დღეს ყველა ამ არჩევნების გამო ჩაყენებული და სიმართლის თქმაც უნამყოფოა!. რაც უნდა ითქვას, ან ერთ მხარეს არ მოეწონება და ან მეორეს. ნათქვამი გადასხვაფერებულად ვრცელდება საზოგადოებაში. ამას რასაკვირველია არავინ შეუშინდება და მაინც თავისას იტყვის, მაგრამ კიდევ ის არის უბედურობა, რომ მოუდგომლობა ორივე მხარეს სწყინს და მაინც თავისას გაიძახიან. და მათში ვინც უფრო აღტაცებული ბუნებისაა და უფრო თავ-დაუჭერელი, ზრდილობასაც კი ჰკარგავს და სხვისი უსამართლოდ შეურაცხყოფა აღარაფრად მიაჩნია!.. გუშინ-წინ, კრების თავმჯდომარეს რომ ირჩევდნენ, ზოგიერთებმა მოისურვეს ახდელში კენჭის ჩაგდება. და მე რომ მივდიოდი ჩასაგდებად, მეც მომაყვირეს: «ახდელში! ახდელში ჩააგდე, დაგვანახე!» და ეს განა მოსაწონი იყო მათის მხრით? აგერ ნახევარი საუკუნეა, რაც მე აშკარაზე ვდგევარ და თუ აქამდე, ჯერ კიდევ არ შეუტყვიათ საითკენ წავა ჩემი «შავი» და «თეთრი», ნუ თუ ამ ერთ წუთას, ერთი კენჭის ჩაგდებით გაიგებენ ჩემს «ავ-კარგიანობას»? აი, რა ძნელია გაცხარება და თავშეუკავებლობა!!.. მაგათ აღარა ახსოვთ რა, და ეს დღევანდელი, შედარებით სხვა საქმეებთან, წვრილმანი საარჩევნო კინკლაობა, ჩვენის ცხოვრების დასაბამი ცა ჰგონიათ და დასასრულიც... იმ მოძღვარს, რომელსაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ყოველ დღე შეძლებისა-და-გვარად არ დაუგდია თვისი მღვდელ-მოქმედება, ეკითხება განა რა რჯულისა ხარო?

რომ ვინმე მივიდეს და უთხრას: არ ვიცი, მღვდელი ხარ თუ მოლოა? ეს უნდა დამიმტკიცოდა, თუ მართლა ქრისტეს მსახური ხარ, გინდა თუ არა, ეხლავე, როცა მამლეზი ყივიან. შენც გადმოდექი ქანდარაზე და «კურთხეულ არს მეუფება», დაიძახეო! რას ეტყვის გაოცებული მღვდელი? შვილო! მე ჩემი საკუთარი სამლოცველო მაქვს, საყდარია, სადაც კიდევ ვსწირავ, და კიდევ ვლოცულობო, და შენ თუ არ მოდიხარ, ჩემი რა ბრალიაო? წირვასაც და ლოცვასაც თავის დრო და წეს-რიგი აქვსო და შენ კი ტყვილა ახარებულობარო... მეორე მაგალითი! ვსთქვათ: მოლა ვინმე ყოველ განთიადისას ნახევარ საუკუნის განმავლობაში ადიოდა მინარეთზე და ჩვეულებისამებრ იწვევდა მლოცველებს და იძახოდა: ღია-ილლა-ილლა-ილლაჰ-ო. ბოლოს ვეღარ დაინახეს ეს მოლა მალლიდგან გადმომდგარი და იფიქრეს, ხომ არ გვიღალატაო? მისცვივდნენ და უსაყვედურეს. როგორა გგონიათ? რას ეტყოდა მოლლა? სრულ სიმართლეს: შვილებო, დავბერდი, აღარ შემძლია იმდენი როგორც ადრე! თვალთ ვეღარა ვხედავ, მუხლები მიკანკალებენ და მალლა ვეღარ ავდივარ, ხმაც აღარა მაქვს, რომ დიდად დავიყვირო. ახლა თქვენი რიგია!.. ხომ გინახივართ როგორ ავდიოდით? თქვენც ისე ალათ მალლა, ჩემი აღგილი დაიჭირეთ და მეც მადლობას შემოგწირავთ, დაგლოცავთ და, თუ ისურვებთ, თაყვანსა გცემთო!

დავანებოთ თავი ამ მაგალითებს და გადავიდეთ პირდაპირ ჩვენ წინაპრებზე. ძველად ჩვენ მამა-პაპებში რომელიმე მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე, რომ დაიქანცებოდა სიბერიითა და ქრილობით იმდენად, რომ ომში ტრიალსა და ფარხმალის ხმარებას ვეღარ ახერხებდა, უღაბნოში საღმე მიდიოდა, იქიდან აღევნებდა თვალ-

ყურს მის სამშობლოს და ღმერთს ავედრებდა. დღევანდელ ჩვენ მამულიშვილებს, მართალია, ტანზე არ აჩნიათ ჭრილობა, მაგრამ მათ გულში რაუ ჩაიხედავთ, ბევრს ნახავთ! როგორც კერძოდ, ისე საზოგადო საქმეების გამოც წყლული დიდი აქვთ... მე რა სიმართლე მაქვს და რა მრჯის, რომ ჩემი თავი მათ შევადარო? მაგრამ რადგანაც მცირე რამეც შეიძლება, რომ დიდს შეადაროს კაცმა და მის გარდა კიდევ თქვენგანვე ვარ გამოწვეული, ჩემ თავზედაც ვიტყვი ახლა: მართალია, დავბერდი დავუძღურდი, მაგრამ ფარხმალი არ დამიყრია, და იმ მღვდლისა არ იყოს, წელან რომ მოგახსენეთ, ჩემი საყდარი მეცა მაქვს და მეცა ვსწირავ. ეს გახლავსთ ჩემი რედაქცია და ჩემი ჟურნალი.. მისთანა არა არის რა საყურადღებო ჩვენ შესახებ, რომ შეძლებისადაგვარად არ ეიხსენიებდეთ და მსჯელობა არა გვექონდეს.. ბანკის შესახებაც ბევრჯელ გვექონია საუბარი და აბა, მიბრძანეთ ერთი, როდის იყო, რომ ეს ბანკი ჩვენ მოგვეწონდა და ვაქებდით? პირიქით ყოველთვის წუნსა ვსდებდით ამ ოცისწლის წინედაც, შარშანაც, წელსაც—გუშინაც, დღესაც. წუნსა ვსდებდით და ვსდებთ გაზომილად და აწონილად, უტყუვრად,—გადაუტარებლად. ჩვენ პირადობასთან საქმე არა გვაქვს. გვინტერესებს თვით საგანი და პიროვნებას იმდენად შევხებებით მხოლოდ, რამდენადაც ის გადაბმულია და შეკავშირებული საგანთან.

რაც ცხადია, იმას რაღა დამტკიცება ექირვება? დღეს ჩვენი ბანკი ვერ მიდის კარგად, გამოვიკვლიოთ მიზეზები და ვინც დამნაშავე გამოდგეს გადავაყენოთ!.. სულ ასე არ ვამბობ, სულ ამას არა ვსწერ? ბრძანებთ, რომ ნაწერს ყველა არ ჰკითხულობსო!.. და ეს რა ჩემი ბრალია? და თქვენ, რომელნიც ჰკითხულობთ თუ კი იმას გადასცემთ ხოლმე სხვებს, რაც არც მიწერია და არც

მიფიქრია, რატომ იმ ჩემ ნათქვამს და ნაწერს არ გააცნობთ ხოლმე? არა! მეუბნებით—ეგ ხომ მართალია, მაგრამ გვინდა შენი პირით გავიგონოთ ცხოველი სიტყუაო?.. მეც მოხარული ვარ და ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი, მაგრამ როდის იყო, რომ თქვენ ჩემთან მობრძანდით და მე კი კარები დაგიკეტეთ? ეგებ, პურ-ღვინით ვერა, მაგრამ გულით კი სწორედ კარგად დაგიხვდებოდით. ახალგაზდების ნახვა, სხვაც რომ არა იყოს რა, მიტომ მაინც მიამება, რომ მათი აწმყო, ჩემს წარსულს ახალგაზღობას მომაგონებს და გულზედ ია-ვარდს მომფენს!.. მაგრამ მე ვერ ვნახეთ ჩემთან მოსული!.. ეგებ თქვენ რომელიმე მიზეზისა გამო არ გეხერხებოდათ ჩემთან მოსვლა და მაშ რატომ მე არ მიმიხმეთ თქვენთან? მე დიდის სიმდაბლითა, სიამოვნებით გაიხლებოდით?! თვარა, არც ნაწერი გიკითხავთ. არც მობრძანებულხართ ჩემთან, არც თქვენთან მიგიხმევართ და მესაყვედურებით კი!.. შენ ბევრი მოგეთხოვება! ყოლიფერი უნდა აიტანო—ამბობენ ზოგიერთები—რადგანაც ხალხს უყვარხარ და პატივსა გცემსო!—მესმის! მაგ სიყვარულისა და პატივისცემისა მე ღირსი არა ვარ... მაგრამ სიყვარულსა და პატივისცემისა თვის კანონები და წეს-რიგი აქვს. სიყვარული რომელიმე მოღვაწე მუშის ის კი არ არის, რომ შორიდგან ტაშის კვრით „ვაშა-ვაშა!“ უკიჟინოთ და სადღეგრძელოები სვან!.. ეს რა სასურველია! სასურველი მისთვის ის არის, რომ იმ უღელს, რომელშიაც ის გაბმულია, თანაუგრძნოთ და მძიმე ტვირთი შეუტსუბუქოთ!. პლატონური სიყვარული არავისთვის სასარგებლო არ არის და მოვავგონებს იმ გლეხის სიყვარულს, რომელსაც თვისი ხარები თავს ურჩევნია, მაგრამ როცა გაუბამს ხოლმე უღელში და აღმართში ტვირთს მიახიდევებს, ყოლიფერი ავიწყდება და სიბრალულის გრძნობაც კი ეკარ-

გება: დააჯდება უღელზე შოლტით ხელში, მწარედ უშლაპუნებს და თანაც შეჰყვირის: «ოპოპო, შენი გამჩენის ქირიმე ნიშავ! ოპ, შენ კი გენაცვალე ნიკორავ!. აბა ჰე, გასწით! გასწითო!» და წელს აწყვეტიებს თავის საყვარელსა და ერთგულს საქონლებს. თუ უკაცრავად არ ვიქნები, მოგახსენებთ, რომ ჩვენ დღევანდელ ქართველებსაც ასე გვესმის სიყვარული ჩვენი მოღვაწეების!.. ამას მე ჩემს თავზე კი არ მოგახსენებთ! — მე დღეს იმ ხანში და იმ გარემოებაში ვარ, რომ ქებაც და გინებაც ჩემთვის დიდი არა არის-რა! ჩემი ლარი და ხაზი გაყვანილია და გათავებული! — მე ვამბობ საზოგადოდ. აბა, დაუკვირდით და გააჯეთ: რა მიზეზია, რომ ჩვენში ახალგაზდები, უცხოეთიდან რომ ბრუნდებიან, ქვეყნის ერთგულებით გამსკვალულები, თავდადებულად იღვწიან და მერე კი ნელ-ნელა სხვა გზას აღდგებიან ხოლმე? ის რომ, ნიადაგს ვერ ჰპოულობენ თქვენში... და თქვენი უსამართლო ქცევა მათ გულს უტეხს და უგრილებს. — და აი ჩემი უკანასკნელი თხოვნა, ჩემი უკანასკნელი სიტყვა, ეს გახლავსთ, რომ უფრო სამართლიანად მოეპყრათ ხოლმე თქვენ შვილებს!.. ნუ მოსთხოვთ შეუძლებელს. მიუშვით ნებაზე!.. ნუ მოისურვებთ, რომ თქვენ ნებაზე ატაროთ აქეთ-იქით და ის ალაპარაკოთ შოლოდ. რაც თქვენა გასურსთ. — კი ნუ მტარვალ-ბატონობთ!.. მართლ-მსაჯულების კვერთხი აიღეთ ხელში! — ავ-კარკი გაარჩიეთ და თვითველ მათგანს საკადრისი შიახლვეთ ხოლმე. აი, ეს გახლავსთ ჩემი უკანასკნელი თქვენდამი სიტყვა და ნუ მიწყენთ!..

ძულელებული გავხდი, რომ ეს სიტყვები წარმომეტკვა წრევანდელ ბანკის კრებაზე. რომ აქ ხალთაბანდური არა არის-რა და პირდაპირაც არის გამოთქმული, რისაც თქმა მინდოდა,—ცხადია!.. ბანკში დამსწრებმაც კარგად გაიგეს.. მაგრამ გარეთ კი გადასხვაფერებულად გაისმა ეს სიტყვა. ზოგიერთებმა თავისს საკუთარ გრძნობა-გონების ყსნალით მოჰქარგეს ჩემ სახელით ის, რაც ჩემი არა ყოფილა და ფერად-ფერადად ავრცელებდენ ხალხში: „აკაკი ბანკის მმართველებს გამოესარჩლაო“. «ჩიკაი-ძეს ქება შეასხაო»,\*) „მხოლოდ თავის-თავზე ილაპარაკაო“.

\*) ჩვენმა ცნობილმა მოღვაწემ და რედაქტორმა ბატ. გუნიამ თავისს საწინასწარმეტყველოში, ე. ი. «ცნობის-ფურცელში» აი როგორ დამოწმა ეს და რითი ასნა: ჩვენ ვგატყობინებენ, რომ ქუთაისის ბანკობანა იმითი გათავებულა, რომ თავ. აკაკი როსტომის ძის წერეთლისათვის ამ ათის წლის წინად გადაწყვეტილი პენსიის მიცემა აღუთქვამთ, ხოლო ზედამხედველი კომიტეტის წევრად აურჩევიათ გიორგი წერეთელი. ექვი არ არის, ასეთი პატივი კალისტრატეს მიერ უტყუარი ნიშანია მადლობის გადახდისა მეგობრულის სამსახურისათვის.—მახლას! მოდი, წაიკითხე ეს სიბრძნე სოლომონისა და გოდება იერემიასი და ნუ გაგეცინება?! მტრობა-ბოროტებას, მართალია, პატიოსნება არ უნდა, მაგრამ ჭკუა კი ეჭირება!.. რედაქტორსაც და მის კორესპონდენტსაც, ორივეს შეშლიათ ნახტომი: ჩიკაიქე იმ თავითვე წინააღმდეგო იყო ჩემი პენსიის და შემდეგაც, როცა მმართველად აირჩიეს, მასვე აღარ-მოჰყავდა სისრულეში კრების განაჩენი!.. ამ კრებაზედაც თვით ოპოზიციამ ეს გარემოება მოიტანა ერთ გასამტყუნარ საბუთად ჩიკაიძის პირადობის და უწესრიგობისა. მაგრამ საპირადო ვნებათ-ღელვა რომ გრძნობა-გონების საუფქველს შეაუყვებს, მაშინ ლოდიკაც კოჭლობს!—ეს გვესმის, მაგრამ ის კი აღარ გვესმის, რას ნიშნავს მათი ნახმარი სიტყვა: «მახლასაჲ»! ქართული ირ არის! აქ სწორედ უნდა იყოს კორრექტურული შეცდომა და უნდა ყოფილიყოს «მახლავსო» ე. ი. მაქვსო! კი მაგრამ თვითონ რაღად აღიარებენ თავის პირით ან ერთი და ან მეორე უმათოდაც, ვინც კი წაიკითხეს ამ მაგათგან გამოგონებულ-გამოკეროჭინებულ შენიშვნას, თავის თავადაც მიხვდება, რომ ორთავეს, როგორც კორესპონდენტს ისე რედაქტორსაც ახლებიათო!



„პენციას ითხოვდა“, (სიტყვა კი პენციის შემდეგ იყო ნათქვამი), „ოპოზიციას უღალატა და ინტელიგენცია გალანძღა“, „ისე მიხვეულ-მოხვეულად და ბრუნდად, გამოურკვევლად ილაპარაკა; რომ არა გაიგებოდა რაო“ და სხვანი.

საზოგადოდ ყველგან და, რასაკვირველია, მით უმეტეს ჩვენში მისთანა სისულელე არა ითქმის რა, რომ ზოგიერთებმა არ მოიწონონ და მისთანა ტყუილიც არ გამოიგონება-რა, რომ ბევრმა არ დაიჯეროს!.. და აი თუ, რატომ ვბეჭდავთ იმ ჩვენს ნათქვამს, თვარა თავის თავად გვიჩვენებს და ვიტყვით, ბანკი შედარებით სხვა საქმეებთან, მისთანა რამედ არ მიგვაჩნია, რომ, თუ არ სხვათა შორის, გაკვრით, განსაკუთრებით იმაზე ვილაპარაკოთ. ეს მხოლოდ ერთი წვრილმან მოვლინებათაგანია და ზედაც ის დააკედეს ვინც წვრილმანობას ვერ გასცილებია და სხვა, უფრო საჭირო, ველარა დაუნახავს რა.

როდესაც ჩვენი წინაპრები ფარ-ხმალით მიდიოდნენ მტერზე, იმ დროს რომ გზაზე სადმე ეკალი შერქობოდათ, ნუ თუ იარაღს დაჰყრიდნენ, ნევისს მეტს აღარას მოჰკიდებდნენ ხელს, ყოლიფერს დაივიწყებდნენ და ბავშურის სიმწრით აღრიალდებოდნენ: არიქა, ვინ ხართ ქრისტიანი და მამაცი, გვიშველეთ, ეკალი შეგვერქო, იქცევა ცა და ქვეყანა, მეორედ მოსვლის ნიშნებია, ყველამ აქ მოიყარეთ თავი, ნულარსად მიდიხართ, ნულარაფერზედ ჰტიქრობთ, ნევისები აიღეთ თქვენც ხელში, დაჰყარეთ ფარ-ხმალი და აქ მოდითო! და თუ ჩვენ ნება-სურვილზე არ გაივლით, ქართველებად აღარ იქნებით სახსენებელიო; და სხვანი?!. არა, ამ გვარი რამ ძველად ფიქრადაც არვის მოუყიდიოდა. იმ საპირადო ეკალს მხოლოდ იმდენად მიაქცევდნენ ყურადღებას, რამდენადაც საჭირო

იყო: ამოიღებდნენ, გადააგდებდნენ და თუ წყლულს დაჰყვებოდა, გამოირწყავდნენ და მთავარსაქმედ და საგნად ამ პატარა რამეს არ გაიხდიდნენ. ჩვენი ბანკიც დღევანდელ ცხოვრებისათვის წვრილ რამეთაგანია!.. მისი ეკლური ჩველეთაცა და მისი სამკურნალო მალამოობაც მცირეა. და მის გამო გრძნობა-გონების დაკარგვა, სწორედ რომ „ნაცარქექიაობა“.

საკუთრად ბანკის შესახებ არას ვილაპარაკებთ არც დღეს, რომ ამ ბანკს ზოგიერთები კუდს არ აბამდნენ ხოლმე და აქეთ-იქითკენ საუკუღმართოდ არ იქნევდნენ. — ეს საეშმაკო ნამგალი, ეს ზოგიერთების საპირადო იარაღი, ბანკის — კუდი, გვაიძულებს, რომ, წინააღმდეგ ჩვენის სურვილისა, გვინდა თუ არა, მაინც ვსთქვათ რამოდენიმე სიტყვა წრევანდელ „ბანკობის“ შესახებ.

ქუთაისის ბანკი თუმცა კოლლექტივია, მაგრამ მაინც ჩიკვაიძის სახელით არის მონათლული, თითქო მის მეტი იმ ბანკში აღარავინ იყოს. გაკეთდება რამე თუ წახდება. მარტო ჩიკვაიძეს აწერენ და სხვები კი, როგორც დირექტორები, ისე ზედამხედველი კოპიტეტის წევრებიც მის ყურ-მოჰრილ ყმადა ჰყავსთ წარმოდგენილი! „კალისტრატე რასაც მოინდომებს, ის იქნება!“ — რასაკვირველია, ეს საოცნებო გადაჭარბებაა და ამით თვით მოწინააღმდეგეებს ის ისეთ სიმაღლეზედ აჰყავთ, სანამდისაც ჩიკვაიძეს თავის თავად ასვლა გაუჭირდებოდა. ამბობენ: „ბრბო მიიმხრო და დაბალი, გაუნათლებელი ხალხის გული მხოლოდ მითი მოიგო, რომ მისს სამარცხვინო ინსტინქტებს ხელს უწყობსო!“ ესეც გადაჭარბებულია!. ხალხს განა მარტო ცუდი ინსტინქტები აქვს?!. ჩვენი ინტელიგენციის უმეტესობა ისე იჭერს თავს, თვითქო, ჩვენი ხალხის შვილი არ იყოს და მათში საერთო არა იყოს რა!..

მალლიდან დაპყურებს, ვერ იცნობს და მისი ავ-კარგიც შეგნებულ-შესწავლილი არა აქვს!.. სიტყვით ლიბერალობა ადვილია, და ზოგიერთი ჩვენი ინტელიგენტებიც სიტყვით ყოლიფერი არიან, მაგრამ როცა საქმეზე მიდგება ჯერი, მაშინვე ბატონ-კაცობას იჩენენ და სულ სხვებზე გამოდის საქმე. ეს, ცოტა არ იყოს, არ ეპრიანება სოფლელ ხალხს და განზე დგება. ჩიკვაიძის ჭკუა ის არის, რომ ალღო აიღო და ხალხის გული მოიგო. ჩადგა ხალხში, ქირში და ლხინში მათ თანამოზიარედ და ძველებურ ანდაზას, „ამყოლს აპყვეი და დამყოლს დაპყევია“! ამართლებს. ზოგის ტირილში სამძიმრითა და თავში ხელის ტყაპუნით შედის, ლხინში მოლხენით არის, გაჭირვებულს ეხმარება და ამ გვარად ჰხიბლავს. ავიჯოთ მაგალითი: გაჭირვებული სოფლელი დაეძებს ადვოკატს და მიდის პატროსან-ადვოკატთან. ის თავის სამწერლო ოთახში მედიდურად მოჯდომია სტოლსა და სწერს. საკლიენტოს აათვალიერ-ჩაათვალიერებს და შექმუხვით ეუბნება: ჰო, კარგი, ახლა არა მაქვს დრო, მიბრძანდით გარედ, მოითბინეთ და რამდენიმე საათის შემდეგ მიგიღებთ! კლიენტი უცდის სადღაც გარეთ. ბოლოს, როგორც იქნება, მიიღებენ, გამოჰკითხვენ. რა უჭირს? და საქმეს მისას დიდის სიამოვნებით ჰკიდებენ ხელს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ, როგორც რიგი და წესია, ამდენი და ამდენი სასყიდელი გადაიხადოს და ნაწილიც ამ თავითვე წარმოადგინოს. სოფლელი გაჭირვებულია, ფული არა აქვს და უნდა გაბრუნდეს უკანვე. მიდის ჩიკვაიძესთან. ჩიკვაიძე ეზოში მიმინოს უწრუწუნებს, გატაცებული მისი ეჭვნების ეღერით. დაინახავს თუ არა მისკენ მიმავალ კლიენტს, მიაყვირებს: „გამარჯობა შენი! ახლა შენი თავი არა მაქვს; ხომ ხედავ მიმინო ველარ მიმიყვანია სახადელზე?!”

მომიცადე... მერე მოდი!.. მაკინე! მაკინე!.. უბძანე, სამხარეულოში შეიყვანონ ეს კაცი, ცოტა ღვინის დასალევი მიაწოდეთ და მანამდის მეც მოვიცლი!“ პატივინაცემი სოჭლელი, ბოლოს, მიღის ადვოკატ-ჩიკვაიძესთან, ეუბნება გულია-პასუხს; ისიც მოუწმენს, ტყობილობს, რომ ხელად არა გააჩნია-რა, მაგრამ აი რას ეუბნება: „გქონოდა, კვრგი იყო! მაგრამ ახლა რაღა გაეწყობა?!. გაგიკეთებ საქმეს, მაგრამ გახსოვდეს კი და, როცა შეიძლება, მაშინ იყოსო!“—ამ გვარად მოხიბლულ კაცს რომ უთხრა: ჩიკვაიძე წუნსადებია და შედარებით ის პატიოსანი, მაგრამ გაბერილი-ადვოკატი უქო, განა დაგიჯერებს?—ამგვარი ხერხები ბევრი მიუძღვის ჩიკვაიძეს და დაბალი ხალხის გულიც მოგებული აქვს თვისის დემოკრატიული ქცევით. „ხალხის გულის მოსაგებად ჩვენ არ ვიკადრებთ, რომ ჩიკვაიძის გზას დავადგეთო!“ ამბობენ ბუმბერაზები.—და განა ხალხის გული მარტო საუკადრისო რამეებით მოიგება?.. ქირში და ლხინში თანა-მოზიარობა, გაქირვებაში ხელის-გამართვა, პურ-ღვინით მიღება, გულ-გაშლილობა და თავმდაბლობა განა საუკადრისო და სამძახი რამეა?!. „კი, მაგრამ ჩიკვაიძე ხალხის გულის მოგებას მიტომ ცდილობს, რომ მერე მათი ძალა ბოროტად მოიხმაროსო?“ კეთილი! მაგრამ რატომ თქვენ კი არ სცდილობთ, რომ ხალხის გული თქვენც ჩიკვაიძესავე მოიგოთ, მაგრამ უფრო კეთილად მოიხმაროთ... ესეები ყველა სულ ცარიელი სიტყვაა და თავის მართლება!.. აქ პატრი ფილიპეს ამბავი მაგონდება, რომელიც განსვენებულ ბიძი-ჴემისაგან გამიგონია: ერთ ქართველ დიდ-გვარიშვილს ფრანგები ეჯავრებოდა და თკალს არიდებდა. პატრმა ფილიპემ მოინდომა მისი გრძნობის

შეცვლა. იცოდა, რომ ის ქართველი საოცარი მონადირე იყო და პატრმა, სხვა რომ ვეღარა მოახერხა რა, უცხო ქვეყნის მეძებრები გაიჩინა და მონადირობა დაიწყო. დაიხსლოვა ქართველი, რომ ნადირობაზე ელაპარაკებოდა, სამწყეროს, საკუოდღღეს თან დაჰყვებოდა და ბოლოს ისე ჩაითრია, რომ ერთმანეთს აღარ შორდებოდენ. ჩვენს მღვდელს, ქართველს მოძღვარს, სასაკინოდაც არ ჰყოფნიდა პატრის საქციელი: კურდღელს დასდევს, რა საკადრისიაო?.. ბოლოს, იქამდე მივიდა საქმე, რომ ქართველმა ფრანგის სარწმუნოების მიღება მოინდომა და მაშინ კი გამოაქყიტა მოძღვარმა თვალები!.. ქვეყნის გულის შოგება უქუობა არ არის!.. და შემცდარია ის, ვინც გვერდს უვლის. აი, სწორედ ამის ბრალია, რომ ჩიკვაიძე იმარჯვებს ხოლმე, და არა იმ მიზეზების, რომელიც მის მოწინააღმდეგეებს ჰგონიათ!.. მარტო უკუღმართობითა და სიცუდით ხალხის გული არ მოიგება და არა!.. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ის ხალხი ხალხადაც აღარ იქნება სახსენებელი და იმაზედ ზრუნვა, როგორც მომაკვდავ ხალხზე, უქმი იქნება... პირადად ჩიკვაიძეზე უფრო არა გვინდოდა რა გვეთქვა, მაგრამ, რადგანაც ბანკი და კალისტრატე სინონიმებად გაუხდიან, მეც ბანკის გამგეობის ნაცვლად მარტო სიტყვას „ჩიკვაიძეს“ ვიხმარ:

წელს ოპოზიციამ ინტელიგენციის სახელით მონინდომა ბანკის გაწმენდა-გასალაშინება და ჩიკვაიძეზე მიიტანა იერიში. რაც კი რამ მიუძღოდა ბანკს დამნაშაობა ძველი თუ ახალი, საკუთარი, თუ სხვისი, ყველა ერთად შეაკეცა, ნამდვილ საბუთებს საეჭვოებიც მიუმჯტა და უნდოდასულ ერთიანად კალისტრატესთვის დაეტეხა თავზე. ასტყდა ბრძოლა და ჩიკვაიძემ გაიმარ-

ჯვა, ანუ, უსწორესად რომ ესაუქვათ, მოწინააღმდეგე-  
ებმა თავის უხერხულობით გაამარჯვებინეს ჩიკვაიძეს და  
ანდაზაც გაამართლეს: „ირემმა ირემს ურქინა და თი-  
ვაზე შეაგლოა“. მეტოქესაც, მე მგონია, ხელის  
გამართვის ნაცვლად ხელი შეუშალეს! დამარცხდენ და  
დამარცხების მიზეზსაც სხვებს აწერენ: „ამან გვიმტყუ-  
ნა, იმან გვიღალატა, ეს ასე იყო, ის ისე და სხვ...  
და თავმოყვარება კი ნებას არ აძლევს, რომ გულში  
ჩაიხედონ და საკუთარი შეცდომები დაინახონ. ამას მე  
არც შანის მოგებით ვამბობ და არც გაკოცხვა მინდა  
ოპოზიციის!.. მე მსურს მხოლოდ, რომ ოპოზიციამ  
შემდეგისათვის სიბრთხილე იქონიოს, უკეთ დაიჭიროს  
თავი და ინტელიგენციის სახელსაც სიბრთხილითა და  
სიფაქიზით მოეპყრას!..

დღევანდელი ოპოზიცია მეტად არეულ-დარეული  
იყო. მისთანები გამოდიოდნენ ინტელიგენტის სახელით  
და ოპოზიციაში ქუცმაცობდნენ, რომელთაც თავის  
საკუთარ პირადობის მეტი არა აგონდებოდათ-რა და  
ოპოზიცია მათთვის ანკესი იყო და პირ-ბადე. იმათი  
წყალობით იმ მცირე გუნდს ინტელიგენტებისას, რომ-  
ელიც ოპოზიციაში ვრია და გულწრფელადაც მოქმე-  
დებდა, ხელი შეეშალა და დაძაბუნა.

ვერ იყვნენ კარგად მომზადებული საწინააღმდე-  
გოდ. ნამდვილსა და უტყუარ საბუთებს ვერ ხმარობ-  
დნენ რიგზე და მიკიბულ-მოკიბულით, საექვო და სა-  
დაო ფაქტებით უნდოდნათ, კიჟინო, გასულიყვენ ფონს.  
მაგალითად: ზედანხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ  
გამოაცხადა, რომ ბანკს ამდენი და ამდენი მამული  
დარჩა და იმათგან სრულიად არაფერი არ შემოდისო.  
ეს საბუთი ძალიან ხელ-აქადებელი იყო!.. თუ კი

დაგირავებამდე შემოდინოდა, მერე რამლა გააქრო? უნდა პასუხი მოეთხოვა კრებას ბანკისათვის, დაწმუნებულყო, რომ ეს გამგეობას ან ცუდი განზრახვით მოდიოდა და ან დაუდევრობით!.. მაშინ ჩიკვაიძეს ორივე შემთხვევაში სათქმელი აღარა ექნებოდა-რა! და მორჩა, გათავდა!.. მაგრამ ოპოზიცია მარტო ჩიკვაიძის პიროვნობას იკვლევდა. ამ საბუთის განხილვა მომავალ კომისიას მიანდევს და თვითონ კი დაუწყებს ძებნა უმნიშვნელო მიკიბულ-მოკიბულ ფაქტებს. მართალი უნდა სთქვას კაცმა, ამ წვრილმან საბუთებსაც ვერ ხმარობდენ კარგად: ერთი რომ აღთას გაიძახოდა, მეორე ბალთას! ერთი მეორეს უშლიდა. მაგალ., ერთი წამოდგა და სისულელე ილაპარაკა: მეტიჩრობით იმას ამტკიცებდა, რაც თვითონაც არ ესმოდა. მეორე უფრო შეგნებულმა და წინდახედულმა ამხანაგმა, გაუსწორა სიტყვა და ეს უკანასკნელი ახირდა: შენ კი არ უნდა მეწინააღმდეგებოდე, მწარს უნდა მძღვედე და მამართლებდე, რადგანაც ჩვენი კაცი ხარ და ოპოზიციაში ურევიხარო!.. ამგვარები რამ, რასაკვირველია, კრებას არ მოეწონებოდა! ერთ ნამდვილ ინტელიგენტსა და გულწრფელად მომქმედს რომ ორი და სამი საეჭვო ამოუდგება გვერდში, ამ უეჭველსაც კი აჩრდილებს. დაუჯინიათ: კალისტრატეს ისე მომზადებული ჰყავდა ხალხი, რომ რაც უნდა საფუძვლიანი რამ თქმულიყო, არა გამოვიდოდა-რაო? შემცდარი აზრია!.. არც ბნთ თაყაიშვილს, არც ხელთუფლიშვილს; არც პავლე თუმანიშვილს ბანკის სადიდებლად და ჩიკვაიძის მოსაწონად არა უთქვამთ-რა, მაგრამ კრება კი დაკვირვებითა და სიამოვნებით უგდებდა ყურს!.. მაგრამ როცა იმათ ნათქვამს სხვებიც ზოგიერთები იმეორებდენ და საზო-

გაღო საქმეების მსხვერპლად იწინდენ თავს და სხვებს მოძღვრებას უწევდენ, იმავე კრებას უსიამოდ რჩებოდა. რაღა? მიტომ, რომ ის, რაც შეშვენის ერთს, არ შევფერის მეორეს და ფარისევლების წმინდა მოწამეობას და მოციქულობას კი არაფერს დაიჯერებს! პირველ საუკუნეებში, როდესაც ქრისტიანობა შემოდინდა, მოციქულებსა და ქრისტეს ნამდვილ აღმსარებლებს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ მოდი, არა-ქრისტიანებიც მოვიხმაროთ და რჯულს უფრო მალე განვამტკიცებთო. საზენაო და ზნეობრივ საქმეში რაოდენობითა და რიცხვით კი არ გაიზომ-აიწონება ძალა, თვით საგნის სიწმინდითა და შეუმწიკველელობით!.. ინტელიგენცია და ოპოზიცია წამიერი როდია, იმას მომავალთანა აქვს კავშირი და რაც მისი სახელით კეთდება, იმას სიბრთხილედ და ფაქიზობა ექირვება!.. ოპოზიციას ის არ შეშვენის ჩაიდინოს, რასაც მოპირდაპირეს უწუნებს! ნამდვილი ოპოზიცია, როდესაც გულწრფელადა და მტკიცედ სწორ გზას ადგია, რომ კიდევ დამარცხდეს დღეს, არაფერია!—ეს დამარცხება, თუ წმინდაა, შემდეგისათვის სასურველ ნაყოფს გამოიღებს... გვეტყვიან: ვინც კი მოისურვებდა ოპოზიციაში ჩამორევას, ჩვენ იმას ხელს ხომ ვერა ვჭკრავდით და ან რად უნდა მოგვეშორებიაო? ამის ჩვენც თანახმა ვართ: გაშორებით იმ დროს არ მოვიშორებდი, მაგრამ არც ნ მეტანს ჩავიდენდი და მოციქულობასა და წინასწარმეტყველობის მოწმობას არ მივცემდი!.. პირველ საუკუნეებში რომ ვინმე მოისურვებდა ქრისტიანებში ჩარევას, იმას კარს არაფერ უხშობდა, მიიღებდნენ ხოლმე, მაგრამ ჯერ კათაკმეველებად ითვლებოდნენ. და აქ კი ჩვენ ოპოზიციაში, ვინც უნდა ყოფილიყო, გინდ სა-



ექვო. და საზოგადო საქმეში უღირსად შემჩნეული, საქმაო იყო ეთქვა, მე ოპოზიციაში შემოვლივარ, ჩიკაიდის წინააღმდეგი ვარო და მორჩა, გათავდა... ყოლიფერს დაუვიწყებდენ და ზნეობისა, საერო ერთგულები გმირათა და წმინდა მოწამედ გამოჰყავდათ. მე კარგად ვხედავდი, რომ ბევრი... ძალიან ბევრი ოპოზიციაში ჩამდგარი ღირსი იყო ინტელიგენტის სახელობისა და მათი მოქმედება გულწრფელი ღ ზუბიწო იყო... მაგრამ შეცდომას ვერც ისინი ასცდენ, და ეს გამოუცდელობის ბრალი იყო!.. გამოცდილება გვირგვინია ყოლიფერის... ჩვენ სიყმაწვილეში ბევრი რამ ჩაგვიდენია მისთანა, რომელსაც ახლა აღარ ჩავიდენტ. მიტომ კი აწა, რომ ახლა უფრო ცუდი ვიყოთ და ის საქმე, ისე როგორც აღრე, აღარ გვავინტერესებდეს! არა!.. გამოცდილებამ ქკუა გვასწავლა და წინდახედულად ვეკიდებით იმავე საგანს. და სხვა გვ რად ვუვლით გარს. ახალგაზღობა პირდაპირ ძალაზე დგას, გინდ შესაძლებელიც არ იყოა გამარჯვება, და ხანში შესულობაკი ხერხს ეტანება და მიტომაც არის ნათქვამი: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“-ო. მოკუვან სამინუშო მაგალითს:

პირველ ხანებში მაინც ძალიან თაყვანის-მცემელი ეყავი გაბრიელ ებისკოპოსის და იმაზე ვინც რამეს იტყოდა ურიგოს, კრიჭაში ვეცემოდი ხოლმე. ბრპოს ძაღლის თვისება აქვს ზოგჯერ: თუ მაღალ საფეხურზე შემდგარი კაცი დაინახა, უთუოდ უნდა შეუყვავოს. რასაკვირველია, შეგნებულები და რიგიანები ქება-დიდებით იხსენიებდენ, მაგრამ უმეცრება კი მაინც თვისას არ იშლიდა და ბევრ რამეში უმიზეზოდ წუნსა სდებდა. — ხალხის მიტქმა-მოტქმას მთქნარებასაკით გადამა

დები ძალა აქვს; გულშიაც რომ არა გქონდეს-რა, მაინც ხან-და-ხან არ შეიძლება, რომ სხვის ნათქვამს შენც არ მიაქციო ყურადღება!.. სხვათა შორის გაბრიელის მოწინააღმდეგეები ამბობდნენ, რომ მღვდელ-მთავარი შენდობის წიგნს ჰკითხულობს, ინდულგენციას აძლევს და ფულებს იღებსო. დიდხანს არ მეჯერა, მაგრამ ბოლოს, ჩემდა სამწუხაროდ, თვითონ მე დავესწარი, როცა შენდობის წიგნს უკითხავდა მსურველებს. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება და გაგიჟება!.. ამ გარემოებამ ისე მომწყვიტა წელი, რომ ჩემი იდეალი შეიცვალა, შორს გაიტყორცნა და რაც კი ქორი გამეგონა მის შესახებ, სუყველა დავიჯერე. დავსწერე გასაკიცხი წერილი და ვაპირებდი „დროების“ რედაქციაში გაგზავნას დასაბეჭდათ!.. მაგრამ იმდენი რიგიანობა კიდევ ვიხმარე, რომ მოვიწოდებე ჯერ მისთვის მეწვენებია ის მისი შესახები სტატია და პირადაც გადამეცა ჩემი გულის პასუხები.— ვიახელი. ის ჩვეულებრივად ტკბილად დამისვდა, მაგრამ აშფოთებული რომ მნახა, შეწუხდა და მიზეზი გამომკითხა... მე ბრაზ-მორეულმა საყვედურებით მივმართე და რასაც ვფიქრობდი, დაუფარავად გადავეცი. ისიც სიამოვნებით მიგდებდა ყურს და, რომ გავჩუმდი, დამშვიდებულად, ღმიღლით მითხრა: ძალიან მომწონს ევ შენი აღელვება და მიხარია, რომ საზოგადო საქმის ტრფიალმა, და არა საპირადო რამ, იქამდის მიგიყვანა, რომ მოთმინებიდან გამოგიყვანა და ოჯახის შვილს ზრდილობაც დაგაკარგვინა! ახალ-გაზდაობა ახლად ამოღებული ყაქია, რომელსაც დახვეწა ექირვება და მისი დამხვეწიკ გამოკლილებაა. ღმერთმა ინებოს, რომ შენ მაგ გრძნობებისათვის ხელი არ შეგეშვას!.. საზოგადო საქმეების გამო

თავგამოდება ზნედ გადაგიქციოს! ევ აჩქარება, თავ-  
შეუკავებლობა, ცოტა წინ-დაუხედაობა და ამ გვარი რამ  
შეცდომები, ქერწლია, რომელსაც დრო გააცლის და  
გამოცდილება დახვეწავს!.. შენ ხანში სწორედ მეც  
მაგრე ვიყავი, მაგრამ დღეს-კი ისე რომ მოვიქცე არ  
შემშვენის...

შენც კარგად იცი, რომ მე ახალ ჩამოსულობაზე  
პირველ ხანებში, კრებულისთვის თუ, თვარა ჩემთვის  
საწირავსაც არ ვიღებდი. და დღეს-კი შენდობის წიგნს  
ვუკითხავ მსურველებს და მათგან მოწოდებულ წვლილ-  
საც ხელსა ვჰკიდებ. რადა? იმიტომ, რომ გამოცდი-  
ლებამ სულ სხვა რამეზე დამარწმუნა: ჯერ ერთი ეს,  
რომ ჩვენ ხალხს ადრიდგანვე ჩვეულებად ჰქონია,  
მღვდელ-მთავრებისაგან შენდობის გამოთხოვა რჯულის  
კანონად ჰქონია გადაქცეული!.. როცა შენდობას ით-  
ხოვს, ცხადია, რომ ის თავის გულში იხედება. სინა-  
ნულში ვარდება და ეს კარგია... ამ გვარი რამ ადა-  
მიანს გულიდან არ უნდა ამოურეცხოს! და რაც შე-  
ეხება სასყიდლის აღებას, ეს ისე აუცილებელ და  
საჭირო ძღვნად მიაჩნია ჩვენ ხალხს, როგორც ხატის  
წინ სანთლის ანთება! ამის აკრძალვას ისე მიიღებს,  
როგორც სანთლის ანთების დაშლას. ახლა პრაქტიკუ-  
ლადაც გავსინჯოთ ევ საქმე. ეს თვითო-ორიოლა წვლილ-  
ლი, რომელსაც იძლევიან თავის სურვილით, ამათ არად  
დააკლდებათ, ბევრი მათგანი სულ ცუდად დახარჯავს  
წარა-მარა სადმე დუქანში ღოთობის დროს და მე-კი  
ვაგროვებ და საზოგადო დანიშნულებას ვაძლევ. ამგვა-  
რად მათი წვლილის შეგროვება და ხარჯვა შემწირვე-  
ლისათვისაც მადლია და ქვეყნისთვისაც სასარგებლო.  
აი ეს არის ჩემი აზრი და ჩემი შეხედულობა და შენ

როგორც გინდოდეს ისე მოიქეცი, გინდ გაგზავნე ეგ სტატია დასაბეჭდად და გინდ არაო. ამის შემდეგ მე სწორედ სინანულში ჩავევარდი და უფრო ბრთხილად ვეკიდებოდი საქმეს!.. დიახ, ქვეყანა ქადრაკის ფიცარია და მაზე მსკლელობა და ცხოვრება-კი ქადრაკის თამაში. . . გამოუცდელმა და ჯერ სუსტმა მოქადრაკემ უნდა თვალ-ყურბ ადვენოს ცნობილს კარგ-მოთამაშეს, დაუკვირდეს, იფიქროს და შეისწავლოს მისი ხელობა!.. თორემ წარა-მარა რომ იძახოს, რატომ წინ წასწია ლაზიერი? მხედარი რად გასცვალა რკუში? პაიკი რად არ მოკლაო და სხ. — ეს ყოლიფერი მისი მხრით თავ-ხედობა და კუდაბზიკობა იქნება!..

გაბრიელისთანა მოძღვარი რომ ჩვენ ახალგაზდებ-საც გამოუჩნდებოდეს ხოლმე, მაღლია! — მაშინ ისინი ბევრ შეცდომას აიცდენდენ თავიდან და იმას აღარ განიმეორებდენ, რასაც ზოგიერთი მუცელ-ღმერთა ქადარა ინტელიგენტები გაიძახიან. და ჩვენ კი დასასრულ, კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ არც არავისთვის ხელი დაგვიფარებია და არც ყელში გვიტაცნია ხელი!... ავი ავად გვიხსენებია და კარგი კარვად. მტერს ტყუილ უღირსობას ვერ შევსწამებთ და მოყვარეს გამოგონილ ღირსებას ვერ მივაწერთ... იმას ვამბობთ, რასაც ვხედავთ და როგორც გვგონია...

სვანის თქმისა არ იყოს: „ვინც წვერებს მოუშვებს, განა ყველა დეკანოზიაო?“ ვინც ინტელიგენტობასა ჩემობს ჩვენში და საზოგადო მოღვაწე ვარო, გაიძახის, განა ყველა საქებია და სადიდებელი? ოპოზიციაში ვართო, რომ იძახიან, განა ეს საბუთია? ეშმაკი ხან-და-ხან საყდარშიაც კი შეძვრება ხოლმეო, ნათქვამია, მაგრამ მაინც უწმინდურია და მაინც!.. დეე, სხვებმა

იწამონ ისინი და ჩვენ კი საკმაოდ გამოცდილი გვყავს ყველა. — არა თუ ისინი, იმათი მთავარიც არ მიგვაჩნია ღირსეულად... მადლობა ღმერთს, ჯერ ისე არ დაგბრმავებულვართ, რომ ფუტურო და ნამდვილი მნათობი ვერ გავარჩიოთ!.. თვარა, წამოუსკუპებიათ ტიბეტელებსავეით „დალლაილამა“, გარს ღორ-მუცელა ქურუმები შემოხვევიან, მხოლოდ თვის საკუთარ კუჭს ემსახურებიან და გარეგანი ფარისევლური ქცევით კი უნდათ, რომ ხალხს თვალი აუხვიონ და ითაყვანონ!.. კარგი ხერხია, მაგრამ ვაი, რომ ვეღარა სჭრის ყველაზე! მართალია, ჯერ კიდევ ახალგაზდა გულწრფელ გამოუცდელებს აბრიყვებენ, მაგრამ ვეცდებით, რომ იმათი სიმართლე დავანახოთ და ამ ქურუმების თავგადასავალი, მათი დღიურიდგანვე ამოწერილი, საქვეყნოდ გამოვიტანოთ, რომ უმეტესობამ სიმართლე გაიგოს და მოჩვენებული ნამდვილად აღარ მიიღოს!.. ამ ხანად კი ეს კმარაყოფს.

აკაკი.

## ბანსაცდელი მთვა ქარაკლმ შქორაჲმდ \*).

სიტყვას ერეკლეს ჩვენ ქართველთათვის აქვს სა-  
ოცარი ძალი. როდესაც-კი ქართველი ამ სიტყვას  
გაიგონებს, როგორს მდგომარეობაშიდაც უნდა იმყო-  
ფებოდეს იგი, სწრაფად მოსდის მდუმარება. სახე მისი,  
რაც უნდა შეკმუხნილი იყოს, ქვეყნის ლელვით თუ  
რითაც, მიეცემა ღუმილებას და იმის გული ჰგრძნობს  
სანატრელს სიტკბობას, სიტკბობას, რომელსაც ძნე-  
ლად გამოსთქვამს ჩემისთანა ქართველი! მაგრამ ამ  
გვარი გრძნობა ქართველისა კი არ უნდა გვიკვირდეს;  
ამიტომ, რომ სიტყვა: ერეკლე გაუშლის ქართველს  
გონებაში ერეკლე მეორის ცხოვრებას. მაშინ იგი  
იმიტომ მიეცემა ღუმილებას, რომ ცოტა ხანგრძლივ  
შეიკაოს გონებაში ამ სასურველი მწეფის აზრდლი და

\*) ეს ამბავი მე კამიგონია მრავალ სარწმუნო ზირთავან,  
სხვა-და-სხვა დროსა, მაგრამ მათ შორის ერთი თვითონ შეს-  
წრებოდა ამ შემთხვევას. იმის სახელი იურ სტეიანე. იგი  
თხუთმეტი წლისა იმერეთიდან მსუღიუო ტფილისს, სწო-  
რედ იმ დროს, როდესაც ერეკლეს ეს ამბავი შემთხვეოდა.  
ამის შემდეგ სტეიანე წასუღიუო ვაქინს, სადაც გავიცანი იგა  
და ეს ამბავი მიიხრა. ავტ.

\*\*) გარდამხმცემელის ენას შეუცვლელად ვჭტოკებთ.  
რედ.

ყოველი დღე, რომელიც-კი მას წარმოუდგენს ერეკლეს ცხოვრებას, მიაჩნია დღესასწაულად. როგორც მოფობაშია ცუნდა იყოს ქართველი, ეყოფის იმას, წარმოიდგინოს ეს ბრწყინვალე მნათობი საქართველოს ცისა და გაინათოს იმითი სიბნელე ცხოვრებისა. ერეკლე და თამარძ არიან — მკურნალნი ყველა ქართველის წყლულებათა!.. ამით სარწმუნო ვარ, რომ რაც სთქვას კაცმა ერეკლე მეორეზედ, იგი იქნება, თუ არ აღმტაცებელი, საკმაოდ გამართობელი ერთობ ყოველთა ქართველთათვის.

ისტორიის და მოხუცნი მოგვითხრობენ, რომ ერეკლე იყო ღვთის-ნიერი, მოწყალე და კაცთ-მოყვარეო. თუმცა ეს თვისებანი ძნელად შეიძლება დაიცვას კაცმა, რომელსაც მთელს თავის ცხოვრებაში ბევრი სისხლის ღვრა და ბრძოლა გარდახედია თავს, მაგრამ ამ მეფეში რასაც ხედავდნენ — ყოველივე საოცარი იყო. ერეკლე უმიზეზოდ თავის დღეში მტერს არ დაეცემოდა წასახდენად, თუმცა იმის მამაცობა ისტორიაში მაგალითს ვერა ჰპოვებდა. საცა-კი შემთხვევა მისცემდა, ყოველთვის დავრდომილს ხელს უმართავდა. იმისი ღვთიური სიმართლე სამაგალითო იყო. მაგრამ ამდენ სიკეთესთან აუარებელი მტრებიც ჰყვანდა. როდესაც ერეკლე, ღვთისაგან კელ-მომართული, თავიზედ მოსულ მტრებს დაუმარცხებლად არ გაუშვებდა და ამითი ამაღლდებოდა, ყიზილბაშნი (თუნდ თეთრს კბილს უწვენებდნენ) და ოსმალნი გამძვინდებოდნენ და იმათს შურის-ძიებას აღარ ჰქონდა ზომა. ყიზილბაშების მხრით ერეკლეზედ უფრო ძნელად შესაძლებელი იყო ეფიქრა კაცს ბოროტი, იმისათვის, რომ იგი ერანს დიდს საშუალებას და სიკეთეს უშვრე-

ზოდა. ამ სიკეთისათვის ერეკლე ბევრს ფეშქაშებს და მადლობას მიიღებდა ერანელთაგან; მაგრამ ისინი მაინც ერეკლეს დიდებას გულ-გრილად ვერ უმზერდნენ. პირის-პირ რომ ვერა აენეს-რა, — ყუზილბაშთა და ოსმალთ განიზრახეს იმისი ქვებუდნობად წახდენა. ამის ასასრულებლად ისინი არა საშუალოს არა ზოგავდნენ და ხარჯავდნენ აუარებელს ფულებს; — საქართველოში კაცებს ჰგზავნიდნენ და არიგებდნენ, რომ ყოველი ღონის-ძიება მოეხმარებინათ ერეკლეს წასახდენად. რასაკვირველია პატიოსანი კაცი ამისთანა საქმეს კისრად არ იღებდა, მაგრამ თოკიდან გაქცეულებიც ბევრი იპოვებოდნენ, რომელნიც სიხარულით შეუდგებოდნენ ამას. ეს კაცები ზოგი ვაქრული ტანთ-სამოსით, ზოგი მათხოვრის სახით და სხ. გაფანტულნი იყვნენ მთელს საქართველოში. ხოლო იმათი აზრის ასრულება ისე ადვილი არ იყო, როგორც ისინი ჰგონებდნენ. მეფე ერეკლე გართული იყო მტრების დამარცხებით: — დღეს რომ კახეთს ან ქიზიყს ლეკები დასცემოდნენ, ხვალ ბორჩალოს ან ქართლს ოსმალნი დაეცემოდნენ, ზეგ მორჩილნი ხანები აუჯანყდებოდნენ. დღეს ერთს ამარცხებდა, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს და ამაში ერთი ალაგიდგან მეორეზედ გადადიოდა. ამ შიხეზით ოსმალების აზრი აუსრულებელი რჩებოდა. მაგრამ ერთი დრო ამათაც მიეცათ.

მეფე ერეკლეს კარზედ ერთი კაცი ჰყვა. ეს კაცი იყო გვარით სომეხი, ქართველის სარწმუნოებაზედ გადმოსული, ერეკლეს მამის, თეიმურაზის დროს და ეგრეთვე მეფის სარწმუნო კაცი იყო, მაგრამ ამის ქვებუდნობას არა ჰქონდა ზომა. როდესაც ნადირ-შაჰი ამაღლდა და მისი სახელი განითქვა, თითქმის მთელს



ქვეყანაზედ, მაშინ ამ კაცმა იფიქრა: — „ეხლა საქართველო აირევა და აგრეთვე ყოველი საქართველოში მყოფი. მოდი ჩემ თავს ერთი რამით ვუშველი ეხლაჯე, რომ მოსვენებით ვიყო.“ — ამ აზრით ის კაცი გაემგზავრა ერანს; რაც რამ ებადა, ყოველი თან წაიღო და თეორანში დაიწყო ცხოვრება. აქ, რამდენიმე ხანს შემდეგ, ვითომ მიზიდული მაჰმადის სარწმუნოების ჭეშმარიტებით, წარუდგა შაჰს და განუცხადა სურვილი მაჰმადიანობისა. ცბიერს მშვენიერი სახე და მოსული ტანოვნობა ჰქონდა: შაჰ-ნადირისათვის ამაზედ ამომეტებული საქირო არა იყო-რა; მაგრამ, რა ნახა იმისი მხურვალეობა მაჰმადიანობისადმი, მეტად ჩინებულად მიიღო, სასახლეში ადგილი მისცა და დიდად სწყალობდა ამან სარწმუნოებასთან სახელიც თათრული მიიღო და დაირქვა მალირაბიმო. როდესაც შაჰ-ნადირმა ერეკლე თავისთან წაიყვანა, მალირაბიმო ერეკლეს ძალიან შეუთვისდა და ეტყოდა: — „თათრების ძალ-დატანებით ვალეიარებ მაჰმადიანობას, მხოლოდ ჩემს გულში დაბადებიდგანვე იესოს ჭეშმარიტი სარწმუნოებაა დამარხული“. — ერეკლეს ხედავდა ამ კაცის ჩინებულს გაწრთნილებას, ანუგეშებდა და ეტყოდა, რომ იესოს სახელითვე მოეთმინა და, თუ საქართველოს ღმერთი კელს მოჰმართავს, იმასაც ნუგეში მიერგუნება.

ერანში, როგორადაც საქართველოში, ბევრი ცვლილება მოხდა. ნადირ-შაჰი მოჰკლეს, იმისი განთქმული სახელი მეფე ერეკლეზედ გადმოვიდა. მალირაბიმმა რა გაიგო ერეკლეს ბედნიერება და ახატ-ხანზედ ისეთი განსაცვიფრებელი გამარჯვება, ერთს დროს უეცრივ მიეფარა თეირნიდან ისე, რომ ჰგონებდნენ

მიწამ ჩაყლაპაო. რამდენიმე ხნის, შემდეგ, როდესაც ყველას იმედი გადაუწყდათ, მალი-რაბიმის სიტკიცხლფხედ, ირაკლი მოიწოდეს შუშისა და განჯის ხანებმა. რა ერთკლე განჯას მოვიდა, ერთს სალამოზედ. კარის კაცმა მოახსენა მეფეს:— „ერთი ყიზილბაში, ქართულს ენაზედ მოლაპარაკე, ამბობს მეფის ძველი მეგობარი ვარო და თქვენს ნახვას ნდომელობს“. — მეფემ, გაპატიოსნებულმა და მოწყალემ ყოველთა თავის ქვეშევრდომთა, ინება ყიზილბაშის მიღება. პირველად, რა ყიზილბაში შევიდა, მეფემ, თუნდ თვალი დაუშტერა, მაგრამ ვერ იცნა. ყიზილბაშმა თაყვანი სცა და მოახსენა მეფეს:— „თუ მოიგონებთ თქვენს თაყვანის მცემელს და მარად ეამს თქვენთვის მლოცველს, საწყალს მალი-რაბიმს?“ — მეფემ, რა შეიტყუა ყიზილბაშის სახელი, მაშინვე წარმოუდგა თავისი ერანში ყოფნა, რომელმაც ფრიალი სიამოვნება მოჰგვარა: გადაეხვია მალი-რაბიმს, მოისრა გვერდთ, მოაყოლა თავგადასავალი და ერანის მყოფობა. მალი-რაბიმს ენა არ დაუდგებოდა ტყუილების მოგონებაში და ისე გააქრელა თავის თავგადასავალი, რომ მეფე არა ერთხელი გაჰკვირდებოდა იმის მამაცობაზედ და სულ-გრძელობაზედ. შემდეგ მეფემ ანუგეშა, ღმერთს მადლი მისცა, რომ იმის წმინდანებით მშვიდობით გარდარჩენია ყველა განსაცდელს და აღუთქვა სასახლეში ჩინებული ადგილის მიცემა. მეფე ერთკლე, რასაც იტყოდა, უფიქრებლად არ იტყოდა და ამისათვის თქმულს უარს ძნელად ჰყოფდა. მობრუნდა ბუ არა კახეთს, მალი-რაბიმს აღთქმული ალაგი მისცა და თავისაგან არ იშორებდა. მალი-რაბიმმაც თავის პირ-ფარდას კიდევ სხუაც გარდააფარა ე. ი. ისევ ქრისტეს სარწმუნოება მიიღო. ეს ცბიერი კაცი

ისე მხურვალედ ასრულებდა ქრისტეს სარწმუნოების წესთა, რომ კაცს ეგონებოდა სული წმინდის ძალით სავსე არისო. მაგრამ იმის გულში ქრისტეს სარწმუნოებას, როგორც მაჰმადისას, ჩალის ღირსება არა ჰქონდა. ეს მხოლოდ გარემოებას ემონებოდა და ამიტომ მალი-რაბიმისათვის სულ ერთი იყო: ეპყრო რომელიმე სარწმუნოება, თუ არც ერთიარ ეპყრო. ყოველ ამდენ ქვებუნობასთან ნიჭი და გამოცდილებაც დიდი ჰქონდა. ამითი უფრო მეტი ღირსება მიეცა; როგორც მეფისაგან, ეგრეთვე ბევრთა წარჩინებულთა ქართველთაგან. ესე ამ მყოფობით მალი-რაბიმი დარჩებოდა მრავალი წელიწადი მეფე ერეკლეს სასახლეში.

ხოლო, იმ გამოგზავნილთ ყიზილბაშთ შორის ერთი ყიზილბაში იმყოფებოდა მალი-რაბიმის, როგორც იტყვიან, წიწმატის მეგობარი. იმ ყიზილბაშს სახელად ეწოდებოდა დოვლათ-მირზა. დოვლათ-მირზა ავაზაკობაში არაფრით არ დაუვარდებოდა მალი-რაბიმს; ამისათვის ეს იყო გამოგზავნილების თავი.

ი. ღა—სე.

(შემდეგი იქნება)

წერილე მმოკრე.

სამა ზოკტი

ა) გრაგოლ ორბეღიანა.



რიგოლ ორბეღიანი იყო ნამდვილი შვილი საშუალი საუკუნეებისა. მისი იდეალი არის იდეალი მეომრისა. ახალმა ცხოვრებამ დააჩნია მხოლოდ გარეგანი დალი მას. მან არ იცის ის სულის-შფოთვა, ის საშინელი, შქენჯნავი ექვები, რომლითაც იყო შეპყრობილი ბარათაშვილი. მისი გულის-წადილი განსაზღვრულია, იგი არაფერს ეძებს ახალს; იგი სწივის მხოლოდ ძველ დაკარგულ დიდებას. თუ ბარათაშვილს მომავლისკენ მიუქცევია პირი, მომავალში ეძებს თავის ექვების განმაქარვებელ წამალს, თავისი წყლულების დამაყუჩებელ მალამოს, გრიგოლ ორბეღიანს წარსულისაკენ უქნია პირი, იგი ნატრობს მხოლოდ წარსული იდეალების განახლებას, განხორციელებას, ახ-

ლანდელ ცხოვრებაში. მაშინ, როდესაც ბარათაშვილი სიხარულით აღნიშნავს:

„სადაც აქამდინ სმლით და ძალით ჭფულობდა ქართველი,  
მუნ სამშვიდობო მოქალაქის ჭმართავს აწ ხელი!

შავი ზღვის ზვირთნი ნაცვლად ჩვენთა მოსისსდე მტერთა,  
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძშეთა.

მაშასადამე, მაშინ, როდესაც ბარათაშვილი შეტ-  
რფის მშვიდს, მოქალაქობრივ ცხოვრებას, გრიგოლ  
ორბელიანი აი რას ეუბნება თავის განათლებულ შვი-  
ლებს:

„ჭკ განუსჯელო,  
უმადლო შეიღნო,  
საუბედუროდ, ცუდ დროს შობიღნო!

დრო მამებისა,  
მამაცობისა,  
წარვიდა მათთა სახელთა ქებით!

ვაი ჩვენს იმედს... ვაი იქვენს მოსვლას!...

ერმანი საწყაღნი,  
უბიწო გულნი,  
სწავლად მისულნი, წაჭხდნენ ზნეობით!...

უსსოება,  
ურწმუნოება,  
უმანკო გულში ღრმად ჩაუნერგეს;  
„ლოცვა რად გვინდა?  
ღმერთი რად გვინდა?

ჩვენი გზება ან ჩვენი ღმერთი!..“

და დაიწყებდა  
თქვენი აქ მოსვლა,  
და თქვენის სიბრძნის ნაყოფი უხამი.

აღინდენ მწერლები,  
ეურნალისტები,  
ვამ სიბრძნის... ვამ ჩვენს ენას!..

მათ უსწავდელთა,  
ცრუ-რუსთაველთა,  
სქელ წაგვიზიდეს ენა მდიდარი.

რომ ბრძოლის ცეცხლი,  
აჭსტედეს ფიტხელი,  
ხმლის ტრიალით, ძლევის ეიჟინით,  
იმ თქვენმა კმირმა,  
სულით ძლიერმა,  
ხელს ბაიროდით, ძირს დასცეს უარსი!..

ჰე, სასურველთ,  
კმირთა მამულთ,  
ნუ თუ შენ მართლად ესრედ დამცირდი,  
რომ შენსა ბედსა,  
შენსა იმედსა,  
დაქელმწიფენ ცრუ-ბრეტები?  
ცრუ-ლიბერალნი.  
ნატრიტები...

ამ ლექსის მაგიერად გრიგოლ ორბელიანს სხვა უფრო მკაცრი, უფრო მდიდარი ჰქონდა დაწერილი წინად.

ეს ლექსი მიტომ მოვიყვანეთ ასე სრულად, რომ აქა სჩანს გრიგოლ ორბელიანი მბელი მისი რწმენით და შეხედულობით, აქ იხედება დაუფარავად მისი გულუბრყვილო იდეალი. იგი სწუხს, რომ დაივიწყეს ძველებური მამაცობა და ძველი რწმენა. მას წინაპართ საფლავების შეურაცხება ჰგონია ყოველივე, რაც ეწინააღმდეგება ძველ რწმენა-შეხედულებას, ჩვეულებას. იგი წინააღმდეგია ახალი ენის, რომლითაც შესაძლოა გამოითქვას ახალი აზრი...

ყველა ამაში გრიგოლ ორბელიანის ცდებოდა, რასაკვირველია, როგორც ძველი კაცია. მაგრამ აქეს მის ლექსებს ერთი კარგი მხარე, რომელიც არასოდეს არ დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას. ეს არის სიყვარული წინაპრების გამირული მორღვაწეობისა, თავგანწირული ბრძოლისადმი, თავისი არსებობის დასაცველად გარეშე მტერთაგან. ეს მამაცობა, ეს ბრძოლა, ეს თავგანწირულება მოყვასისა და მამულისათვის, რომელიც იყო საჭირო, რომ ერთ მუჟა ხალხს თავი დაეცვა ურიცხვი მტრისაგან, შეადგენს საფუძველს მომავალი წარმატებისას, მომავალი ბრძოლისას სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის, მომავალი მოქალაქობრივი გამირობისას. გრიგოლ ორბელიანი პოეტი ჩვენი მამაცი წინაპრებისა, რომელნიც განუსაზღვრელი მადლობის ღირსი არიან ჩვენგან, რადგან მათ დაიცვეს, თავისი გამირობით, ჩვენი მშვენიერი ქვეყანა, დაგვიცვეს ჩვენ აუარებელ განსაცდელთა შორის.

ყველაზე უფრო შესანიშნავი ლექსი გრიგოლ ორბელიანის ლექსებში არის, ჩემის ფიქრით, სადღევრძელაო. აქ არის გამოთქმული წმიდათა წმიდა გრიგოლ ორბელიანის გულისა. ეს ლექსი არის ქება ჩვენი შესანიშნავი წინაპრებისა ფარნაოზიდან დაწყებული უკანასკნელ დრომდე. ლექსი პატარაა, მომქმედი პირების მოღვაწეობა ორიოდ სიტყვით არის ხოლმე გამოთქმული. მაგრამ ამ ორიოდ სიტყვით ნათლად არის გამოხატული, ნაწვენები არსებითი თვისებები გმირების მოღვაწეობისა. გრ. ორბელიანს აქვს ნიჭი ორისამი სიტყვით დაასურათოს ის, რასაც სხვა მრავალსიტყვაობითაც ვერ დაასურათებს. ეს არის ნიშანი დიდი პოეტური ნიჭისა. ავიღოთ, მაგალითად, ერთ-ერთი გმირის, თუნდ დავით აღმაშენებლის, დახასიათება:

„დავით ჭსოქვა: „იყავნ ქალაქნი!“ და აღმოსცენდენ  
ქალაქნი!

განჭვლე უდაბნო თხერი, — სავსედ დაბუბათ შეჭქმენა!

დაჭკარ წერაქვა, — და აღხნდენ ტაძარნი, ტურფად ნაშენნა!

სმა ჭყავ და აღსდგა ივერი ფენიქნებრ განასლებული,  
დიდების სხივით შემოსილ, მშვიდობით აღუწყებული!..

აღმხედრდა დაშქრად, — და იღტვას სულთანნი შეძრწუნებული,  
შირვანს, დერბენდი ჭყავ სავსდქრად, შენას ხმლით შემოსახული“.

მკითხველი დამეთანხმება, რომ უკედ გამოხატვა არ შეიძლება დავით აღმაშენებლის მოღვაწეობისა. აქ, ამ რვა პატარა სტრიქონში, არის ყოველიფერი, რაც-კი სამნიშვნელოა დავით აღმაშენებლის ცხოვრებაში. დავითი ისე დიდი, ისე ძლიერი იყო, ამბობს პოეტი-ეპიკოსი, რომ ერთი მისი სიტყვით შენდებოდნ



ქალაქები და დაბები, ერთი წერაქვის დაკვრით ჩნდებოდნენ ტაძრებში, საკმაო იყო, რომ მხოლოდ აღმხედრებულიყო, რომ გაქცეულიყო სულთანის, შეძრწუნებულიო. უკეთესი გამოთქმა, უკეთესი გამოხატვა ძლიერებისა, შეუძლებელია. ეს ადგილი უდრის, თავისი ზედ-მოქმედების ძალით, იმ ადგილს დაბადებისას, სადაც აღწერილია კისა და ქვეყნის გაჩენა.

მთელი ლექსი ამგვარი სურათებისაგან შესდგება. როდესაც ჰკითხულობთ ამ ლექსს, თქვენ თვალ-წინ იხატებიან, ერთი-მეორეს შემდეგ, შესანიშნავი სურათები, რომელნიც შეადგენენ ყველა ერთიანად დიად სურათს ჩვენის ისტორიული წარსულისას.

რასაკვირველია, ეს ლექსი ვერ წარმოდგენიდა მთელს ჩვენს წარსულ ცხოვრებას. მიზეზი ის არის, რომ გრ. ორბელიანი ეხება; ისიც მოკლედ, მხოლოდ პირველ კაცებს, პირველ გმირებს. და ძნელია, რომ წარმოიდგინოს ნათლად კაცმა მოღვაწის გმირული მოქმედება, როცა ვერ ხედავს მათ გვერდით პატარა მოღვაწეებსაც.

მიუხედავად ამისა გ. ორბელიანი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე თავისი შეუდარებელი სურათებით. მოვიყვანოთ მაგალითები:

მუსარადს მგელ-დამ გამოსასუღი,  
კელსა მახვალთ, ვინ მოვალს გრგვინვით?

ვით ბრძოლის ღმერთი, თვით. მბრძანებულა,  
მზად არს სამრად სსსე-შერისხვით!

ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი,  
რომლის შესეღვით სზასულნი ჭართადსენ,

მისწვდნენ ხდაც მის ძლიერნი მკლავნი,  
მტერთა შელეწდენ და შემუსრვიდენ!

აი ირაკლის სურათი:  
„აჭა ივერის ნუგეშ-დიდება,  
თვისას დროისა გამშვენებელი,  
მამაცთა შორის საკვირველება,  
პატარა კასი, მეფე ირაკლი!

წარბ-შეჭმუხნილი, კმალ-კელ მოწვედენით,  
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!  
ერთის შეხედვით, მტერთა შემუსრვით,  
ბრძოლა წამსვე გარდასწყდებოდა!

დღენი ამისნი ემსგავსნენ ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს,  
მას შუქა თუმცა კვინათებს, მაგრამ ვეღარ ვმზერთ მის სახეს!  
მამული ვეღარ იხილავს ირაკლას კმალსა მღელავარეს,  
დიდება ივერისა მასთან მარხისა სამარეს“.

რაკი ასეთი ნიჭის პატრონი იყო, რატომ ერთი  
ვრცელი პოემა მაინც არ დასწერა გრიგოლ ორბელი-  
ანმა? ამაზე უნდა ვსთქვათ, რომ გარეშე პირობები  
სრულიად არ უწყობდენ ხელს მისი ნიჭის განვითარე-  
ბას. გრიგოლ ორბელიანის ნიჭი ჩაიღუპა ცხოვრების  
ავ პირობებში. ჩვენი პოეტი ემსგავსება იმას,  
ვინაც მიწაში ჩაჰფლო და არ ასარგებლა თავისი ქანქა-  
რი. გრიგოლ ორბელიანს შეეძლო, სწავა პირობებში,  
გამედიდრებია ჩვენი ლიტერატურა შესანიშნავი თხზუ-  
ლებებით, მაგრამ განა მარტო გრიგოლ ორბელიანის  
ნიჭი დაუღუპავს ცხოვრებას?!

სანამ ამ ლექსის გარჩევას გავათავებდეთ, მოვი-  
ყვანთ ამ ლექსიდანვე გ. ორბელიანის ნიჭის ძლიერე-  
ბის მაგალითს ბუნების აღწერაში:

სადა შევჭხნათ ლაქვარდად ცისა კამარას მორთულსა,  
მასხედ მავალსა ხელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივე-  
ბულსა,

ღამით ვარსკვლავანს ფირუხსა, მოთვართი განათებულსა,  
სიტატხლის მომიუენს ჭაერსა, სუნსელებს შესავებულსა!

სად მთანი ეინვის გვირგვინით ზრიან ცადმდე ასულნი  
და მდინარენი სახილით ზვირთის ზვირთებზედ მსროლეღნი;  
უოსკრულნი-ჩაბნელებულნი, კლდენი თვალ-გადუწვდენულნი,  
სად მონადირე ჰსდევს ჯისვსა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუ-  
ბულნი!

სად ველნი, იერად ზურმუხტნი; საზადა აღმწვანდებიან,  
მათსუდ კასკასით წუარნი გასარებულნი მორბიან;  
გულს მათი ხილვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან!

აი ნამდვილი სურათი კავკასიისა. ამ თერთმეტ  
სტრიქონში არის გამოთქმული ყოველიფერძ: დამატე-  
ბა რისამე საკირო აღარ არის.

დასასრულ მოვიყვან მაგალითს; თუ რა ძლიერად  
გამოხატავს ხოლმე გრიგოლ ორბელიანი სიყვარულის  
გრძნობას. აი ერთი მისი ლექსი ამ საგანზე.

### მუნამბაზი.

გინდ შეძინოს, მანც ხელში მიზინვარ!  
თვალთ ავახელ, სუდ წამწამსუდ მაინვარ!  
ემსავითა მე ერთგული შენი ვარ,  
გინდა მკლავდე, არას გეტყვი.— შენი ვარ.  
სადაც წახვალ, მე მაშინვე აქა ვარ!  
გინდ ვერ მნახო, იცოდე, რომ იქა ვარ,  
რას გაწუხებ? მე ჩემთვის იქა ვარ,  
ჩემთვის ჩუმად ვამბობ: „რა ღამაზი ხარ!“  
რტო აღვისა შენი წელი მგონია;  
მაკ წელზედა ცისარტყელა მგონია;  
ეკ თვალები ცაში ელვა მგონია;

ვარდის სუნი შენი სუნთქვა მჯანთა;  
რას შედიხარას, ვჰსთქვა: „ტუთაევა, ჩემი ხარ!“

ათა გზა მაქვს, ათივე შეჩვენ მადის!  
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მადის!  
მინდა რამ ვჰსთქვა, შენი სახელი მადის!

უნდა შევნიშნოთ, რომ თუ წარსულში წინაპრებს და მათს მამაცობას ამკობდა, თანამედროე ცხოვრებაში ქალების ტრფიალებისა და ქეიფის მეტს ვერაფერს ხედავდა გ. ორბელიანი თავისი ყურადღების ღირსს. ეს ებიკურული მიმართულება უნდა მიელო მას იმ წრისაგან, რომელშიაც ტრიალებდა. არის, მართალია, მის ლექსებში გამოჩენილი ერთი ლექსი, რომელიც არ ეთანხმება მის საზოგადო მიმართულებას, ეს ლექსია: მუშა ბოქულაძე. მაგრამ, თუმცა ნიქიერად არის დაწერილი, იგი შეადგენს დისონანსს გ. ორბელიანის ლექსებში და აიხსნება ახალი, ხალხური მიმართულების ზედ-გავლენით გრიგოლ ორბელიანზე.

## ბ) ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი არის, მიმართულებით, თუ შეიძლება ითქვას ასე, გრიგოლ ორბელიანის ანტაგონისტი. თუ გრიგოლ ორბელიანს პირი უკან მიუქცევია, ბარათაშვილს წინ. თუ გრიგოლ ორბელიანი თავისი რწმენებით, ნაშდვილი შვილია ძველი დროისა, ნიკოლოზ ბარათაშვილი წარმოადგენს პირველ მაგალითს ქართულის გონებრივი და ზნეობრივი მოძღვრებისას, გამოფხიზლებისას. გრიგოლ ორბელიანში ყო-

ველივე გრძნობა და ყოველივე აზრი განსახდერულია; შეურყეველი; ნიკოლოზ ბარათაშვილს-კი დაკარგული აქვს სულიერი მკუდროება, იგი ეძიებს, შფოთავს, მას აწუხებენ, არ ასვენებენ სხვა-და-სხვა გვარი ექვები. გრიგოლ ორბელიანის რწმენა და შეხედულება იყო რწმენა და შეხედულება იმ წრისა; იმ საზოგადოებისა, რომელშიაც იგი ტრიალებდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი კი, როგორც სხვა, ახალი აზრებისა და გრძნობების კაცი, ვერ ურიგდებოდა მაშინდელ ცხოვრებას, მაშინდელ ჩვეულებას, და, ამიტომ ჰქონდა უკმაყოფილება ცხოვრებასთან. ნიკოლოზ ბარათაშვილს პირველად მიაშუქა ევროპის განათლების სხივმა, თუმცა პირდაპირ არა, ილმიცურად მაინც.

კაცი, რომელსაც აწუხებდნენ ფილოსოფური და ლიტერატურული კითხვები, ვერ შეურიგდებოდა მაშინდელ ქართველ საზოგადოებას, რომელსაც მიზნად ჰქონდა მხოლოდ დროს გატარება და რომელშიაც აზოგების მეტი არა იყო რა.

...არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე რეუნი ცხოვრება;  
რად იყო ფუჭი და მსაფრთხა ამაოება?..

ამბობს იგი ერთ ლექსში. ლექსში: „სული ობოლი“ იგი ამბობს, რომ საბრალთა ობოლი სული, რომელსაც დაეკარგა ნდობა ადამიანზეო:

აღდას აქვს მას ნდობა ამა სოფლის;  
კმინიან, იკრძაღვის, ადღა იცის,  
ვის აუწყოს დაფარული მან კრძნობა;  
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა,

აი რას ამბობს ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის-  
დროინდელ ქალებზე:

ქარმან ჩრდილსმან ყველაზედ ჰიწვეულ  
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!  
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,  
ოდონდ ვამოთ ჩვენს საკუთარს გულს;  
რის ქართველობა, რა ქართველობა!..

რა-კი ცხოვრებას ვერ ურიგდებოდა, რა-კი მხო-  
ლოდ ამოებას ხედავდა ცხოვრებაში, ერთად-ერთი  
ნუგეშის-მცემელი ბარათაშვილისა იყო მარტოდ-მარტო  
ყოფა, საიდუმლო მუსაიფი, ფიქრი ბუნებასთან. ბუნე-  
ბა განუსაზღვრელად უყვარს კაცს, საზოგადოდ, რად-  
გან კაცის სიცოცხლე მჭიდროდ შეკავშირებულია  
ბუნებასთან. ყოველივე, რაც-კი არსებობს ბუნებაში,  
თუ კი მავნებელი არ არის, გვაძლევს სიამოვნებას.  
ყოველ კაცსა აქვს მოთხოვნილება განთავისუფლდეს  
ხან-და-ხან ქვეყნიურ დრტვინვათა და ზრუნვათაგან და  
იგემოს სიამოვნება ბუნებისაგან; ყოველი კაცისთვის  
შეადგენს მოთხოვნილებას, ხან-და-ხან, მარტოობა. და  
ეს მოთხოვნილება მეტია, რასაკვირველია, მისთვის,  
ვისაც მეტი წყენა, მეტი სულიერი ტანჯვა ხვდება  
საზოგადოებაში. აი ამითი აიხსნება ძლიერი სიყვარული  
გენიოსებისა ბუნებისადმი, ამითი აიხსნება ამ გვარივე  
სიყვარული ნიკოლოზ ბარათაშვილისაც. მოვიყვანოთ  
მაგალითები:

### შემოდამება მთაწმიდაზედ.

ჰოა მთაწმიდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი,  
დამაუბიქრეელნი, ვერანანი და უღაბურნი,

ვითა შეენიან, რას მონამენ ცვარნი ციურნი,  
ოდეს საღამოს დაჭმოენ ამის ციარნი სულნი!  
ვითარც მამის იღუმაღლობა დაისადგურებს შენს არე-მარეს!

მასწივს იგი ღრთ, საამო ღრთ, რას ნადვლიანი,  
ჭლდეუ ბუნდარასთ, შენს ბილიკად მიმთვლილადი;  
და წუნარს საღამოს, ვით შეგობარს, შემოგეტრფოდა,  
რამ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

ჰე ცაო, ცაო, სატება შენი ჭკერ კიდევ ბეჭსე მაქვს დაწ-  
სეული!

მე შენსა მჭერეტელს მავიწყდების საწუთროება!  
გულის თქმა ჩუმა შენს იქითა... ეძიებს სადგურს,  
სენარს სასუფოს, რამ დაშობს აქ ამოება...  
დაფიქრებული ვადექ სერსედა, და ცაოა მიმართ მსარალს  
ტრფობითა;  
შემომეტრფოდა მასის მწუხარი, აღმურსენი ნაზრალთ მდუ-  
მარებათა.

მთაო ცხრეულთ, ხან მტინარო, ხან ცრემლიანო,  
ჟინ მოგინილთ, რამელ შეისვე თვისთა თქმით შეება  
არა იზოვოს და არ დაჭხსნას გულსა ვაება,  
გულ-დახურულია შეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

ჰსდუმდა ეთველი მუნ არე-მარე; ბინდი გადაკურს ცისა კამარს.  
მთჭსდევს მთოვარეს, უიფა მუჭნური, ვარსკვლავი მარტო მისა  
ამარსს;  
გინახათ სულთ, ჭკერდ უმანგო, მხურვალე ლოცვით მიქან-  
ტებული?

მას ჰკვანდა მთვარე, ნახად მთვარე, დისკო ცანდახრით შუქ-  
მიბინდუდა!

მყუდრო, მღუმარე, მოსვენებული ბუნება, ვრცე-  
ლი, თვალ-მიუწლომი ცა, მთვარის შუქით განათებული  
ასვენებს კაცის სულს, დაქანცულს ცხოვრების მღელ-  
ვარებისაგან, აძლევს მას შვებას, ჰხსნის გულის ვაებას.  
ამ გვარსავე შთაბეჭდვლებას ახდენს ლექსი:

### ფიქრი მტკვრის ჰარსკელ

წარგედ წყლის ჰინს სვედიანი ფიქრთ კასართველად;  
იქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;  
იქ ღბილს მღელფხედ სასუგეშოდ ვინამე ცრემლით,  
იქაც უთველი არე-მარე იყო მოწყენით.  
სულად მღელდავს მღელუდუნე მტკვარი ანკარა,  
და მის ზვირთებში ჰკრთის ლაგვარდი ცისა კამარა.  
ილაგვ-დაურდნობილ, ეურს ვუბდებდი შე მის ჩხრიაღსა,  
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავაღსა!

ნელად მღელვარე ანკარა მდინარე, სადაც ცის  
ლოტვარდი ჰკრთის, წყლის ჩხრიალი, ღბილი მღელო  
წყლის ჰირად, ყოველი ეს შვებას აძლევს დაწყლულე-  
ბულის გულს, ათავისუფლებს მწარე ფიქრებისაგან, აღვ-  
რევინებს პოეტს სასუგეშო ცრემლებს. ეს კიდევ არა-  
ფერი. მარტოობა, მარტოდ-მარტო ყოფა ბუნებასთან,  
ხელს უწყობს კაცს თავისუფლად მიეცეს თავის ფიქ-  
რებს. და ბარათაშვილიც ჰფიქრობს იმაზე, რაც არის  
მიზეზი მისი სულიერნი მღელვარებისა, ესე იგი, და  
რად იყო მაშინ ჩვენი ცხოვრება ასე „ფუჭი და ღმარ“.



მაგრამ იმ დროს ეს ფიქრი-კი არ აწუხებს მას; როდესაც კაცი მარტოდ-მარტოა მშვენიერ ბუნებასთან, შეუძლებელია წუხილი. არამედ იგი ფილოსოფიურად ეძიებს მიზეზს ამაოებისის და რწმუნდება, ბოლოს-და-ბოლოს, რომ ამაოება შეადგენს ბუნების კანონს, მსოფლიო თვისებასაო. ის, რაც დღეს არ ითვლებოდა ამაოებად, ხვალ ამაოებად ჩაითვლება, განვითარების ძალითაო; ცხოვრება მიდის სულ წინ-და-წინ, კაცი ვერაფერზედ მოიჯერებს გულსაო:

შინც რა არის ჩვენი ეფთვა-წუთისოფელი, აუ არა რაღა საწყაული აღუვსებელი? ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღუვსოს, და რაც მიედოს ერთხელ ნატურით, იგი კვმაროს? თუათონ შეუენიც უძლეველნიც, რომელთ უმაღლეს არ ვინდა არის და წინაშე არვინ აღუდგეს, რომელთ ხელთ ეხერასთ უმაღლესი სოფლის დიდება, ჭშოთთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „რადის იქნება ის სასუფოტა ჩვენი იფოს“, და აღიძვრან იმავე მაწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..

მერე ამბობს, რომ არც კეთილ მეფესა აქვს მოსვენებაო. როდესაც ერთ მოვალეობას მოიხდის ერის წინაშე, მერე სხვა მოვალეობა გამოუჩნდებაო. ამას გარდა, მისი სახელიც დაივიწყება როცა იქნება, და ერთ დროს ხომ სოფელსაც-კი ბოლო უნდა მოედლოსო.

ამგვარი ფილოსოფია აძლევს ნებას კაცს უფრო აუშფოთებლად შეხედოს კაცის ნაკლულევანებას. მაგრამ, ამასთანავე, არც პირველი კანონი უნდა დავივიწყოთო, რომელიც მოითხოვს წინმსვლელობას,

განვითარებასაო. ამიტომ, განვითარებული კაცია უნდა ცდილობდეს, შეიტანოს ცხოვრებაში თავისი ელემენტი, შეადგენდეს ნაწილს ბუნებისას და იღებდეს მონაწილეობას მსოფლიო მუშაობაშიო.

არც კაცი ვარკა, რომ ცოცხალი მკვდაწისა ემსკაცოს, აუთს სოფელში და სოფელს-კი არა-არა აკვოს!

ამით ათავებს პოეტი თავის ლექსს.

ამგვარი ფილოსოფიური შეხედულება, გამოწვეული ბუნებასთან მყოფობისაგან, აყუჩებს პოეტის აღშფოთებულ სულს და აღვრევინებს მას სანუგეშო ცრემლებს.

მაგრამ სრული განთავისუფლება ტანჯვათაგან ძნელია იმ კაცისათვის, რომელიც არ ეთანხმება არაფერში საზოგადოებას. ხსენებული ფილოსოფია აძლევს პოეტს მოთმინებას და უსახავს მას სიყვარულს მათდამი, რომელნიც ყვინთვენ ამაოებაში, მაგრამ მისი ტანჯვა, კაეშანი, მაინც დიდია, რადგან მას, როგორც ხორციელ კაცს, აქვს მოთხოვნილება თანაგრძნობისა, რომელსაც ვერ ჰპოვებს იგი თავის გარეშე. ამგვარ მდგომარეობაში მას ორში ერთი უნდა ამოერჩია: ან უნდა შეპრთობოდა იმ წრეს, რომელიც მას გარე-ერტყა, ან და კიდევ უფრო უნდა გაედიდებოდა ის უფსკრული, რომელიც სუფევდა იმასა და საზოგადოებას შორის. მაგრამ „ხმა იღუმალი“, რომელიც მოიწვევდა მას შრომისა და ჭეშმარიტებისადმი, ერთობ ძლიერი იყო, რომ პირველი ერჩია. ამ იღუმალმა ხმამსულ სხვა წილი არგუნა ნიკოლოზ ბარათაშვილს.

ლექსში: „მირბის, მიმაფრენს...“ ყველაზე უკეთ გამოიხატება ნ. ბარათაშვილის სულიერი მდგომარეობა. თავისი სულის მისწრაფება პოეტმა შეადარა მერანს.

რომელიც მირბის, მიფრინავს, რომლის ჴენებასაც საზღვარი არა აქვს. მხოლოდ ამ სულიერ. მისწრაფებაში, წინსვლელობაში, შეუძლია მას შეასუსტოს, შეამსუბუქოს თავისი შავად მღელვარი ფიქრი. ბევრი დაბრკოლება დახვდება პოეტს ამ გზაზე, ბევრი წყენა, ბევრი სამღურავი, მარტობა, სულით ობლობა, მაგრამ ვერაფერი ტანჯვა ვერ შეაფერხებს მის მსვლელობას, ვერაფერი ვერ დალაღვს მას ისე, რომ ოდნავ შეჩერდეს იგი თავის მსვლელობაში, ოდნავ შეაფაროს ფაფი ცხოვრების ავ პირობებს, ანუ სიცხეს და ავდარს, როგორც მეტაფორულად ამბობს პოეტი. მისთვის სულ ერთია, რაც უნდა დახვდეს წინ, კლდე, ღრე, ქარი... მის მსვლელობას ვერა შეაკავებს-რა, მას უნდა, რაც შეიძლება, მალე მოიახლოვოს ჴეშმარიტება, რომელიც არის ერთად-ერთი მიზანი მისი ცხოვრებისა. ჴეშმარიტების ძიებაში იგი დაჰკარგავს სწორსა და მეგობარს, მშობლებსა და სატრფოს, დაჰკარგავს თვით სამშობლოს, იგი იქნება უბედური, მაგრამ ყოველ ამას მოაქარვებიებს მალალი, კეთილშობილური მისწრაფება ჴეშმარიტებისადმი. იგი არ დაიმარხება თავის სამშობლოში, არ დაიტირება სატრფოსა და ნათესავებისაგან, იგი იქნება განწირული ამა სოფლისაგან, ვინ იცის, ეგებ ყორნების შესაკმელოდაც გახდეს სიკვდილის შემდეგ, მაგრამ მაინც არ შეუშინდება იგი ამგვარ ბედს, მას უნდა სძლიოს ამგვარი ბედი თავისი სულიერი უკვდავებით, თავისი მისწრაფებით ჴეშმარიტებისადმი. და ამ მისწრაფებაში მას ამხნევებს იმედი, რომ მისი შრომა, მისი მისწრაფება, მისი ძიება ჴეშმარიტებისა, ტყვილად არ ჩაივლის და გაუადვილებს სვლას ჴეშმარიტების გზაზე შემდგომ შთაქმთავლობას. ამი-

ტომ მას უქირავს ხელში ბაირალი, რომლითაც მოგვიწვევს წინ, შრომისა და ქეშმარიტებისადმი!

რაც შეეხება შემოქმედებით ძალას, ეს ძალა ნიკოლოზ ბარათაშვილშიაც ისეთია, როგორც გრიგოლ ორბელიანში. განსხვავება ის არის, რომ გრიგოლ ორბელიანის ენაში მეტი ალტაცება და სისწრაფე სჩანს, მისი ენა უკედ გამოხატავს გარეგან მოქმედებას, ბარათაშვილის ენა-კი უფრო აუჩქარებელია, დამაფიქრებელი, მწუხარე, თუმცა ლამაზი, შევნიერი და თან მხნე, მამაცური. ეს მხნეობა, ეს მამაცური ძლიერება, მიაღწევს უაღრესს წერტილს ლექსში: „მირბის, შიმადრენს“... ეს ლექსი არის შედევრი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებისა.

გ) ზეგან ქვერთელა. \*)

ნიკოლოზ ბარათაშვილი არ ეხშობოდა საზოგადო კითხვებს, საზოგადო ურთიერთობას. იგი მოიწვევდა თავის წრის კაცებს პირადი განვითარებისადმი. იგი იყო მწერალი ერთი წრისა. აკაკი ჰოვთია მთელი საზოგადოებრისა, მთელი ხალხისა; რგი ებება ყოველ წრეს საზოგადოებისას და მოიწვევს პროგრესისადმი ყველას ერთიანად. პროგრამმა ნიკ. ბარათაშვილის პოეზიისა იყო უფრო ვიწრო; აკაკიმ გააფართოვა პოეზიის პროგრამმა მით, რომ მიაღებინა მონაწილეობა პოეზიას ცხოვრების ყველა ინტერესებში. მიზეზი ამგვარი განსხვავებისა ამ ორ პოეტს შორის ის არის, რომ ბარათაშვილი სცხოვრებდა იმ დროს, როდესაც ჩვენში შეუძლებელი იყო ფიქრი საზოგადო კითხვებზე. იმ დროს ერთადერთი სახსარი ერის გამომუხიზლებისა, გამოღვიძებისა, იყო

---

\*) შეიძლება ზოგმა ნამეტნავად ჩამოართვას რედაქციას ამ მ-მე თავის დაბეჭვდა, მაგრამ იგი მოიქცა ასე მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ამ წერილებისათვის არ გამოეცვალა ავტორის მიერ მიცემული საერთო გეგმა,

სწორედ ლიტერატურული განვითარება იმ წრისა, რომელიც სათავეში უდგა ერის ცხოვრებას, და ბარათაშვილიც ამ განვითარებისადმი მოიწვევდა ამ წრეს. და როდესაც აკაკიმ დაიწყო თავისი მოღვაწეობა, მაშინ კი ძირიანად შეირყა ძველი საფუძველი: ათავისუფლებდნენ გლეხებს, და მას უკან ჩვენმა ცხოვრებამ მიიღო სულ სხვაგვარი მიმართულება: გლეხმა და ყოველმა იმან, ვინც იჩაგრებოდა წინად, დაიწყეს უფრო თავისუფალი, უფრო დამოუკიდებელი ცხოვრება; რასაკვირველია, რომ ვერც ლიტერატურა დასრუბოდა უწილო ამ საზოგადო მოძრაობაში. ლიტერატურამაც მიაქცია ყურადღება, ანუ, უკუდრომ ესთქვათ, დაეხმარა ამ მოძრაობას. ამას გარდა უნდა აღვნიშნოთ, რომ რაკი ერთხელ შეიძრა, მას უკან არ შეჭებულა ჩვენი ცხოვრება. წინად რომ უძრავი იყო, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ სულ წინ და წინ მიეშურება. თავისუფალმა ცხოვრებამ დაჰბადა თავისუფალი აღებმიცემობა და წარმოება. წოდებრივი განსხვავების აღგილს იჭერს თან-და-თან განსხვავება სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის. ქონება გადადის ერთის ხელიდან მეორეს ხელში, ცხოვრება უფრო ძნელი შეიქნა. უწინდელი მონობის მაგივრად იქნა თავი კიდევ ახალმა მონობამ... და ყველას ამას უნდა ემოქმედნა, რასაკვირველია, პოეტის მგრძნობელ სულზე და უნდა მიექცია მისი ყურადღება საზოგადო კითხვებზე. ერთი სიტყვით, თუ აკაკის თხზულებებში, — როგორც მის თანამედროვე მწერლობისაში, — საზოგადო ტენდენციაა, ეს უნდა მივაწეროთ საზოგადო ცხოვრების მოძრაობას, საზოგადო ინტერესების ერთმანეთთან შეხლას, ბრძოლას.

ვის მხარეს დაიჭერს პოეტი ამ ბრძოლაში? რასა-

კვირველია, მის მხარეს, ვინც უფრო დაჩაგრულია, დამონავებული. მე მისთვის მინდა ჩანგურიო, ამბობს პოეტი:

რომ დაჩაგრულს ამ სიმღერით  
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს,  
და მჩაგვრელს კი გულში ძვერით  
ისარიფით ესრობოდეს.

ამასთანავე პოეტს დიდი პატივისცემა აქვს ამ დაჩაგრულისა, რადგან იგია ერთად-ერთი პატიოსანი მშრომელი, მისი შრომით მდიდრდება ქვეყანა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ჰხედავდა ამოებას თავის გარეშე ყველგან, ამით აიხსნება მისი მწუხარებით სავსე პოეზია. აკაკის კი უფრო მხიარული შეხედულება აქვს ცხოვრებაზე, რადგან იგი დიდ მნიშვნელობას აძლევს ყოველ პატიოსანს, თუნდ უბრალო, შრომას, საჭიროს საზოგადოებისათვის. ავიღოთ მაგალითად „სიმღერა მკის დროს“. ვინც არ დაუკვირდება, იმას ეს ლექსი უშიშარსო, უმნიშვნელო ეგონება. მაგრამ ამ ლექსშია გამოხატული სიხარული შრომისა, გამამხნევებელი ადამიანის სულისა, სასარგებლო სხეულისათვის,—სიხარული, რომელიც არის საფუძველი ეროვნული ძლიერებისა. როდესაც ამ ლექსს ვკითხულობთ, რაღაც სიხარულის ჟრუანტელი დაგვივლის სხეულში: ეს ჟრუანტელია გახსენება იმ სიამოვნებისა, რომელსაც ჰგრძნობს კაცი სხეულის მოძრაობის დროს. და ამით თქვენ გემატებათ სიყვარული ცხოვრებისა და შრომისადმი და პატივისცემა მშრომელისადმი.

შრომა მაშინ უფრო ნაყოფიერია და მაშინ უფრო სასიამოვნო, როცა თავისუფალია. როცა პირადი ღირსება მშრომელისა არ არის დაჩაგრული. ამიტომ ასეთი

სიხარულით და აღტაცებით მიეგება აკაკი გლეხების განთავისუფლებას ლექსში „იმერული ნანიჩა“, რომელსაც უძღვნის იგი საბატონო კმების ახალ-შობილ შვილებს:

ღმერთს შენი ბედნიერება წახედ უსახავსო,

სხვებ რა გიჭირს: სომ შეიტყე, ბატონა არ გუავსო!

გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალია;

ბატონა ვერ შეკაწუხებს, ვერც გაკტებს ვაღაო;

შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალია;

ჭირისა და აჟ თვადისგან გიხსნის უვალია!..

მთელი ეს ლექსი სასიხარულო გრძნობის სხივებით ავსებს კაცის გულსა და სულს. თვით ენა არის მკატე, თავისუფალი, მხიარული, ლამაზი.

შრომა გამოიწვევს პოეტის თანაგრძნობას, რაც უნდა დაჩაგრული და შებორკილი იყოს იგი ავის პირობებისაგან, თუ კი მშობელს ჰსურს განთავისუფლება ამ პირობებისაგან, ჰსურს გატეხა ბორკილისა, რომლითაც შებოჭილია: და თუ კი კაცი იმდენად დაეცა, რომ აღარც ბორკილი აწუხებს, თუ-კი თავისუფლებას აღარ აფასებს მშრომელი, მაშინ თვით იგი წინააღმდეგია შრომისა, რადგან თავისუფლება არის უპირველესი პირობა, რომ ნაყოფი მოიტანოს შრომამ. აი პოეტის სიტყვები ამ საგანზე:

...დაცემული არის ღრ-გვარი:

ერთს ჰსურს ადგომა, უნდა თავის ხსნა,

და შეორე-კი კდა, ვაჲ მკვდარა!..

ერთი მოელის კაცთაგან შეკლას:

ებრძვის თვის დამცემს, რაც შეკლდება;

შეორე ვერ ჰკრახობს ჯმაჲსს უკლას,



და შტერს ზარუტევებერ ემძინილუბა!

ზირველს თუ შეხუდე, შრდმა უკურთხე,

ხელი მიეცე, წამოაუენე,

და მეორეს-კი ზედ დაფურთხე!..

იტირე, მაგნამ სურვი უხვენე!..

ნ. ბარათაშვილის თავისი პირადი განვითარებითან სიტყვიერი, ქადაგებით უნდოდა დაეცხრო თავისი აღ-შფოთებული სული, რომელიც ვერ ურიგდებოდა ამოცხოვრებას; აკაკი წერეთლისთვის-კი ეს არ კმარა, ლიტერატურა მას საშუალებად მიანიჭა სწავა, უფრო მაღალ მიზნისთვის: იგი ეძებს ხსნას საზოგადო მოღვაწეობაში. ამიტომ ებრძვის თვი ყოველსავე ავთვისებას კაცისას, რომელიც კი წინააღმდეგია ძმობისა, და გვისახავს გულში მძულვარებას იმ ორ-პირობისადმი, რამელიც არის საუბედუროდ, ყველგან ამ უკუღმართ დროში. პოეტი ჩივს:

ვნახე, რომ მეკობარი

თურმე აუღ ხუმარი!..

და იმის სიყვარულად

ხემდამი კი სიზმარი!..

ვახილე სწავლულები

მე სასელ-განთქმულები;

ვნახე, ტვინზედ ეწერათ:

„უცსურების შვილები!“

კეთალ კაცთან მივედი,

მასეღ-და მრჩა იმედი..

ტკბილად დაწველ სტუენა,

მოჭხიბდა უკვლას სმენა

და ბრძლის კბილებითა  
დამალა შავი ქნა  
სისსლათ უფარდა ხელი,  
კულში ედვა მას გველი,  
და შებლხედ-კი ეწერა  
შავად: „ფარასვეელი“

მკითხველი დამეთანხმება, რომ ახლანდელი დრო წარმოადგენს მშვენიერ ნიადაგს ყოველგვარ წინააღმდეგობის და უკუღმართობის აღმოსაცენებლად. ვინ არ იცის, რომ ამ გამწვავებულ ბრძოლაში არსებობისათვის ყოველი კაცი ჰფიქროვს მხოლოდ თავის-თავისთვის და ამიტომ, თვითულის ინტერესები ეწინააღმდეგებიან სხვების ინტერესებს. ვინ არ იცის, რომ გველივით შემპარავი პირუფრობა და სიცრუე კარგი საშუალება არის ახლანდელ დროში, რომ კარგად წაიგვაროს კაცმა თავისი კერძო საქმე, ... ამიტომ: პოეტი გამოუცხადებს სასტიკ ბრძოლას ყველაფერს, რაშიც-კი გამოცხადდება აზგვარი ორპირობა. იგი ამბობს: თარისვეელზე:

...ეგ რამ მუსიტებით იმტკრებს მკერდს,  
არ იცით, რამ თქვენც გატყუებსთ  
და ეტრუება თვითონ დმეტოს?  
ახა სინჯეთ—ერთხელ გარეთ  
სადმე ჩუმად მიეზარეთ,  
მაშინ ნახავთ, რამ იმაგ მუჟს  
გლენ-კაცს უტყავს თავში მწარედ.

აი კიდევ ერთი მაგალითი ამგვარი ორპირობისა:  
ჯერ არ შეშუქდო მთქმენმარა კარგად ფარსმალი,  
როდესაც მამა ბრძოლის ველზედ სასწლად დასწურეს!

დედამ ოდეს სცნა ეს ამბავა, მას ელდა ეცა;  
ველარ გაუქლო იმდენ ჯაკრსა, მუცელს გადაჭყვა!

მაშინ სელთ მაგდო კილაც უცნო მე დედაკაცმა,

ხელში ჩამიგდო კაკიება მან ერთა აცმა;  
მით მთმატყუა და ცრემლებიც მითი შემაშრო.  
მაგრამ ნაცვალნი დედის, იცით თქვენც, თუ რა არის!  
ტერისა კუჭა მისგან რომ ვერ გამოძებოდას!  
ას, მიუფაროს იმ კუდაურსა თვალში ნაცარი,  
რამ თბლის პვერი იმის ხელში გვიან ცხვებოდას!..

პოეტი გამოუცხადებს სასტიკ ბრძოლას აგრედვე  
ყველა იმას, ვინც ვერ ამართლებს საზოგადოების ნდო-  
ბასა და პატივისცემას, თუმცა დიდი ადგილი დაუჭერია.  
ამგვარი ლექსები მრავალი უწერია პოეტს. პოეტის

სასტიკი ირონია და მდაბიო, უბრალო ენა, გასაგები ყველასათვის, მიწასთან ასწორებდა ამგვარ პირებს და ახდენდა ძლიერს შთაბეჭდილებას საზოგადოებაზე.

უმთავრესი მოტივი აკაკის პოეზიისა გამოითქმება ლექსში „გამოკვლილი დრო“:

გამოცვალა ქვეყანა,

ჩარხი უკუღმა ტრიალებს,

ვარი კოკაბ ვარდს დაჭკალბს,

ბუღბუღი ვირებრ ღრიალებს!

    „ზამთარში სიცხე გვაწუსებს,

    ზაფხულში დგება ზამთარი;

    სამეხმა ხრმაღი აიღა;

    ქართველმა სომხის დაფთარი!

    ქურდები სჭრიან სამართალს,

    მართლებს უეროან ბორკილსა,

    და ქვეყნის მტერი იუდა

    დასტინის მამულის-შვილსა.

    ბრიყვი და უსწავლელები

    თავში უდგია ჭკვიანებს...

    კაჭკერეს ეს უამი ბარემ-და,

    ნეტავი რას იგვიანებს!..

კიდევ მეტის სიცხადით არის გამოხატული იგივე აზრი ლექსში „ახალი გზა“:

...აქ მონება ჭკუა არის,

    ორზარობა სიბრძნე დიდი,

და მას რჩება მოკლანი,  
ვინც გი არის მეტად ფულია!  
        ცოტა მალა ასასვლელად  
ძმა ძმას იხდის კიბე-ხიდად;  
მშობელს შვილი, შვილს მშობელი,  
ქმარს ცოლი ჭსურს კასასუიდად.  
        აქ თვით სჯული ფარისევლებს  
ხელთ უზურიათ ბაღუ-ქსელად  
ძლიერების სახირფეროდ,  
უძლიერების მოსაწყველად!

        მხალად საწყალ შიშის მუშქს  
არავინ ჰქავს გამკითხავი  
მასის თვლით თავს იკვებენ,  
ქურქად მიდის მისი ტყავი!

ამ გვარად, აკაკი იყო ჩვენში პირველი პოეტი,  
რომელმაც გამოუცხადა ბრძოლა ახლანდელი დროების  
უკულმართობას, წინააღმდეგობას, და იმ მტრობის და  
ორპირობის მხვიერ, რომელიც მოიტანა ახალმა დრომ,  
დასწერა თავის ბაიროლზე:

        . . . . . თავისუფლება,  
        ძმობა და სიუკარულია,  
        ვისაც არ ჭსურდეს ქვეყნისთვის  
        ღვთისცან იუჯს კრულია!

მას უჭირავს მხნელ ეს შაირალი, და ვაი მას, ვინც  
ამ ბაირალს უწალატებს: იმას მოეღოს საშინელი სსხ-  
ჯელი: მისი სახელი დაიწყებებო პოეტისაგან და სა-  
უკუნოდ შეჩვენებული გადავა შთამომავლობიდან შთა-  
მომავლობამდე. აკაკიხე შეიძლება ითქვას შემდეგი აღ-  
გილი ლექსიდან: „ჩემს მეგობარს“:

...მკვრამ შენ შენთვის არ ჭივიჭრებ:

ჭირბ რამ გადას კარზედა,

შენ მაშინ სტირბ და ჩივი

სამშაბღრის სტეკივარზედა...

უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი თვისება. აკაკის  
პოეზიისა. ყოველ მისს ლექსში გამოსჭვირს იმედი  
უკეთეს მომავალზე. ეს იმედი უნდა მივაწეროთ სამა-  
გალითო საზოგადო ცვლილებას, რომელიც მოხდა  
პოეტის მოღვაწეობის დროს, — ბატონ-ყმობის-გადავარ-  
დნას. ამ დიდმა საქმემ აუღელვა იმედებში გული ყვე-  
ლა მაშინდელ მწერალს. და სიშართლესა აქვს ამ  
იმედს: რა-კი ერთხელვე მოძრაობაში შივა საზოგადო  
ცხოვრება, მისი შეჩერება შეუძლებელია, როგორც  
შეუძლებელია, მდინარის შეკავება.

დასასრულ უნდა ვსთქვა, რომ აკაკიმ ღრმად შე-  
იგნო ახლანდელი ცხოვრების ვითარება, მისი ავი და  
კარგი. და რადგან კაცი ყოველთვის ნათლად გამოთ-  
ქვამს ხოლმე ყველაფერს, რაც კი ნათლად ესმის, ამი-

ტომ აკაკიც უბრალო, ყველასათვის გასაგები ენით სწერს. უბრალო, მჩატე, ადვილი ენა არის შედეგი ღრმა, ნათელი ცოდნისა. ბუნდოვანი ენით მწერალი მხოლოდ თავის უცოდინარობას ჰფარავს. ჩვენში კი ბევრს ენის ბუნდოვანება სიბრძნის ნიშანი ჰკონდა.

ენის სიმჩატე, სიადვილე, არ ნიშნავს ენის სისუსტეს. ეს სიადვილე, პირიქით, ძლევაა ადამიანისა ბუნებაზე. და აკაკისაც სწორედ რომ დამორჩილებული, ძლეული ჰყავს ენა. ამ გვარი ენა ბევრად უფრო სასიამოვნოა და უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე ძნელი გასაგები. რაც უფრო ადვილია ენა, იმდენად უფრო ძლიერია.

ამას გარდა აკაკისა აქვს იუმორისტული ნიჭი. მისი ცოცხალი გონება ადვილად აფარდებს ერთმანეთთან ცხოვრების ერთმანეთის წინააღმდეგ მოვლენებს და, ჰხატავს-რა ნათლად ცხოვრებას, გამოიწვევს ჩვენში სიცილს, რომელიც შუკების მომცემიც არის და თან მწარეც.

ხელოვნური ნიჭი მარტო ენის სილამაზით არ გამოიზომება. საჭიროა იდეალურად გამოხატვა ყოველისავე, რაც არსებობს ჩვენში ან ჩვენს გარეშე. აკაკის ნიჭი ამ მხრივ სრულიადაც არ ჩამოუვარდება გრიგოლ ორბელიანისას და ნიკოლოზ ბარათაშვილისას. პირაქედ, აკაკი კიდევაც აღემატება მათ ერთის მხრით: მან

შეპქმნა ქართული ლიტერატურული ენა. ასეთი დიდი მნიშვნელობა სხვას არაფერსა აქვს ჩვენი ცხოვრებისათვის. რომ აკაკის დიდი ხელოვნური ნიჭი აქვს, ამას ამტკიცებენ ხსენებული ადგილები მისი ლექსებიდან. ამგვარი მაგალითები შემოდლო მომეყვანა კიდევ მრავალი. აკაკის ზოგიერთ ლექსებში სწანს, მსგავსად ჩაქუხისა, შეუღარებელი სისწრაფე, ძალა, მშვენიერება. მოვიყვანოთ მაგალითი:

...და მუხს კარისხეული

ვეტუდი: „სარ წყეული!..

რად წამართვი სიამე

და აღმიშეფოთე სული!..

მესმის ეფეღგნით მტერობა,

კაჭმიქრა შეგობრობა

მას აქედ, რაც შენ იწვე

მუხავ, წემთან სტუმრობა!..

წამართვი ტასტად გული,

სედ დასდეგ სიეფარული

და მას აქედ აღარ მქვს

შიგ არ-რა დაფარული!..

ამ სიტყვების შესუხად აი რას ეუბნება პოეტს მუხა:

...განა ჭსური,

რომ გეავდეს შეგობრონი?

აჟა ჩემი ჩანგური!

შენი კვრესით მოიწუნს,



შენი ღხენით, შოიღხენს,  
და ცრემლში დამდნარ სამებს  
სამღერათ შესწამს, იღენს!

ანუ კიდევ სიტყვები მუზისა:  
. . . . ხან სიტკბო აიაფე,  
სახს ხაღუელი აქაფე!  
ქუშმარტუბა აქე  
და ბორბტი აქაფე!..

ლექსი, რომლიდანაც არის ამოღებული ეს ადგი-  
ლები, უნდა ჩაითვალოს შესანიშნავ ლექსად.

რამდენია ასეთი მშვენიერი ადგილები მის ლექ-  
სებში და ზოგიერთები მაინც კიდევ გავიძახიან, რომ  
აკაკის ლექსებს პოეზია აკლიაო! ვგონებ, უფრო იმ  
ზოგიერთებს აკლდესთ პოეზიის გავება!

ავიღოთ აკაკის ხელოვნური ნიჭის ნიმუში პრო-  
ზაში. რა მშვენიერად არის დახატული ძველი თავადი-  
შვილის ტიპი მის „როსტომ წყნეთელში!“ უკეთ და-  
ხატვას ვერ ინატრებს კაცი! რა ცოცხლად, რა ქეშ-  
მარტებით აღგვიდგინა, არც კალმის მფხმით, ეს ტი-  
პი და თან მთელი ჩვენი ძველი ცხოვრება! და დაეუმა-  
ტოთ ამას კიდევ, როგორც მაშინდელი ხალხის ჭასიათს  
შეეფერება, მოცინარე, გულკეთილი, მხიარული კელო  
მისი იუმორისა! თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ  
აკაკის „თავგადასავალის“ რამდენიმე გვერდი უკეთ  
გვიხატავს იმ ცხოვრებას, ვიდრე მზოგაერთი მწერლის  
მოზღაზნილი მოთხრობა.

საზოგადოდ, აკაკის ენა პროზაში შეუდარებლად ხალისიანი, ცელქი, ლამაზი, ხმოვანი, სასიამოვნო გასაგონია. შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ქართველის ყურს მეთორმეტე საუკუნეს აქეთ არ სმენია ასე მშვენიერი ენა...

იკიუნიტ

გ. წ.



ს ა ძ ა რ ი ვ ე ლ ო ს

დედა-ქალაქი

# ტ ვ ი ლ ი ს ი

გაგრძელება \*)

ერეკლეს შემდეგ საქართველოს გამგედ დანიშნულ იქმნა (1703 წ.) ვახტანგ VI სჯულ-მდებელი, რომელმაც ბევრი იზრუნა ქართლის გაშენებისა და ტფილისის გალამაზება-განკარგებისთვის. მანვე შეადგინა სამართლის წიგნი, გამართა სტამბა (1709 წ.), დაბეჭდა მრავალი წიგნი, შეადგინა კომისია შემოსაკრებად საქართველოს მათიანეთა, ქალაქს ააშენა სიონის გუმბათი და სამხრო და აგრეთვე სახლი პატიოსანი მიჭვრიტანისა და ოქროსა ვარაყითა შეთხიზნული. მემათიანე ამბობს: „ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის მეფე სამდინოსა სახლსა და განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა თანა; კვირასა და სამშაბათსა განაგებდა მეჯლიშსა, ნახევდის ღვინისა, გასცემდის უშურველსა საბოძვარსა. როცა სამართლისა ღვინისაგან მოიცილის, ინადირის და გავიდის მოედანსა, იბურთის და ისროდის ყაბახსა“. ვახტანგის ყველა ნამოქმედარს მოკლედ გადმოგვცემს მისი ეპიტაფია:

\*) იხ. «კრებული» № V, 1899 წ.

მე უძცარესმან მძათიგან, ვახტანგმან სახელ-დებულად,  
ვქმენ ოთხ წელ მცხეთა, ურბნისა სადგურ-გამარა გე-  
ბულად,

ტფილასს საიანა ხელახლა შევქმენ ქანდაკებულად,  
ჩემთვისცა სახლა სარკისა, შაგ ღხანა მოწონებულად;

სტამბა მოვიდე ჟღახეთით, გამრავლე წაგნთა ძელანა,  
ქცაას რუ ხუნანს წავადე, გაღმათად მოვრწეე ველანა,  
მამავრას რუ რამ ტბას შევრთე, შაგ თეფსა ჩავსხა  
ეველანა;

ქსე მთა მოვიხადარე; ვხადე არქმა, მკელანა;

სამართლას წაგნა დავწერე, მსახულს არ უნდა  
ცილობა,  
გეფხას-ტყვასნის თარგმნობა, სხვა წერაღთ არ ვსოქვს  
ცილობა,

ჩემთანა მეფეთა ჩაბუკთა უქმნა გარგა ზრდაღობა.

ბოლოს მაძალა სოფელმან, სამდადრე, მეფეთ შვა-  
ღობა! \*)

ამ სახელოვან მეფეს ბოლო მოუღო ტფილისის  
ბრძოლამ (1723 წ.). 1722 წელს ვახტანგი განუდგა  
ყაენს და მიემხრო პეტრე დიდს, რომელიც სპარსეთს  
ებრძოდა დარუბანდის მხრით. გაჯავრებულ თამაზ ყა-  
ენმა ქართლ-კახეთის სამეფო მისცა გამაჰმადიანებულს  
კოსტანტინეს (მაჰმადყულიხანს), ერეკლე I-ის შვილს  
(1723 წ.). პეტრე დიდი ამავე წელიწადს შეურიგდა  
ყაენს და დაბრუნდა. კოსტანტინე მოვიდა სპარსეთი-  
დან და ტფილისის მეციხოვნეებს, რომელნიც სპარსნი  
იყვნენ, აცნობა ყაენის განკარგულება. მეციხოვნეთ  
დანშეს ციხის კარი და თოფ-ზარბაზნის სროლა იწყეს.

\*) უფნ. „ავერია“, გვ: 104.

კოსტანტინემ თვისი ძმა თეიმურაზი (შემდეგ მეფე თეიმურაზ I, მამა ერეკლე II-ისა) კაი ძალი ჯართ შეაპარა მცხეთას და თვითონაც მოადგა ტფილისს და დადგა სეიდაბადს. ვახტანგმა და მისმა შვილებმა ბაქარმა და ვახუშტიმ (შემდეგ ისტორიკოსი, არქეოლოგი, კარტოგრაფი) დაამარცხეს იგი და განდევნეს. გარნა კოსტანტინემ მოიწვია დიდ-ძალი ლაშქარი ქარელ ლეკებისა, რომელნიც უკვე ფრიად გამძლავრებულ იყვნენ, აღუთქვა მათ ტფილისს აგაკლებინებოთ, და უგრძნეულად თავს დაესხა ვახტანგს, რომელსაც, თუ ფეხმარდიცნენი არ ჰყოლოდა, შეიპყრობდენ კიდევ. ვახტანგი შვილებითურთ გაიქცა გორს. ლეკნი შემოცვივდნენ ქალაქში და იავარჰყვეს იგი, დაატყვევეს მრავალნი, გახრწნეს ქალწულნი, დასწევს სიონი (1723 წ.). ამავ შემთხვევის შესახებ ჯალალიანცი სწერს: \*) «კოსტანტინე შევიდა ქალაქში ლეკთა სიმრავლით, ლეკნი მაშინათვე მოიბნენ ქალაქში და გაჩხრიკეს სახლები, ეზოები, ეკლესიები, ტაძრების ჭერნი და აკლდამანი. ქალაქი დიდი ხნიდგან არ იყო აოხრებული და მშვიდობით სტკბებოდა ეს უმდიდრესი და შნოიანი ტფილისი; მამაკაცი შეიქმნენ შრომის-მოყვარე ვაჰრებად, ხოლო მათნი ცოლნი და ლამაზნი ასულნი ფუფუნებით აღზრდილ იყვნენ. იგინი შეუდარებელნი არიან თვისის მორცხვისა და კეთილსათნო ცხოვრებით; სცხოვრებენ მშვენიერსა და მდიდრულად შორთულს პალატებში; ჭურჭელი და სუფრის მოწყობილობა ჰქონდათ ვერცხლისა და არა სპილენძისა. შესახებ მათ მდიდრულად შორთულობისა და შემკულობისა ძვირფას

\* Сборн. ест. о Кавк., т. VI, стр. 285,-286.

ქვებით, — იფიქრე შენ თვითონ, რაოდენადაც შეგიძლიან წარმოდგენა. რაღა ვსთქვა შესახებ ეკკლესიათა სიმდიდრისა და დიდმშენიერებისა, რომელთაც ჰქონდათ ოქრო-ვერცხლის ქურქელნი, შემკულ იყვნენ ოქსინოთი და სხ. საკუთრებით. ყველა ეს, რაც ავწერე, წარიტაცეს ამ ველურ, უღვთო, მსუნავ, გაუმახლარ, ნადირისა და წურბელათა მსგავს ლეკებმა; ამათვე ტყვედ წაიყვანეს ის ყრმანი და ქალწულნი, რომელნიც მოეწონათ. გარნა შეიძლება-ღა აღწერა სირცხვილისა და უბატორობისა და ვის შეუძლიან აღწეროს რაოდენობა წარტყვენილისა? თუმცა მეფე კოსტანტინემ აღუკრძალათ კვლა და ტყვენვა, გარნა ლეკნი არც მას უგონებდნენ და სთხოვდნენ დაპირებულს სასყიდელს. ამიტომ მეფემ მოქალაქეთ გარდაახდევინა 4000 თუმანი, მისცა ლეკებს და გაისტუმრა.

ტფილისიდან გაქცეული ვახტანგ მეფე დაღვა ცხინვალს. ამავე დროს ოსმალთ ომი ჰქონდათ სპარსებთან და დაეპყრათ ქვეყანა არზრუმიდგან თავრზამდე. 1723 წ. გაწაფხულს ოსმალთა 20,000 მეომარი შემოვიდა ერევანს და იქიდან გამოსწია ტფილისისაკენ. ჯარის წინამძღოლმა ვახტანგს შემოაუთვალა: „მძევლად შენი ნათესავი გამომიგზავნე და მე დაგიხობ მტერსო“. ვახტანგმა ოსმალებს მიაგება თვისი ძე ბაქარი და ძმა იესე. ოსმალნი მოვიდნენ ყურყუთას. კოსტანტინე შეშინდა, მიეგება ოსმალთ, ჩაბარა ქალაქის კლიტე და წამოუძღვა. ტფილისი ხიდეს ოსმალებმა, მის ციხეში იენგიარნი ჩადგნენ, კოსტანტინე დაბატომრებულ იქმნა. ბაქარი თუმცა გაამეფეს, გარნა ქვეყანას განაგებდა რაჯაბ ფაშა, რომელიც ტფილისს იჯდა და რომელმაც ეს ქალაქი რამდენიმე ნაწილად

გაპყო და ყოველი ნაწილი თავის მოხელეს ჩააბარა. ბაქარს გაუქირდა აქ ყოფნა, ჯაიბარა და მივიდა მამასთან. ვახტანგი თვისის სახლობითა და დიდ-ძალის ამართებით რუსეთს გადასახლდა. კოსტანტინემაც მოახერხა საპატიმროდგან გაქცევა და კახეთს მისვლა. გარნა ოსმალებმა კახეთიც დაიპყრეს და კოსტანტინესაც თავი მოსჭრეს ბეჟანბალს. ქართლის მეფედ გამოაცხადეს ვახტანგის ძმა იესე, რომელიც „შიიტი“ იყო და ახლა „სუნი“ გახდა. ოსმალთა მფლობელობა გავრძელდა 12 წელიწადს. ბუტკოვის სიტყვით \*) ოსმალთა მფლობელობა დამტკიცებულ იქმნა რუს-ოსმალთა ხელშეკრულებით 12 ივნისს 1724 წ. ამ ხელშეკრულების ძალით ოსმალეთისად ჩაითვალა საქართველო ტფილისსითურთ, აგრეთვე ერევანი, ყაზვინი და თავრიზი.

ოსმალთ ფაშას ისაყს მოუვიდა სულთნის ბრძანება ტფილისის სიონი მეჩითად აქციეო. ამ ბრძანებას წინააღმდეგა ამილახორი გივი, ტფილელი დომენტი და მრ. სხვანი, დიდი ძღვენი მიართვეს ფაშას და ძლიერ დაიყოლიეს, არ წაეპილწა ღვთის სახლი (იხ. ეკლ. მუხ. სიგელი № 733).

1735 წელს სპარსები სასტიკად შეეზნენ ოსმალებს და მიიშველიეს თეიმურაზ მეფეც. ამ წელს ნადირმა შემუსრა ოსმალთა ძლიერება განჯას და უკუაქცია. სპარსნი მოადგნენ ტფილისს. ყაენმა ფაშას შეუთვალა: გაგწყვეტავთ, თუ ქალაქი კარს არ გამიღებსო. ამასობაში სულთანმა ზავი შეჰკრა ყაენთან და დაუთმო

\*) ბუტკოვა, გვ. 52, 61, 99; სეხნია ჩხეიძე, გვერდი 332.

მას ერევანი, განჯა, ლორე და ტფილისი. ისაყ-ფაშა და მისი შვილი უსუფ-ფაშა (სამცხის ათაბაგნი), რომელნიც ტფილისში იდგნენ, აიყარნენ და ახალციხეს წავიდნენ. მათ ბარგი-ბარხანის წადებას მოუხდა 300 ურემი. ტფილისს შემოვიდა თამაზ ხანის (ნადირის) სარდალი ალიყულიბეგ, რომელმაც ქალაქს წაართვა 8,000 თუმანი, სახასო სოფლებს 3,000 თუმანი, პური 1,000 ხარვარი (10,000 კოდი). ამის შემდეგ ქალაქში შემოვიდა თვით თამაზხანიც დიდის დიდებით (6 ლვინობისთ. 1735 წ.). მემატთანე ამბობს: „თამაზს გაუშალეს მოქალაქეთ ფიანდაზი ციხის კარიდამ ალაყაფის ჩარდახამდის, დადგა ჩარდახში და შიგნით არამი დააყენა“. ქალაქიდან ყენმა გაუსია ჯარი ქართლს, რომელიც ააოხრეს, დაატყვევეს, დასწვეს, შეაბილწეს ეკკლესია, გააოხრეს შიომღვიმე ხატითა და მორთულობითა, ტყვედ წაიყვანეს 800 კომლი, მოსრეს ყმაწვილნი ეროდეს მსგავსად: ჩივილს ჰყრიდნენ, ხოლო „დიდი, რომელიც დავარდის, ცხვირსა და ყურებს აჭრიდიან“. ასრე მძვინვარებდა თამაზი ოკტომბრის 25-მდე და ამ დღეს კი აიყარა ქალაქიდან და შეესია კახეთს, ქარს და დადგა მულამს, საცა მას მიულოცეს გახელმწიფება და იგი იწოდა ნადირშად (9 მარტს 1736 წ.). აქ მყოფობისას ყენმა ქართლს შემოაწერა 3300 თუმანი, ხოლო ქალაქში უნდა დამდგარიყო 500 მისი ნოქარი ცოლშვილითა და კაც-ცხენ იარაღითა.<sup>4)</sup> თამაზის თანამედროვე და თანამგზავრი სომხეთის კათალიკოსი აბრაამი სწერს<sup>5)</sup>: „ტფილისში კიდევ დავრჩი

4) სენზა ჩხეიძე, გვ. 340.

5) Собор. свѣд. о Кавк., стр. 287.



3 დღე, რადგან გაძლიერებულ ყაენს ებრძანებინა აყარათ 300 კომლი მოქალაქე და გადაესახლებინათ ხორასანს. აღწერეს 300 კომლი და შეაგროვეს რომელიღაც ეკლესიაში. ეს საცოდავნი საზარლად სტიროდნენ და ყვიროდნენ. ყაენის დიდებულებს ვსთხოვე გაენთავისუფლებინათ ეს საცოდავნი და მათ მაგიერ აეღოთ 3,000 თუმანი და 3,000 ტომარა პური. ჩემი თხოვნა შეისმინეს“.

მულამიდან ყაენი წავიდა ყანდაარს და აიღო იგი (16 მარტს 1737 წ.), შემდეგ დაიბარა ერეკლე და გაილაშქრა ინდოეთს, რომელიც დაიპყრა და დაბრუნდა. ერეკლე დააჯილდოვა და გამოისტუმრა. „პატარა კახმა“ ალავერდს მოაწია 13 დეკემბ. ღამის 4 საათზე 1739 წ. ყაენიც მოვიდა და შეესია ლეკეთს დარუბანდის მხრით, ხოლო თვისის დიდძალის ლაშქრის გამოკვება დაავალა საქართველოს და ქართლიდგან წააღებინა 300,000 კოდი პური, ამას გაზდა ქართლიდგანვე მოითხოვა: ერთგზობისას 6000 ხარი, რომელსაც განჯიდან პური აჰკიდეს და წაიღეს დარუბანდს; 3000 შებმული ურემი, რომელთაგან ყოველი დატვირთული იყო 200 ლიტრა პურით, კიდევ სხვა წავიდა დაღისტანს; 2,000 ურემი გაიგზავნა მესამედ. გარნა ეს არ იქმარა ყაენმა. ქართლს კიდევ შემოაწერა: ქალწული 300, ვაჟი 300, ქვრივნი ქალნი 300, 500 კომლი მოსახლე და 20,000 ხარვარი პური (2,000,000 ლიტრა). ქვეყანა მთლად გაღატაკდა და უარი შეუთვალა ყაენს. ნადირმა გაცეცხლდა, გაბრაზდა და საქართველოს აოხრება განიგულა. გარნა ამ დროს ყარსის მხრით შეესივნენ სპარსეთს ოსმალნი. ყაენი დაღისტიდან ყარსისკენ წავიდა. აღრიბეჟანსა, ახალციხესა და სხ. გამოჩნდნენ რამდენიმე კაცნი, რომ-

მელთაც თავისი თავი ნადირისაგან მოკლულ ყაენის მემკვიდრედ გამოაცხადეს. ნადირას საქმე გაიხლართა, გარნა თეიმურაზ მეფისა და ერეკლეს შემწევობით ყველა მტრები ყაენმა შემუსრა და თეიმურაზ-ერეკლესაგან დაკალეხულ ნადირშამ ქართლის მეფობა უბოძა თეიმურაზს და კახეთის ერეკლეს (1744 წ.). მთელი ამერთი დიდს სიხარულს მიეცა. ქალაქი ტფილისი შეუდგა მზადებას მისაღებად თეიმურაზის მეუღლის, თამარ-დედოფლის, რომელიც უნდა გადმოსახლებულიყო ტფილისს თელავიდან. დიმ. ორბელიანმა ტფილისის სასახლე მოაფარდაგვინა, დედოფლის მისაგებებლად დაადგინა მოქალაქენი და სამღვდელთა დასნი. ერეკლემ ჩამოიყვანა დედა თვისი, მიეგებნენ დედოფალს ერთა გუნდნი და დედათა ბანაკნი, შეასხეს ქება, დაუგეს ფიანდაზი, მიართვეს შაქარ-საყნოსელი და მადლობდნენ ღმერთსა და ამბობდნენ: „ვინ გამოგვიჩინა ხსნად ჩვენდა კირვეულთა და გვიხსნა მტერთაგან ჩვენთა!“ მობრძანდა დედოფალი დიდებით და დაბრძანდა ტახტსა ზედა. მიეგებნენ დარბაისელთა ჯალაბნი, დაულოცეს ტახტი და დაიწყეს ნადიმი. შეიქნა მეჯლისი და იყო ღვინი და განცხრომა უზომო. შემდეგ თეიმურაზი მეფედ ეკურთხა მცხეთას (1745 წ. 1 ოკტ.), გარნა სიხარული მალე გაუშხამდა: დასწეულდა თამარ დედოფალი, რომლის განსაკურნებლად „შემოიკრიბნეს აქიმნი ქალაქით ანუ სადა იყვნეს აქიმნი, ყოველნი მოიწვიენეს, გარნა ამით ვერა უშველეს-რა, და გარდაიცვალა სანატრელი თამარ (1746 წ.). მისთვის მწარედ იგლოვა ყოველმა, სულმა და ბნელსა შინა ჩაჯდა 15 დღე.

აქვე შემოგვაქვს ტფილისის აღწერა ვახუშტი ბატონიშვილისა, რომელსაც ამ ქალაქის გეგმა შეუდგა

ნია 1735 წ. თებერვალს და ტფილისის აღწერა შეუ-  
ტანია ქართლის გეოგრაფიასა და ისტორიაში (1744 წ.).

„ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს. კალას უდის (მტკვარი) ჩრდილო-აღმოსავლით, ტფილისს ჩრდილოთი და ისნს დასავლით და სამხრით. ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სოლალაკის წყალი, რომელი გამოდის წავეკისა და კოჭრის მთებსა, სამხრით და აღმოსავლით უდის კალას და დასავლით ტფილისს. არამედ პირველ იყო დაბა. 27 მეფის ვარზა-ბაკურის ჟამსა შინა აღაშენა შურისციხე მცხეთისათვის ერისთავ-მან სპარსთაგან. შემდგომ გორგასალმან დადვა საფუძველი. დაჲმ, 34 მეფემან, ქმნა ქალაქად და ტახტად მეფეთა, და მურვან-ყრუს შემდგომად შემუსრეს ხაზართა და აღაშენა ამირ აგარიანმან. შემდგომად შემცირებისა მცხეთისასა და აოხრებისა მისისა, უმეტეს ტახტი იქმნა ბაგრატიოვანთა. ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ; არს მით აბანონი ექვსნი და დიდშენნი ავაზანნი. მოდის მომდინარე ცხელი წყალი. აქ თაბორს ყოფილა ციხე, არამედ აწ შემუსრვილი არს. აქ დასხნა შასეფიმ სეიდნი, მისგამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს. ყოფილან ეკკლესიანი დიდშენნი, არამედ აწ შემუსრვილნი არიან.

„კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა და ჩამოზღუდვილი სალალაკის-ვევით მტკვრამდე. სალალაკის-ხევის კარს უწოდებენ განჯის კარად. მაღალს ციხეში არს ეკკლესია გუნბათიანი წმიდის ნიკოლოზისა, და სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შეენიერნი. არამედ დაუტევა 89 მეფემან როსტომ, ჩამოზღუდა კალა ციხიდან კალას ყურამდე და მისცა სპარსთა (მიერიდგან უპყრავთ მათ), და თავისა თვისი-

სათვის სამეფოდ ალაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა  
სასახლე, მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა.  
ხოლო 94 მეფემან ვახტანგ ალაშენა სახლი შვენიერი,  
სრულიად სარკისა და მოოქროვილი, დიდ-მხატრობითა,  
ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა; შემუსრეს  
ოსმალთა.

„არს კვალს ეკკლესია გუნბათიანი, დიდრ, დიდად  
შვენიერი, სიონი, წოდებული ღვთის-მშობლისა, რომ-  
ლისა საფუძველი დასდვა 39 მეფემან გურამ, შემდგო-  
მად შეასრულა ჭვრივმან ვინმე და მოქალაქეთა, და 41  
მთავარმან ადარნასემ, ზოლო აწ დარღვევასა ზედა  
მიხდილი განაახლა და ალაშენა ძირიდან გუნბათითურთ  
94 მეფემან ვახტანგ. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ტფილი-  
სის სამხრით ქციისამდე.

„არს კვალად ეკკლესია ჭვარისა, გუნბათიანი,  
შვენიერი. განაახლა აწ იმერლისშვილმან.

„არს კვალად ანჩის-ხატი, დიდი, უგუნბათო, კა-  
თალიკოზისა; შემუსრვილი ალაშენა კათალიკოზმან  
დომენტიმ, ძემან ჭაიხოსროსამან.

„არს კვალად ეკკლესია ნათლისმცემლისა, რომლის  
გუნბათი მოარღვია 89 მეფემან როსტომ და სხვით განა-  
ახლა 94 მეფემან ვახტანგ.

„არს კვალად დაბალს ციხესა შინა ეკკლესია გუნ-  
ბათიანი და აწ ცარიელი, და სხვანი გუნბათიანი არიან,  
—სამი უპყრავთ სომეხთა; უგუნბათო ალაშენა კარის  
საყდრად 89 დედოფალმან მარიამ. კვალად ალაშენა 94  
მეფემან ვახტანგ ორი უგუნბათო. 90 დედოფალმან  
როდამ ალაშენა ერთი უგუნბათო, კვალად უგუნბათო  
ოთხი, —აწ უპყრავთ სომეხთა.

„ხოლო ხიდის ყურს აღაშენა მეჩითი შაჰ-ისმაილ; 89 მეფემან როსტომ აღაშენა ციხეს გარეთ ერთი, სასახლესა შინა ერთი, და განჯის კართან ერთი. ურუმთ (ოსმალთ) ქორონიკონსა 1727 აღაშენეს სამი, არამედ შემუსრნა შაჰ-ნადირ.

„ისნს არს, კიდესა ზედა მტკვრისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა, ეკკლესია მეტეხი ღვთის-მშობლისა, გუნბათიანი, დიდშვენიერ-ნაშენი, საარქიმანდრიტო; შემუსრვილი აღაშენა 66 მეფემან დიმიტრიმ; 92 მეფემან ერეკლემ მისცა სპარსთა, და არს უქმად.

„აქ განვალს ხიდი კალიდამ ისნს, ციხიდამ ციხესა. ხოლო ხიდის ყურის სამხრით არს საფლაფი წმ. აბოისი, რომელი იწამა სპარსთაგან ტფილისს. ხოლო ისნის ციხე ყოფილ არს დიდი, რომელსა განაახლებდნენ ოსმალნი ქორონიკონსა 1728, და დაშთათ უსრულნი. ისნს არს ეკკლესია ერთი, უგუნბათო, არამედ გუნბათიანი ორი, და უგუნბათო ერთი უპყრავთ სომეხთა. ყოფილან ძველად მრავალნი ეკკლესიანი ტფილისსა, კალასა და ისნს, არამედ აწ შემუსრვილნი არიან.

„კალა მოზღუდა მეორემან შაჰ-აბაზ, პირველ შემუსრვილი. სამხრით მოავლო სალალაკის კლდეზედ, დასავლით ქმნეს ორი კარი, ჩრდილოთ ორი კარი. ზღუდეს გარედ უხმობენ აწ გარეთ-უბანს, სადაცა არს ასპარეზი. აქა არს ეკკლესია გუნბათიანი ორი, უგუნბათო ორი, უპყრავთ სომეხთა, ხოლო უგუნბათო ორი უპყრავთ ქართველთა. კალას არს რომაელთა ეკკლესია ერთი და მონაზონნი. ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა ტფილისს, და განყოფით: კალას ტფილისსა, ტფილისს სეიდაბათს და ისნს ავღობარს, და გარეთუბანი არს ტფილისისა. მსახლობელნი

არიან! ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მაჰმადიანნი, ხოლო ციხეს გარედ უფრო სომეხნი და მცირედ ქართველნი, ქცევა-ზნით ქართულითა. სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გაღვსილი გაჯითა, ზოგთა სპარსთ რიგისა, ზოგთა ქართული. არამედ ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი ქვითკირისანი არიან. ჰავითა არს მშვენი და მხიარული, ერნი მშვენიერნი და მშვიდნი, ქალნი ფრიად კეკლუცნი. გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვავილითა სავსე, განა ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშევრნი. ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი; გაზაფხულ-შემოდგომა მშვენი და სატრფო. სანადირონი მრავალნი ახლოს, ფრინველთა და ნადირთა.

„ხოლო კვალად დასავლით, იშიტუტრუქის კლდესა შინა, არს მონასტერი მთა-წმიდისა, და აწ ცალიერი.

„ხოლო ტფილისის სამხრ-აღმოსავლით არს ნათლუხი. მუნ დის ნავთი, კიდესა მტკვრისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ აიღების.

„აღმოსავლით ტფილისისა არს ლილო: არა არს მუნ ვენახნი და ხილნი მთობისაგან, და არს უმდინარო წყაროებითა, და ნაყოფიერებს მთურად. ტბანი არიან მცირენი და უთევზონი, მყვრითა (ბაყაყით) სავსე. სხდების წერო და ბატი მრავალი.

„ტფილისის ჩრდილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის-ტერფი. ტფილისიღამ მცხეთამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი.

„კვალად ტფილისის ჩრდილოთ არს ლურჯ-მონასტერი, ეკლესია წმ. გიორგისა, უგუნბათო, დიდი, აწ

ხუცის სამარ. ვერესა ზედა არსხიდი დიდი ქვიტკირი-  
სა; განა ვერე წყნეთამდე წალკოტითა შემკული და  
მრავალნი. მის სამხრით არს ველი საბურთალისა. ამას  
შინა ყოფილა რუ ვერიდამ მოტანილი და აწ უმისოდ  
უნაყოფო არს. მას ზევით არს ტბა ლისისა და მის და-  
სავლით მთა სხალ-დიდისა, კეთილი აგარაკი და შკენი-  
ერი ყოვლითა. ამისამხრით ხეობა დიდმისა... არს წო-  
ლორეთამდე ვენახოვან-ხილიანი და მას ზევით მთებრი.  
სამხრით არს ველი დიდი დიდმისა, უნაყოფო, არამედ  
ბალახოვანი და ზამთარს იზრდების ცხვართა და ზრო-  
ხათა სიმრავლენი. ნაქულბაქევს ზევით არს დევის-ნამუ-  
ხლარი, — კლდე გაქრილი გზად. მას ზევით მუხად-  
გვერდი. ვერე, რომელსაც წინად ერქვა სკვირეთის  
მდინარე, გამოდის დიდგორის მთას. იგი ერთვის  
მტკვარს ჩრდილოთ კერძ ტფილისისა და მის შესარ-  
თავს ზედა არს ლურჯომონასტერი. ეს სკვირეთის მდი-  
ნარე არს კოჟრის ჩრდილოთ კერძ. ციხე აზეულასი  
და აწ კოჟრისა არს თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის  
სამხრით არს სასახლე მეფისა კოჟორი; აღაშენა 89  
მეფემან როსტომ, უმეტეს 91 მეფემან გიორგიმ და 94  
მეფემან ვახტანგ. დგებოდნენ ზაფხულს მეფენი.

„ტფილისის სამხრით არს კრწანისის გორა და მის  
გალმართ ლოქინის ხევი (ომანის ხევი), გამოღმართ  
თელეთები, კუმისი და სხ. კუმისი არს დაბა დიდი,  
ვენახოვანი, ლეღვიანი, ბროწეულიანი, ხილიანი. ამის  
მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი, ბრინჯ-  
ბანბის გარდა; კანაფი უმუშაკოდ სცენდების. მტკვრის  
კიდევად არს ქალა ყურყუთა (აწ სოღანლულად წო-  
დებული); ნაყოფიერი ყოვლითავე“...

ზევით შეენიშნეთ, რომ მეფე თეიმურაზმა და მთელმა მისმა სამეფომ თამარ დედოფლისათვის ივლოვეს თხოუმეტი დღეო. ეს ორი კვირა რომ გავიდა, მეფემ განიძარცვა სამგლოვიარო ძაძა და შეირთო ცოლად ანახანუმი, ქვრივი ქაიხოსრო ციციშვილისა, ასული ბეჟან იოთამისშვილისა, ნათესავი ანტონი პატრიარქისა, რომლის სასახლეშიაც იმყოფებოდა იგი. მემატიანე ამბობს: „მიბრძანდა მეფე, ვითა ქორწილის წესი იყო, და წამოიყვანა პატრიარქის სახლით სახლსა დალიკოვანსა; ჰკრეს ქოსთა, ნალარათა და სპილენძ-ქურთა, მორთვნეს ქალაქნი (ტფილისი) და უმეტეს სამყოფი მეფისა მოფარდაგნეს ოქსინოთა ოქრო ქსოვილითა და მოაბრწყინვეს ყოველი ლამპრითა საბრწყინვალოთა, ისხდნენ მგოსანნი და აქებდნენ მეფეთ მეფეს თეიმურაზს; იყო ლხინი და განცხრომა რვასა დღესა და იყვნენ ქართველნი მწად ქართულთა ლხინთა გამოაჩენისათვის; იყვნეს ყიზილბაშნიცა წვეულნი: ხანები, ათასისათენი და მოხელენი ხელმწიფისანი (ყაენისა), და მოსწონდათ ყოველი რიგი და ლხინი ქართლისა. განსრულდა ქორწილი აგვისტოს (1746 წ.). ყაენმა გამოუგზავნა თეიმურაზს ქორწილის შემოსაწევრად ოქრო, ვერცხლი ანუ ლარი ურიცხვი (1746 წ.)

ამავე წელს ყაენმა დაიბარა ტფილისში მყოფი ყიზილბაშის ჯარი და მისდა სანაცვლოდ გამოგზავნა 1000 ავღანი და თეიმურაზს შემოუთვალა: „ეს ავღანნი, როგორც ქართლის ჯარი, ვგრე იმსახურეო“: (პაპუნა, გვ. 392—393).

ამავე წელს ყაენმა ნადირშამ ქართლ-კახეთს შემოაწერა ხარკად (არბაზი) 200,000 თუმანი და თანაც მეფეებს მოსწერა: „ეს თეთრი (ვერცხლის ფული) მზათ



დაიჭირეთ 300,000 ყრზილბაშისთვისაო“. რადგან მრავალ ომებისა და უზომო ხარკების ძლევით საქართველო გალატაკებულოცო და ამ ფულის გამოტანა მეფეებს არ შეეძლოთ, ამიტომ ნადირშას უარი შეუთვალეს და თვითონ კი აიყარნენ და ქალაქიდგან ანანურ-მთიულეთს გადასახლდნენ, რადგან ყაენის შემოსევას მოელოდნენ, ხოლო „მის შიშით ირყეოდა მთელი ქვეყანა“. მეფეებს გაჰყვნენ პატრიარქი, ეპისკოპოსნი, ყოველნი სამღვდელო დასნი, ქართველნი ყოველნი, რომელნიც „ქალაქსა შინა სახლელულად იდგნენ“; ქალაქის მელიქი ალაც აიყარა სახლით; აგრეთვე მოქალაქესა, რომელსა შეეძლო, უფროსი აიყარა და წავიდნენ ანანურს და ყოველნი თავადნი და მოქალაქენი თეიმურაზს ეახლნენ და მასთან დადგნენ (1747 წ.).

ეს ამბავი რომ მიუვიდა ყაენს, მწვავედ გაჯავრდა, ჯარები გამოუწია, გარნა გამარჯვების იმედი არა ჰქონდა, ამიტომ ლაშქარი უკანვე დააბრუნა, მეფეებს მოსწერა მიპატიებია არბაბიო, ქალაქს დაბრუნდით და ქვეყანას მოუარეთო, და ერეკლე მეფეც გამომიგზავნე, და რასაც მაგის პირით შემომითვლი, შეგისრულებო. ყველანი თავ-თავის ბინას დაბრუნდნენ. (პაპუნა, გვ. 395-397) და შემდეგ შვილის მაგიერ თვითონ თეიმურაზი წავიდა სპარსეთს (10 მაჩსს 1747 წ.). მეფე ვიდრე ყაზბინს ჩავიდოდა, სპარსეთში არეულობა მოხდა და ნადირშა მოკლა მისმავე ძმისწულმა ადილშამ, რომელიც თეიმურაზის სიძე იყო. თეიმურაზი ახალს ყაენს ადილშას ეწვია (1747 წ.).

ამ არეულობისაგანმო თეიმურაზის ამბავი დიდხანს არ მოვიდა, ზოგს ეგონა იგი დაიღუპაო. ეს იყო მიზეზი, რომ ვახტანგის VI-ის ძმის იესეს შვილმა აბდუ

ლა ბეგმა გამოაცხადა: „თუ თეიმურაზი აღარ დაბრუნდა, ქართლის მეფობა ჩემიაო“ და მიიმხრო მრავალი ქართველობა და აგრეთვე ხანები და დიდძალის ჯარით გამოვიდა თავის საბრძანებლოდან (სამშვილდიდან), მოვიდა კოდას. ქალაქის ციხის თავიც აღარ მიენდო ერეკლეს, დაჯდა ციხეში და აღარ ჩამოვიდა ქალაქში (პაპუნა, გვ. 405). აბდულაბეგმა თავისი ძმაც უსენბეგი წამოიყვანა და მოადგა ტფილისს. ქალაქში ომის მზადებას შეუდგნენ. ანტონი პატრიარქმა მთელის სამღვდელთა დასით მოილოცა ქალაქის ყველა ეკლესიანი, პარაკლისი გადაიხადა, მეფე ერეკლე ჯართურთ აკურთხა ამის შემდეგ ერეკლეს ჯარის ერთი ნაწილით ავიდა თაბორს და მეორე ნაწილი ერეკლეს წინამძღოლობით ავიდა წავკისს. მტრის ჯარში იყო ლეკის ჯარი, ავღანთა ჯარი, ყაზახისა და სხვა სახანოების ჯარები. ქალაქის ციხეს რომ მოადგნენ მტრები, ქართველები ორივე მხრიდან მიესივნენ, შეიქმნა ომი ფიცხელი და სასტიკი, ასე რომ „თოფის ხმისაგან აღარა ისმოდა რა და კომლისაგან ჯარი აღარ ჩნდო“; მალე მტერი დამარცხდა, გაბრუნდა; გაიქცა, ქართველებმა კაფვით სდრეს მათ, დახოცეს მრავალი, დააყრვეინეს დროშები, ბარგი-ბარხანა (1748 წ. ლაზარობის წინა დღეს პარასკევს).

ამ ომსა და აბდულაბეგს ასე აგვიწერს ზეპირ-გარდმოცემა:

წამშუკლავა შეიკმაწს თოფეთათ და ჯანჯალათთ:  
უნდა ქალაქსა მავანდგე, ამოვხორცო შამშაღათთ!

ეს რაღმ ერეკლემ გააკო, გადბრუნდა სიცილითს.  
ერეკლემ ხმალსა გააკრა, საფრება ძლამწადაო;  
შაკ ჩასხა ძანჯვე ბაჭუბი, ესრელა ჩქარა-ჩქარაო;  
წანბანსენი დადევსა, თხებიავით დაილადაო;  
შანშან შეძვრალა ჩარგებში დღესაც არ გამოძვრალა-  
ლაო.

თუმცა აბდულაბეგმა ველარ გაბედა ქალაქზე გამო-  
ლაშქრება, გარნა იგი კაციტა და სურსათით შეეწია  
ამირ ასლანხანსა და ყენის უფროს ძმას იბრემხანს,  
რომელნიც უკუუდგნენ ადილშას და მოინდომეს ქარ-  
თლისათვის თვისი ყმობა დაეკისრებინათ და რომელ-  
თაც ტფილისის ციხისათვისათვის მოეწერათ: „ვინც  
ჩვენი ერთგული ყმა არ იქნება, ციხეს ნუ მიანდობ-  
თო“. ამ ამბავზე ციხიდან შეჰქმნეს ზარბაზანთა სროლა,  
შეიქმნა „შადლუხი“, ციხის კარებიც დაკეტეს, გაამაგ-  
რეს მეტეხის ციხეც, ციხის მეიდანთან მტკვრიდან  
კლდის უბნამდის სულ გააკრეს და საფრები შეჰკრეს.  
ციხეშივე სპარსთგარდა იყვნენ ბორჩალოსი და ბაიდრის  
სულთნები, აბდულაბეგის შვილი აღასი, ყაზახისა და  
ბორჩალოს ქეთხუდები ცოლ-შვილით.

მ. ჯანაშვილი.



# ევროპის შეპირეშეძობა.

(პოეზიკური განხილვა).

(ვუძღვნი საქართველოს შეპირეშეძობა ამხანაგობათ).

## I.

საოცარი ხალხია ეს ევროპელები! დადიან, მოგზაურობენ, ნახულობენ შორეულ ქვეყნებს და, რაც კი რამეს იპოვიან სახეიროს, ეცდებიან მაშინვე გადმოიღონ და გაანვითარონ. ევროპელი არ გორავს მუთაქაზედ ქართველივით, არ ქეიფობს «არღნით» და დაფა-ზურნით, არ ჰფატრავს ხანჯლით თავის მოძმეებს, იგი არ გაიძახის არც დალიე-დამალევიეს, არც ალავერდი-იხშიოლს. ევროპელი არ ჰკარგავს ტყუილ-უბრალოდ ძვირფასს, იგი მარად საქმეშია გართული, ჰქმნის მეცნიერებას, ხელოვნებას და ლიტერატურას, იგონებს ახალ მანქანებს და იარაღებს, ანვითარებს მრეწველობას, მეურნეობას და ვაჭრობას, ამ რიგად მიღის წინ, აარსებს აურაცხელ სიმდიდრეს, ჰქმნის მაღალ კულტურას და ცივილიზაციას.

რას წარმოადგენდენ წინად დღევანდელი განათლე-

ბული მდიდარი და ბედნიერი ევროპელები? ისინი იყვნენ ლატაკნი და საპრალა ველურნი; იმოხებოდნენ ნადირთა ტყავით, სჭამდნენ უმ ხორცს და სცხოვრებდნენ ან გვირაბებში, ან ხის ფულუროებში და ან საცოდავ ქოხებში. ამავე დროს კი ბრწყინავდა დიდებული აზია და ჰყვავდა მისი კულტურა. აზიის სახელოვანმა ერებმა: ჩინელებმა, იაპონელებმა, ინდოელებმა, სპარსელებმა, ასურელ-ბაბილონელებმა, ეგვიპტელებმა (აფრიკაში), ფინიკიელებმა, ებრაელებმა და, ასე გასინჯეთ ქართველებმაც კი, ჩაუდგეს საძირკველი და შექმნეს პირველი. კულტურა, პირველი განათლება, გაშოვიდნენ ველურ მდგომარეობიდან, იწყეს ხვნა-თესვა, დაბინადდნენ, ააშენეს სოფლები და ქალაქები, ააშენეს სახლები, ციხეები, კოშკები და დიდრონი ქვიტკირის კედლები ველურ ხალხთა მოსაგვრებლად, შექმნეს ოლიტიკური და საზოგადოებრივი ფორმები, შექმნეს სამეფონი და დიდრონი სახელმწიფონი, შექმნეს სარმწუნოება, ხელოვნება და მწერლობა, იწყეს ვაჭრობა და მრეწველობა, მოიგონეს მრავალი სამუშაო იარაღები და მანქანები და, ასე გასინჯეთ, ამ აზიელებმა ჩაუდგეს პირველი საძირკველი ფილოსოფიას და მეცნიერებას

დიახ, ჩაიდინეს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ეს დიადი საქმენი და შემდეგ, თითქო დაიქანცნო, აზიელნი მიეცნენ განცხრომას, ძილსა და მოსვენებას; შეჩერდნენ, გაიყინნენ თითქო ერთ წერტილზედ; უმრავლესი წავიდა კიდევ უკან და ბევრიც მოისპნენ ერთიანად. ესაა ბუნების და ისტორიის კანონი: თუ წინ არ მიხვალ, მაშინ უკან ჩოჩნები და ილუპები. წყალი ანამდე ცოცხალია, ანკარა, გრილი და საამო, სანამ იგი მწყაროებად და მდინარეებადაა; შეაჩერეთ მისი მსვლელობა

და იგი გარდაიქცევა დამპალ გუბედ, მყრალ ქაობად, იმოსება ხაესით და ლეყფით, შემდეგ კი შრება ერთიანად. სწორედ ამ წყალს წააგავს ყოველი ადამიანი, ყოველი ერი და მთელი კაცობრიობა. სად არიან დღეს ის ძველად განთქმულნი ეგვიპტელნი, ფინიკიელნი, ებრაელნი, ასურელნი და ბაბილონელნი? დღეს დიდებულ ნილოსის ნაპირებზედ განათლებულ ეგვიპტელის ნაცვლად ბინადრობს საბრალო, ლატაკი ფელახი; გამქრალა ერთიანათად არსება ფინიკიელთა; გატიალებულია ტურფა პალესტინა: წურბელად და ობობად ქცეულნი ებრაელნი მოფენილან მთელ ქვეყანაზედ და სადაც ჰყვავოდა დიდებული ბაბილონი, დღეს იქ მხოლოდ ქვიშა და სილაა, დღეს იქ მეფობს საშინელი ხორშაკი და ხრაკავს შემთხვევით გამვლელ ქარავენს.

ღიახ შეჩერდა, მიიძინა აზიამ, მაგრამ მისი კულტურით ისარგებლეს ბერძნებმა, რომელთაც შექმნეს ახალი დიდი კულტურა, ახალი ცივილიზაცია და უანდერძეს ეს ჯერ რომაელთ და შემდეგ მთელს ევროპას. მართალია, საერთო ძილის დროს აზიაში VII-VIII საუკუნეში მოხდა არა ჩვეულებრივი მოვლენა; გაიდვიდა ხრიოკ არაბისტანში ნახევრად ველურმა ხალხმა, მოედვა, ვითა გრიგალი, მთელს აზიას, აფრიკას, ევროპას, დაანთხია ურიცხვი სისხლი, მაჰმადის სახელით, შექმნა დიდრონი სახელმწიფონი, დაეწაფა მხურვალედ ელინთა ფილოსოფიას, მეცნიერებას და ლიტერატურას, დააარსა უნივერსიტეტები, განაახლა და გაანვითარა ევროპის სამღვდელოსაგან დევნილი მეცნიერება, ფილოსოფია და მით მოუტანა ევროპას და მთელ კაცობრიობას უუდიდესი სარგებლობა. მაგრამ ეს ფხიზელი და ნიჭიერი ერი; ეს არაბნი, ჩაჰქრენ მალე ვით ბურბუშალა, დაეცენ,

გაიხრწნენ და დღეს მათ საცოდავ ნაწილებს აღმოსავლეთში დაეპატრონა ოსმალო, დასავლეთში კი ისპანია-და საფრანგეთი.

მაგრამ არაბებმა ჰკრეს საშინელი მუჯღუფეზნი. გააღვიძეს და გაანვითარეს ევროპის სული. ევროპიელმა ჯერ კიდევ წინად გააზილა თვალი, იხილა ელინთა და რომაელთა ცივილიზაცია, წაჰპაძამათ და დაადგა განვითარების გზას; მაგრამ არ დააცალა მას ამ შარაზედ სიარული ქრისტეს მოსვლით გამოწვეულმა რელიგიურმა პერტურბაციამ (არეულობამ) და პაპიზმმა, კვლავ დაუბნელა მას თვალი და შთააგდო იგი თითქმის ათასი წლით მონობის და უმეცრების დილეგში. სწორედ ამ დროს ევროპიელთა პატრონად გამოჩნდენ არაბნი, რომელთაც დაიპყრეს სხვათა შორის ისპანია. ააგეს ქალაქი კორდოვა, ააშენეს დიდებული უნივერსიტეტი და გახადეს იგი სწავლა-განათლების წყაროდ, რომელსაც ჩუმად ეწაფებოდენ ნიჭიერი ევროპიელნი და ავრცელებდენ მას თავიანთ ქვეყანაში. ჯვაროსნების ომებმა, აღმოსავლეთთან ვაჭრობის დაარსებამ, ბიზანტიის იმპერიის დანსხვრევამ, მეტადრე კი კომპასის, თოფის წამლის და ბეჭდვის მოგონებამ და კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენამ გააღვიძეს და ააფეთქეს ერთიან ევროპის სული. გაღვიძების ცისკარი კი ათინათინდა შვენიერ იტალიაში, ეწოდა რენესანსი (განახლება) და მოედვა მთელს ევროპას. გაიღვიძეს გერმანიის, ფრანციის და ინგლისის ერებმაც. რენესანსი შეიცვალა ჰუმანიზმის და რეფორმაციის ხანებად; მათმოჰყვა განათლების ხანა, რომელიც დაგვირგვინდა ევროპის კონსტიტუციით და კერძოდ საფრანგეთის დიდი რევოლიუციით და რესპუბლიკით.

ევროპის გაღვიძებულმა ხალხმა უარჰყო საერო და

სასულიერო ავტორიტეტები, დასცა მტარვალნი და უსაქმური, გარყვნილი არისტოკრატია, შეგებძოლა გმირულად ძველ ტრადიციებს, ცრუ-მორწმუნეობას, ასკეტიზმს, პაპიზმს და სხ. და თუმცა ეს ხანგრძლივი ბრძოლა ძვირად დაუჯდა მას, მაგრამ ბოლოს მაინც გაიმარჯვა და აღიარა საერთო საზღისუფლება, პიროვნების ემანსიპაცია და ყოველი კაცის ერთგვარი უფლებანი სამსჯავროს და მთავრობის წინაშე, მართალია დარჩა კიდევ ბევრი რამ გაუკეთებელი, მაგრამ უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ მათაც გააკეთებს იგი.

ეს ოთხასი წელია. რაც გამოვიდა ასპარეზზედ ევროპის გაღვიძებული გონება და რა და რა სასწაულები არ ჩაიღინა მან! შეჰქმნა ახალი მეცნიერება და ფილოსოფია, ააყვავა ხელოვნება და ლიტერატურა, შეჰქმნა ახალი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ფორმები, გაანვითარა მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა და სხვ. და სხ. ევროპის კვალს გაჰყვა მისი პირშეო ამერიკა და გადააქარბა კიდევ თავის მამას და მოძღვარს. ნეტა რას არ სჩადიან ევროპიელი და ამერიკელი! იგონებენ მანქანებს, აშენებენ ქარხნებს, ჰქმნიან და ამზადებენ აურაცხელ საქონელს, ანგრევენ კლდეებს და იღებენ ასწრაფად მადნეულობას, ბურღვენ მიწას და ამოაქვთ ნავთი და ქვა-ნახშირი, ხვრეტენ მთებს, აფსებენ ხრამებს, აშენებენ ვრცელ ხიდებს და გაჰყავთ რკინის გზები და ორთქლის და ელექტრონის მაქარებლები; უხვდებიან წინ დიდრონ მდინარე-ჩანჩქერებს, უდგამენ რკინის ტურბინებს და ჰქმნიან ელექტრონს, რომელიც სინათლედ, სითფოდ და მექანიკურ ძალად გაჰყავთ მათულებით ქალაქებსა და სოფლებში, გაჰყავთ ქარხნებში და რკინის გზებში და, ასე გასინჯეთ, მინდვრებშიაც კი მიწის სამუშაოდ,



სასუქად (ე. ი. ქიმიურ თვისებათა შესაცვლელად და ნო-  
ყიერების მოსამატებლად).

განა ამას დასჯერდა მოუსვენარი ევროპიელი! მან  
მოიგონა ტელეგრაფი, ტელეფონი, დაიმონა ორთქლი,  
ჰაერი, წყალი, ქარი და მთელი დედა-მიწა, თვით მძვინ-  
ვარე ზღვებსა და ოკიანებს მან შამოარტყა რკინის ჯაჭვი  
და დაარბენიებს მათ მღელვარე გულზედ აურაცხელ  
ორთქლის გემებს და ხომალდებს. ნეტა რა არ ჩაიღინა  
ერთჯელვე გაღვიძებულმა ადამიანმა! მან გამოიკვლია მი-  
წის თვისებანი, განაწვლილა ყოველივე ნივთიერებანი  
და სცნო მათი საიდუმლოებანი; მან შეისწავლა ყოველივე  
ცხოველნი და მცენარენი, შეისწავლა მათი შინა ორგა-  
ნიზაცია და მათი ცხოვრება; მან სცნო თუ რა არის  
მექანიკური ძალა, სითბო, სინათლე, ხმა, მაგნიტი და  
ელექტრონი, ერთი სიტყვით შეიგნო ბუნების საიდუმ-  
ლოებანი; მაგრამ არც ამას დასჯერდა იგი. იმ თავითვე  
ჰზიზღავდენ მას ცა და ცისიერნი; გამოიკვლია მათი  
ვითარება და არა თუ შეიტყო, თუ რა არის მზე,  
მთვარე და ვარსკვლავები, ან რა სიდიდის ან რა სიშორე-  
ზედ არიან იგინი, არამედ სცნო, თუ რა ძალით, რა კანონით  
მოძრაობენ ისინი და რა ნივთიერებისაგან არიან შემდ-  
გარნი. ახლა კი შეუდგა მის განხილვას, არიან თუ არა  
ცხოველ-მცენარენი და ადამიანნი ამ მნათობებზედაო.

გალაღებული ევროპიელი არც ამაზედ შეჩერდა. იგი  
შეუდგა იმის განხილვას, თუ რა არის ადამიანის სული  
და ცხოვრება, რას წარმოადგენს ან რა წესებს ემორჩი-  
ლება მსოფლიო ისტორია. საიდან წარმოსდგა ადამიანი,  
სად მიისწრაფის იგი, როგორ ვითარდება ან რაა მისი  
მიზანი და სხ. და სხ. ერთი სიტყვით შრომობს, მოქმე-  
დებს ადამიანის მღვიძარე აზრი და ოცნება. ჰგლევს

საილუმლოების ფარდას ბუნებას. ცხოვრებას და ისტორიას, მიდის ჭეშმარიტების, სიკეთის და შევნიერების გზაზედ, ანვითარებს მეცნიერებას, ჰქმნის კაცობრიობის კვაილ-დღეობას და ზის აღმოჩენას და წინმსვლელობას არა აქვს საზღვარი...

ნუ თუ საკვირველია ამის შემდეგ, თუ ამ ფხიზელმა ევროპიელმა მოსტაცა მძინარე აზიელს აბრეშუმის საილუმლოება და უმაღლესად ააყვავა მებარეშუმობა და კერძოდ ფარჩეულის ქსოვა!

მაგრამ სანამ განვიხილავდეთ ამ მეურნეობა-მრეწველობის ფრიად საგულისხმო დარგს ევროპაში, საქიროა ვიცოდეთ მისი მოკლე ისტორია.

## II.

აბრეშუმის სამშობლოდ ცნობილია აზია. არსებობს ორი უმთავრესი ჯიში აბრეშუმის ჯიშისა: ა. თეთრი პარკის მკეთებელი, რომლის სამშობლო ჩინეთია და ბ. ყვითელი პარკის მკეთებელი, რომელიც უხსოვარ დროიდან არსებობდა სპარსეთსა და კავკასიაში. იყო დრო, როცა არავინ იცოდა აბრეშუმის ხმარება და აბრეშუმის ჭიებიც სკზოვრებ ენ ტყეებში ნადირად. პირველად აბრეშუმის ხმარება შემოიღეს ჩინეთში. მეცნიერ პარიზეს და მაიოს სიტყვით 3000 წლის წინად ქრისტეს მოსვლამდე ფუ-ხის მეფობის დროს ჩინეთში უკვე შამოუღიათ ხმარებაში აბრეშუმის ძაფი, რომელსაც გრეხდენ და აბამდენ სიმებად ჩანგის მსგავს 27 სიმიანს მუსიკალურ საკრავს კინს; მაგრამ ეს არ ყოფილა თურმე შინ დამზადებული ამოხვეული აბრეშუმი. აბრეშუმის ჭიის მოვლამოშენება, პარკის ამოხვევა და ამ რიგად ძაფის დამზა-

დება მოუგონია სი-ლინგ-შის. ჩინეთის იმპერატორ ლოანგტის ცოლს 2698 წელს ქრისტეს მოსვლამდე. ჩინელებმა ეს ქალი ჩარიცხეს წმინდანად და უწოდეს ბჟოლის და აბრეშუმის ქიის სული (ანუ გენი) \*)

აქედან აზიის და ევროპიელ ხალხთა სახელები აბრეშუმისა წარმოსდგენ ჩინურიდან. მაგ. ჩინურად აბრეშუმს ჰქვია სერპ ანუ სე, კორეულად სირ, მანღოლურად სირკე. მანჯურულად სირხ, ბერძნულად სერ, რომაულად სერიკუმ, ფრანგულად სუა, ნემეცურად ზაიდ, იტალიურად სეტა, ისპანურად-სედა, ინგლისურად სილკ, რუსულად შოლკ. და სხ. ყველა ეს სიტყვები კი წარმოსდგენ ჩინურიდან სერპ.

ხენა-თესვისა არ იყვეს, მეაბრეშუმობასაც ისე ღრმა პატივის სცემენ ჩინეთში, რომ დიდებულ იმპერატორის ცოლებიც იძულებული არიან თავის ხელით აღზარდონ, მოიყვანონ და დაამზადონ აბრეშუმი. აი სხვათა შორის რა საგულისხმო ამბავს ვჰკრებთ ჩინურ ცერემონიის წიგნადან, რომელსაც ეწოდება ლი-კი (li-ki):

«ყოველ გაზაფხულს თვით იმპერატორის ცოლი, ხასები და სეფე-ქალები მოვალენი არიან თავიანთ ხელით მოკრიფონ ბჟოლის (თუთის) ფოთოლი, აღზარდონ აბრეშუმის ქია და დაამზადონ პარკები. ამ ღროს ამ ქალებს დაშლილი აქვთ გაიკეთონ ძვირფასი სამკაულები. ისინი გუჟობდნენ უვლიან ქიას. როცა კი დაამზადებენ პარკებს, ეს ქალები წავლენ და დიდის ცერემონიით უძღვნიან მათ იმპერატორს, რომელიც სამაგიეროდ აჩუქებს მათ ერთ მსუქან ცხვარს. შემდეგ ეს პარკები იყო-

\*) იხ. E. Pariset: „Histoire de la soie“ I ტ. გვ. 11—12.

ფა სა) ნაწილად, ეძლევა იმპერატორის ცოლსა და ხესებს, რომელნიც თავიანთ ხელით ახვევენ, გრებენ და ძახვენ ძაფს. შემდეგ სეფე-ქალები იმ ძაფს ხარშვენ, ლებვენ შავად, ყვითლად, ლურჯად და წითლად და ჰქსოვენ დრაშებს და საეკკლესიო სამოსელს.

აი რა თაყვანეზამდეა მისული ჩინეთში მეაბრეშუმობა! და მართლაც რამდენიმე ათას წლის განმავლობაში მხოლოდ ჩინელს ეკუთვნოდა აბრეშუმის მონოპოლია, ინახავდა მის ხელობას ფრიად საიდუმლოდ და ჰყიდდა აბრეშუმს და ფარჩეულს გარეშე ხალხებზე ოქროზედ უფრო ძვირად. აბრეშუმის ცნობილ ისტორიკოსთა პარიზეს და რონდოს გამოკვლევით სჩანს, რომ ჩინელნი ოქროს ფასად და ხშირად უფრო ძვირადაც კი ჰყიდდნენ თურმე ძველად თავიანთ აბრეშუმს. ჩინეთში არსებობდა წინად საშინელი სასჯელი მისთვის. ვინც გაბედავდა და გაამხელდა მეაბრეშუმობის საიდუმლოებას.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, დამალულ-გაუჩილავი არა დარჩენილა და არა რა დარჩება. ეს ბედი ეწვია ჩინეთის მეაბრეშუმობასაც. თუმც თითქმის სამი ათასი წელიწადი მალეს მათ თავიანთი ძვირფასი საიდუმლო, მაგრამ ბოლოს მაინც გამოაშკარავდა და პირველ საუკუნეში ქრისტეს მოსვლამდე მეაბრეშუმობას ვხედავთ უკვე ინდოეთში და იაპონიაში, შემდეგ ცენტრალურ აზიაში კასპიის ზღვამდე. თუმც სპარსეთ-კავკასიაში უკვე დიდი ხნიდან ამზადებდნენ ძაფს და ჰქსოვდნენ ფარჩეულს ყვითელი ჯიშის გარეულ აბრეშუმიდან, მაგრამ ამზადებენ როგორც ყაქს. აბრეშუმის ნამდვილი მოვლა-მოშენება და დამზადება ვრცელდება იქ მხოლოდ პირველ საუკუნეში ქრისტეს მოსვლის შემდეგ.

თუმც არც ძველმა ეგვიპტემ და არც ასურეთ-ბაბი-

ლონმა არ იცოდენ თურმე აბრეშუმის ხმარება, მაგრამ, როგორც ზოგვითხრობენ ისტორიკოსნი, ისინი მისთანა შვენიერ ქსოვილებს ამზადებდენ ბამბიდან, რომ თავის სინაზით, ეღვარებით და სიწმინდე-პარიროვნებით არაფრით არ ჩამორჩებოდენ ნაძღვილ ფარჩეულს.

რომაელების დიდების ღროს აბრეშუმის საფეიქრონი ვრცელდება არამც თუ მარტო ინდოეთში, არამედ სპარსეთში, კავკასიაში და მცირე აზიაში. აბრეშუმის მთელი ვაჭრობა კი უვარდებათ ხელში სპარსელებს, რომელნიც ჰყიდდენ ფარჩეულს ფრიად ძვირად მდიდარ რომაელებზედ. თუმცა რომაელნი მეტად სცდილობდენ წაერთმიათ სპარსეთის აბრეშუმის ვაჭრობის მონაპოლია, მაგრამ ვერას-გახდენ. მხოლოდ შემდეგში სპარსთა მეტოქედ გამოდიან ურიები და ავრცელებენ აბრეშუმის და კერძოდ ფარჩეულის ვაჭრობას მთელს ევროპაში.

მეექვსე საუკუნეში ქ. შ. მეაბრეშუმობა ფრიად ჰყვავოდა სპარსეთის ერთ პროვინციაში, სახელდობრ სერინდში (serinde) და სწორედ ანუ წელს ორმა საბერძნეთის ბერძან ჩუმად გაიტანეს იქიდან აბრეშუმის თესლი. წაიღეს ბიზანტიაში (სტამბოლში), გამოჩეკეს ქიები და დაუწყეს მათ ზრდა შვი ბეოლის ფოთლით. ამ რიგად ეს ბერები შეიქნენ პირველი პიონერები ევროპის მეაბრეშუმობისა. მაგრამ მეაბრეშუმობა ბიზანტიაში ვრცელდება მეტად დუნედ. მხოლოდ შერვე საუკუნეში ამ ახალ დარგს მოჰკიდეს ხელი არაბებმა. მათ თანდათან გაავრცელეს მეაბრეშუმობა თავიანთ ვებერთელა იმპერიაში, მცირე აზიიდან, კავკასიიდან და მესოპოტამიიდან (ბაღდადიდან) მოკიდებულ ვიდრე მავრტანამდე და ესპანიაზედ. შემდეგ მეაბრეშუმობა ვრცელდება მაკედონიაში და საბერძნეთში, ხოლო 3-4 საუკუნის განმავა-

ლობაში (ვინაიდან ვეროპის აზრი (სული) დამონებულო ჰყავდა პაპიზმს) მეაბრეშუმობამ ვერ იხიერა ვერც იტალიაში და ვერც საფრანგეთში. იტალიის სულის გაღვიძების, ე. ი. რენესანსის შემდეგ მე-15-ტე საუკუნეში, იტალიაში იწყება მეაბრეშუმობის აყვავება. აბრეშუმის საფეიქროებით ივსება ბრესცია, მილანი და ვენეცია (იტალიის ქალაქები) 18-ტე საუკუნის გასულს იტალიის მეაბრეშუმობა ბრწყინავს და ჰყვავის შესანიშნავად.

საფრანგეთში კი 13-დან 16-ტე საუკუნემდე მეაბრეშუმობას თითქო სძინავს, იგი მილოღავს საბრალოდ. ხოლო ჰანრი მეოთხის, ოლივიეს და ლათამის მეოხებით იღვიძებს იქ მეაბრეშუმობა და ლუი მეოთხემეტის მეფობის დროს უკვე მოჰყავთ საფრანგეთში 100,000 კილოგრამი პარკი\*). 1788 წელს მოიყვანეს საფრანგეთში 6 მილიონი კილოგრამი პარკი და 1853 წელს კი 26 მილიონი კილოგრამი. ასე რომ ერთი საუკუნის განმავლობაში საფრანგეთის მეაბრეშუმობამ გადასდგა ბუმბერაზული ნაბიჯი, გადააქარბა მთელს ვეროპას, გააოცა მთელი ქვეყანა და შეიქმნა ერისათვის აურაცხელ სიმდიდრის წყაროდ.

თუმც ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან აბრეშუმის ქიას უჩნდება საშინელი სენი და მთი აბრეშუმის მოყვანა ძლიერ ეცემა საფრანგეთში (მაგალ. 1853 წელს მოიყვანეს 26 მილიონი კილოგრამი პარკი, 1865 წელს-კი მხოლოდ 4 მილიონი; ახლა ისევ მეტულობს), მაგრამ მიუხედავად ამისა საფრანგეთის აბრეშუმის საფეიქრონი ჰყვავიან წინანდულად და მისი ფარჩეულობა ავსებს მსოფლიო ბაზრებს და აოცებს ქვეყანას. ხოლო პარკის მოყვანით კი

1) ერთი კილოგრამი თეთქმის 2 1/2 ვირვანქა.

მაელს ევროპაში პირველი ალაგი უკავია ახლა ისევ იტალიას, სადაც მოჰყავთ წელიწადში 40—45 მილიონი კილოგრამი პარკი.

### III.

ახლა ვიკითხოთ, თუ რაა ის საოცარი მწერი. რომელიც ამზადებს ლამაზ პარკებს და გვმოსავს ჩვენ ძვირფას ფარჩეულოთ? ეს საოცარი მწერი გახლავთ აბრეშუმის ქია. ძისი მეცნიერული სახელია ბომბიქს მორი (*BOMBYX MORI*). ვის არ გინახავთ და ვინ არ იცნობთ ამ ქიას, რომელიც გამოდის პაწია თესლიდან შავ მატლად, სქამს ხარბად თუთის ფოთოლს, იზრდება მალე, იცვლის ფერს და თეარდება, იცვლის ოთხჯერ კანს და ბოლოს ადის ცახზედ, იკუმება, იხვევს ირგვლივ წმინდა, ბრწყინვალე ქსელს და ამ რიგად აკეაებს პარკს, რომელიც ზვეთის აბრეშუმის ძაფის მომცემია, მისათვის კი დროე ბითი კუბო, სადაც სძინავს საღათას ძილით ამ საოცარ ქიას და სადაც ბუნების საიდუმლო წესით იგი იცვლის გარე სახეს, ჰზვრეტს ოცი დღის შემდეგ ამ პარკს და გამოდის თეორ პეველად, რომელიც არც სვამს, არც სქამს და რომლის მიზანია მხოლოდ შეუღლდეს, დაჰსდოს თესლი, რომ მითგაჩნდეს შემდეგი თაობა და გვარი არ შოისბოს.

ეს საოცარი მწერი მოსტაცა თითქო ბუნებას და შოაშინაურა ჩინელმა ქალმა სილინგ-შიმ და ამხილა თავის თანამემამულეთ მისი მოვლა-მოშენება და ძაფის დამზადება. აი ეს საოცარი მწერი შეიქნა ჩინელთათვის სიმდიდრის ერთ უუდიდეს წყაროდ, და არა უსაბუთოდ მალავდენ ისინი და იცავდენ საიდუმლოდ მის მოვლა-

მოშენებას. მაგრამ განცლეს გრივალივით ათასმა წლებმა ულმობელმა დრომ ახადა მასაც საიდუმლოების ფარდა, გახადა იგი საყოველთაო კუთვნილებად და დღეს მთელი ქვეყანა სარგებლობს მით.

როგორც უკვე ვთქვით აბრეშუმის ქია თავდაპირველად იყო მხოლოდ ორი ჯიშის: ა. თეთრ პარკიანი ჩინეთისა და ბ. ყვითელ პარკიანი კავკასია-სპარსეთისა. ამ ორ მთავარ ჯიშიდან წარმოიშვენ დღემდე აურაცხელი ჯიშნი, მაგ., ჩინეთის, იპონიის, ინდოეთის, ბალდადის საქართველოს, სირიის, იტალიის, საფრანგეთის და სხ. რომელთა პარკები განირჩევიან როგორც ფერით, ეგრეთვე სიდიდით, სიმტკიცით, სიმაგრით და ძაფის თვისებით. განირჩევა ეგრეთვე აბრეშუმის ქიის ორგვარი ჯიშნი: ა. წლიური, რომელიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ იჩეკება და ბ. თვიური, რომელიც წელიწადში ორჯელ გამოდის.

მაგრამ გარდა ამ თუთის აბრეშუმისა არის კიდევ სხვა მრავალი აბრეშუმის ქია, შინაური თუ გარეული, რომელნიც იკვებებიან: ზოგი მუხის ფოთლით, მაგ. ბომბიქს იამა-მაი (*Bombyx yama-mai*) და ბომბიქს პერნიი (*Bombyx Pernyi*), ზოგი ქლიავის ფოთლით, მაგ., ბომბიქს ცეკროპია (*Bombyx cecropia*), ზოგი ჟუჟუბიერით (*Jujubier*) მაგ., ბომბიქს მილიტა (*Bombyx mylitta*), ზოგი ელანტით (*l'ailante*) მაგ., ბომბიქს ცინტია (*Bombyx cynthia*) და სხ. მაგრამ ყველაზედ მეტს ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვის ბომბიქს მორი: ე. ი. თუთის აბრეშუმის ქია, რომელიც ყველაზედ მეტად გავრცელებულია და რომელიც იძლევა საყოველთაოდ ყოველ წლოვით საშუალოდ 273 მილიონ კილოგრამს



პარკს ანუ 19 მილიონ კილოგრამ ძაფს, რაიცა ღირს 700-750 მილიონ ფრანკად<sup>1)</sup> (ესე ავი 262-280 მილიონ მანეთად). მაშინ როდესაც თუთის გარეული აბრეშუმის ჭია და ვგრეთვე სხვა ხეთა ფოთლის მჭამელი აბრეშუმის ჭიებხ, რომელნიც მოჰყავთ მხოლოდ აზიაში (ჩინეთში; იაპონიაში და ინდოეთში) ოძლევიან მხოლოდ 35 მილიონ კილოგრამ პარკს, ანუ ორ მილიონ კილოგრამ ძაფს (შულოს). ასე რომ მთელ ქვეყანაზედ სულ ერთიან მოჰყავთ საშუალოდ 307 - 308 მილიონი კილოგრამი პარკი, ანუ 21 მილიონი და ასი ათასი კილოგრამი აბრეშუმის ძაფი.

არ იქნება ურიგო განვიხილოთ, თუ რაოდენი თუთის აბრეშუმი მოჰყავთ სხვა-და-სხვა ქალაქებში. ამ შემთხვევაში პირველი ალაგი უკავია ისევ აზიას, შემდეგ ევროპას და სულ ბოლოს აფრიკას და ამერიკას.

საფრანგეთის გამოჩენილი სპეციალისტის ნატალი რონდოს \*) ანგარიშით მოჰყავთ:

	პარკი (კილოგრამი)	ძაფი (კილოგრამი)
აზიაში . . . . .	216.600.000.	14.772.000.
ევროპაში . . . . .	55.710.000.	4.059.000.
აფრიკაში . . . . .	100.000.	7.000.
ამერიკაში . . . . .	36.000.	2.000.
	<b>ს უ ლ 272.446.000.</b>	<b>18.840.000.</b>

ახლა, რომ ეს რიცხვი გავანაწილოთ ხალხებზედ, ვნახავთ:

<sup>1)</sup> ერთი ფრანკი უდრის დღევანდელ კურსით 37 1/2 კაპიკს.

\*) ი. ა. «L'art de la soie» par Natalis Rondot, 2 ტომ. 1887 წ.

ა ზ ი ა შ ი.

	ჰარკი (ვილოგრამი)	ბაფი (ვილოგრამი)
ჩინეთი . . . . .	130.000.000.	9.300.000.
იაპონია . . . . .	42.400.000.	2.650.000.
ინდო-ჩინეთში. . . . .	12.000.000.	750.000.
ინდოეთი . . . . .	10.000.000.	600.000.
ცენტრალური აზია (სადაც არ შედის რუსეთის თურქესტანი). . . . .	5.500.000.	300.000.
რუსეთის სამფლობელონი აზიაში . . . . .	5.200.000.	330.000.
თათრის სამფლობელონი აზიაში . . . . .	5.000.000.	340.000.
სპარსეთი . . . . .	4.500.000.	300.000.
კორეა. . . . .	200.000.	10.000.
<b>სულ</b>	<b>214.800.000.</b>	<b>14.640.000. *)</b>

ე ზ რ მ კ ა შ ი.

	ჰარკი (ვილოგრამი).	ბაფი (ვილოგრამი).
იტალია . . . . .	42.000.000.	3.000.000.
საფრანგეთი . . . . .	9.500.000.	750.000.
ავსტრო-უნგრეთი. . . . .	2.160.000.	154.000.
ევროპის სათათრეთი . . . . .	1.500.000.	110.000.
ესპანია . . . . .	1.300.000.	105.000.
საბერძნეთი . . . . .	300.000.	22.000.

\*) N. Roudot: „L'art de la soie“ 1887.

პორტუგალია.	250.000.	16.000.
შვეიცარია	210.000.	15.000.
რუმინია, ბულგარია და სხ.	170.000.	10.000.
ევროპის რუსეთი	120 000.	9.000.

ს უ ლ 57.510.000. 4.191.000 \*).

გარდა ამისა თუთის გარეულ აბრეშუმის ქიიდან და სხვა ხეთა ფოთლის მჭამელ აბრეშუმის ქიებიდან მოჰყავთ:

პარკი (ვილტგრაში). ბაფი (ვილტგრაში).

ჩინეთში	23.160 000.	1.386.000.
ინდოეთში.	11.700.000.	700.000.
იაპონიაში	180.000.	12.000.

ს უ ლ 35.040.000. 2.098.000 \*\*).

ს. ქვარიაძე.

(შემდეგი. იქნება).



\*) იქვე.

\*\*\*) იქვე.

## არქეოლოგიური ფურცლები.

გაგრძელება 1).

### III.

ბ. მენანის მეორე გამოცემული ბაბილონი და ქალდეასტანი პირველივით რუკებითა და გეგმებით გაწყობილია, საკუთრად ბაბელონის და პორსიპიის. სადაც ისევ დგანან დიდ შენობების ნანგრევ-ნაქცევები, რომელიც ჰგონიათ არაბებს ბაბელოვანის გოდოლად! აგრეთვე ბაბელასტნის სხვა ქალაქებისა, რომეონიც დროთ მწერალთაებრ სხვა და სხვა სამეფოების დედა ქალაქებად იყვნენ.

ქალდეასტანის დასაწყისს ჰპოულობს ბ. მენანი იმ უწინდელ მოთხრობებში, სადაც იყვნენ მახლობელი გვარები, სწორედ სამლო წერილის წყალ-რღენას უახლოვდება ქალდეური ის მეკეკრული მოთხრობა, რომლის შემოკლებული გვაქვს ბერესოსაგან და რომლის დასაწყისი დაცული იყო აგურებზედა, რომლითაც ასურ-ბანი-ფალის სასახლის საწიგნე დგინდებოდა.

იქ მოიძვებინ ნავები ღმერთების დანიშნულის სახითა.

1) იხილე კრებული № 5.

კაცთა და (კხოველებს არჩევანი, რომელნიც იქუნდა შევიდნენ; ტრედი გაფრინდება წყალ-რღვნის წერტილის შესატყობლად, კილობნის მთის, წვერზედ დადგომა: ნაფიღან გამოსვლისა მსხვერპლი, ღვთისა და კაცთა შუა ახალი პირობა! ეს მოთხრობა ქალდეული ვრცელი მოშაირობის ნაკვეთია; რომლის გმირები არიან ქსისუთრა (ნოე) და იზტუბარ (ბაბილონელი ერეკლე).

სამწუხაროდ ჯერ კიდევ არაფერი არ აღმოჩენილა ბაბილონის გოდოლსა, ენების შეცვლასა და სხვა მოთხრობებზედ!

სემირამიდიც (შამირამიცა) უწინდულ ქალდეურ მოშაირობას ეკუთვნის. მისი მოთხრობის ზღაპრობა, არა მარტო მისთვის მიწერილ არა ჩვეულებრივ მხნეობიდან სჩანს, არამედ მისი შობისა და სიკვდილის გარემოებიდვანაც! შობილა, ვითომ, სიყვარულის დერგედ ღმერთასაგან. შერცხვენილი დედა თავის ბრალიანობაზედ, ჩჩვილ ყრმას ერთს უღაბურში დააგდებინებს, სადაც მტრედები აღზრდიან სემირამიდსა: თურმე მისი დედის მიზეზით ასურასტანელები თევზს პატივს ჰსცემდნენ და მის ქალის სემირამიდის გამოც მტრედებს ჰმსახურებდნენო, — ამბობს დიოდორი. ხოლო რაც შეეხება სემირამიდის მოლაშკრობას, იმასაც მოგონებულად ჰსთვლიან; ამბობენ ასორასტანის ხელმწიფე იმდენად შორს არსად არ წასულაო. ბ. ლინორმანი ჰხსნის, თუ როგორ მოხდენილა ამ ზღაპრის დასაწყისი პარსების მეფეების დროს და თუ რა სარგებელს ჰხედავდნენ მისთანების მოფენით!

ქვემო ეფრატი ღმერთების სამშობლო არის და ქვეყანა ძლიერის წარმომდგენელ გამოხატულებისა; სადაც ჰკონათ ღმერთების დასაწყისი და წინა-განსაზღვრული დასაბადი მეფეებისა, მით არ არის საკვირველი, რომ ჯერ

როვან აგურის წარწერებზედ სემირამიდის მოთხრობა-სავით საკვირველება მოიპოვებოდეს!

სარკონ მეფე (არა რვა საუკუნოებით ქრისტეს წინად რომელმაც კიპრი დაიჭირა, არამედ სხვა), ესრედ მოგვითხრობს თავს შობასა:

«სარკონ მეფე ძლიერი, მეფე ანკასილისა: მე უმამოდ ჩავესახე დედა ჩემსა... ჩავესახე მე ასურიფანის ქალაქში ეფრატის ნაპირას; მიმტკიცრა მე დედა ჩემმან და მშობა მე სადმე ცალკედ, ჩამღვა გაზიფთულს ტირიფის კილობანში და მიმცა მდინარესა, ამიგურგულა წყალმან; წამილო შორს და დავტივტივებდი, სადაც არა მგონია მდინარის ნაპირებზედა; ბოლოს მიმიტანა წყალთა-მფლობელ აქქისთანა, რომელმაც ამიყვანა და გამზარდა მე და ისარმან მუშაკობის წარმატებაში მიმცა მე!»

აწ სარკონი და მისი ძე ნარამ-სინი განთქმულნი არიან ნაბონიდ მეფის დიდს საგორავს ზედა (ნჳნ ქ. წ.) როგორც ამ მთავრის წინა-პარნი—ამათი მოთხრობითი არსობა ჩვენ ეჭვიდვან არ გამოკვიყვანს, და მაინც სარკონისათვის მიწერილი გმირული მარცხები ზომა-გარდამეტებულნი არიან, რომლით ეახლოვება იმ რამდენსამე ზღაპრულს დევ-გმირებსა, რომელნიც სემიურ თუ არიულ ტომების ბევრისგან ბევრს დავედრებაში იპოვებთან; წყალში ჩაგდება, ასრე რომ რომის ისტორიაში რომულოსი და რემოსი, ძმები წყალში ჩაუყრიათ, აგრეთვე პერსეოსი და მისი დედა დანაი ელლადისა და მკირე ასიის დავედრებაში!

კვალად ვჰპოულობთ სემირამიდს ქალდეასტანში, კიროსს პარსეთში და ედიპოსს საბერძნეთში, რომ თავიანთ შობის შემდგომ უცხო უდაბურს ადგილებში დაუყრიათ! არმაზი კრიტში ჩუმად იზრდება ამაღთის თხისაგან და

იღის მთის ფუთკრებისაგან! სარკონი თავის ცხოვრების მიზეზად მამა მისს არა ჰსდებს, არამედ ვილაც ღმერთსა! ეს თავიანთ თავად ღმერთებისაგან ნაშობად მიღება, ისეთი ჩვეულებრივი არის აზიისა და საბერძნეთის მოთხრობებში, რომ თვით დიდმან ალექსანდრემაც, მისთანა უცნაურს შობას მიაწერა თავის თავი და უარჰყო ფილიპე მაკედონიის მეფე თავის მამობისაგან. არმაზის ძედა მშობდა თავის თავსა! ამ შემთხვევაში ულიმპის მეფე გველად გარდაქცეულა, როგორც სხვა გზის აკაურად (თევზის ყლაპიად), ღრუბლად და ოქროს წვიმად!

რუსების ძველს გალობებში ვოლკა გმირი, სლავების პროტევსიც აგრეთვე გველის შვილი გველა-წუკა ყოფილა! ესრეთი რამოდენიმე გმირული მოთხრობები ყოველთეთრ მოდგმის ტომებსა აქვთ.

სარკონის ნათქვამი იმდენად ზომის გარედად არ გვიჩნს, როცა ვხედავთ, რომ ნაბუგოდონოსორი ბაბელონის ყველაზედ უკეთ ცნობილი მეფე აგრეთვე აცხადებს თავის თავს: «ღმერთმან ბელმან გამაჩინა მე და ღმერთა მარდუქმან მშობა მეო.» თავის წარწერათა გაგრძელებაში კი თავის თავს მარტო მოკვდავი ნაბუპალსარის ძედა ასახელებს და ნამდვილ დამაფუძნებელად ქალდეველების დიდის ხელმწიფობისა.

ბაბილონმან (სემიური ლექსით ბაბ-კარი და ელუ ანუ ალლაჰ-ღმერთი), ნინევისაგან უფრო ცვლილება მიიღო. ეფრატის დედოფალმან თავის ტიგრისის მოცილესთან ერთად ბევრი რამ გამოიარა: ორჯერ თავლათბალსარის და სარკონის დროს ქალდეასტანი მოახრდა და დიდრონი ადგილები ცვალებებითა გატიალდა! ბოლოს თავის უკანასკნელი სიმდიდრე დაამყარა მეორე ნინევის ნაოხრებზედ!

ქალდეურს წარწერებში ბ. მენანმან შესანიშნი წერილები იპოვნა, რომელნიც ამტკიცებენ სამღთო წერილის და ბერძნის ისტორიკოსების ნათქვამთ ბაბელონელების ცხოვრებაზედ!

როგორც ეროლოტი მოგვითხრობს, რომ წლიურს განსაზღვრილ დროს, გასასყიდთ მაზათში ჩასაყენებლად გამოიყვანდნენ თურმე ბაბელონელს გოგოებსა: შვენიერი ბევრ ფულის შემძღვენელთ მიეცემოდათ; ხოლო უშნო ჩირქინთ ამყვანთ ფული მიეცემოდათ პირიქით (ა, 196). აწ მცირე სამოსახსენებლონი და ზეთის ხილის ნაირი მცირე ქვები, რომლებიც ქალდეველ მეროდაქ-პალატან მეფის დროსნი არიან, შემდეგს ცნობებს გვამლევენ მისი საქალბოსათვის ნასყიდ ქალებზედა წლიურს იმ თთვისას, რომ სულ ერთი და იგივე არის (ე. ი. სეპათის თთვე).

მანად დამადი, ნასყიდი სეპათის თთვესა მეცხრე წელსა მფლობელობისა მეროდაქ-პალატნის ბაბილოვანის მეფისა! გოგო ექინო, ნასყიდი სეპათის თთვეს მეთე წელსა იმავე მეფის მფლობელობისა! დედა-კაცი ჰალალადი, სეპათის თთვეს მეთერთმეტეს წელსა.

ოსმალოს მთავრობის ყადირ-გეჯის დღეობა, უთუოდ ბაბილონელებშიდაც იყო; რადგან წარწერების სხვა და სხვა სიტყვები იმას მოგვაგონებენ ჩვენ.

ბარუქ წინასწარმეტყველი ქალდეველების კერპების წყევლაში ამბობს: «და ვითარ ქალწული მკობის-მოყვარე, მიიღებენ ოქროსა შეუმზადებენ გვირგვინსა თავთა ზედა ღმერთთა მათთასა, და მიმხვეჭელნიცა მღვდელნი ღმერთთაგან მათთა ოქროისა და ვეცხლისანი თავთა თვისთავის წარაგებენ (ვ. 9). ეს ნამდვილი არის, რომ ბაბელოვანში ღმერთებისა და ღმერთათა ძეგლები



ჩასაცმელ დასაბურავით მორთავდნენ მდიდარის ბისონები. თავებზედაც გვირგვინებს დაადგავდნენ! ასურ-ბანი-ფალი მოგვეთხრობს ჩვენ, რაც მიუერთმეფია მათთვის.

«ოთხი ტალანტი მივეც მორთვისათვის მარტუქ ღმერთისა ზარბანიღ ღმერთასი: ჩინებული ოქრო-მკედლეულის სამოსებითა მოვრთე კერპები მარტუქი და ზარბანიღი! ძეგლების ასაგებად მარტუქისა და ზარბანიღისა მივეცი აღმოსავლეთური დრუნგილნი (მარმარილონი). ქაის კლდისაგან, თვლებისაგან წადუს კლდისა, ქვათაგან წედრუ სუდუსისა... თეთრ დრუნგილთაგან და სპეკალთაგან, რომელთ განთქმულობა ცნობილია ყოველთათვის! ჩინებულის ბისონებითა მოვრთე დიდებულად დიდ-სასიქადულო ღვთაება მათი, რქიებიანი მიტრები, გვირგვინები მათის ძლიერებისა, საგმირო ნიშნები, და ასე შევათავჯ მათი მორთულობა და მოწყობილობა!»

ეგრედ ჰსჩანს, რომ ამ სასულიერო შესაპოსების ჩაცმას თუ გახდასა საიღუმლო აზრი ჰქონია; როგორც ბ. მენანის ისღან ღმერთას ნაირ-ნაირ სამკაულთა წარწერაებში ჰსჩანს.

უკანასკნელ ბარუქი ჰკიცხავს ქურუმებს, რომ ისინი იღებდნენ ღმერთებისათვის შეწირულს ოქროსა და ვეცხლსა. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიტანოთ ასურ-ბანი-ფალის წარწერაები, რომელიც აჩვენებს ქურუმების დაუნდობლობას! ამას... მოუპარავს 10 ტალანტი ოქრო, რომ იმას კეთილი საქმისათვის გარდასცემოდა, ღმერთის ძეგლის ასამართავად.

სამღთო წერილის მოხსენებული ნაბუგოდონოსორის თავხედობა ცხადია; რა ერთს დღეს თავის ჩინებულს ბაბილოვანს ათვალთქმობდა, გარჩევით სჩანს მისი შენობის წარწერილს ლექსებში.

«ავაგე ტაძარი მზისა, სახლი საუკუნო, სამკვიდრო უფლისა ჩემისა სამას ღმერთისა, სადიდებელად უფლისა ჩემისა მზრუნველისა!»

«სამას დიდო ღმერთო! აკურთხე, რა მომდაბლდები მრთელი ნაწილი მზის საკვირველ სამცვიფრო ხელთ-ქმნულისა, ქუდ ზღუბლნი ესენი და ამყოლნი ეზოთა და საკვირველ ნაგებ სვეტთა აუკვდაონ სახელი ჩემი».

სამლოთო წერილის ნაბუგოდნოსორის პირუტყვად შეცვალეხასა ზედა მოთხრობილი, აღნიშნულია ბაბელონურს იმ მოთხრობაში, რომელსაც გვაჩვენებენ ჩვენ აბიედენო და ბერესო. ამბობენ, რომ ნაბუგოდნოსორი რა თავის სასახლის მოაჯირზედ აღვიდა, აცნობა თავის ერსა, რომ აღმოსავლეთითგან ვიდაც პარსი კირო (ჯორი) უნდა მოვიდეს და დააქციოს ბაბილონის ხელმწიფობა; ამ მარცხის წინდაწინ ახდენისა კაცთა თკალთაგან იელი გახდა, გაუჩინარდა!

ბაღდასარის დროს მოხდენილ ქალდეასტანის აოხრების თაობაზედ, ბაბილონის წარწერები არაფერს არ ამბობენ, როგორც ასორასტანის წარწერები ნინევის ხელ-მეორე, დაქცევაზედ დაჩუმებულია!

ბაღდასარის მერმე ტიგრისის და ეფრატის მინდვრები გარდაეცათ არიელების ტომს პარსებსა, ბერძნებსა სელევკიელებსა, რომაელებსა, პართეეებსა და სასანიანთა სემის ტომს კი უკუ არ მიებრუნა, არაბების გამოსვლამდე. — არიელების ტომნივე არიან ფრანგები და ინგლიზები, რომ გააბრწყინვეს სენაქერიმის და ნაბუგოდნოსორის ტაძრები, ასურ-ნასირ-ნაბალიც და სარკონების გამარჯვების წარწერაები!

ბ. მენანს უნდა შესწეოდა ეს საგნები უფრო უკეთ გასაცნობლად: მოიმედე ვართ, რომ თავლათ-ბაღდასარის

და მის მსგავსთ წარწერების ბოლოში აღწერილს კურთხევას კარგი შედეგი უნდა ჰქონდეს!

«ვეუბნები მე ამას იმას, ვინც გარემოებათა წლების ჩემს შემდგომ მომავალი არის. ვინც წახოცს ჩემს რუკებსა, გააწყობს თავის ადგილას დასაღებს და თავის სახელს ჩემს სახელთან წარსწერს».

«ანუ და დიდროანმან ღმერთებმან მისცეს, მას გულის სიხარული და გაუმარჯონ მას ყოველს თავის საქმეებში!»!

#### IV.

აქ მოხსენებული ლურსმული წარწერანი მეტად შესანიშნია ჩვენის ისტორიული ცხოვრებისათვის. რაწაირი წერის კილოც უხმარიათ ბაბილონელთ თუ ქალდეველთა, იგივე წერის კილო დაშინილია ჩვენ ქართულს არა მარტო სასულიერო სამოსახსენებლოებში და ალაპებში, არამედ იმავე სამოქალაქო სიგელებში, გუჯრებში და ნასყიდობის წერილებში; როგორც ვნახეთ, ასორების წარწერანი იწყობიან თავში ვედრებით თავიანთ კერებთან, და სრულდებიან ბოლოს წყევლა-კრულითა. ჩვენი წარწერანიც ხომ ასრე არიან.

#### შენიშნულება.

სახელითა ღვთისათა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა და მეოხებითა წმიდისა ღვთის-მშობელისათა: მეოხებითა წმიდათა ზეცისა ძალთა მიქაელ და გაბრიელისათა: მეოხებითა წმიდათა თავ მოციქულთა პეტრესი და პავლესითა: მეოხებითა ათორმეტთა მოციქულთა: მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდათ მღვდელთ-

მოძღვართა და მოწამეთა, მამათ-მთავართა, შესვეტეთა, მეუღაბნოელთა და ქალწულთა; მეოხებითა ოთხთავე თავთა მახარებელთა, მათეს, მარკოზ, ლუკა და იოანესითა: მეოხებითა წმიდისა იოანე წინასწარმეტყველისათა: მეოხებითა აწყვრისა, ვარძიისა და ოშორისა ღვთის-მშობელისათა: მეოხებითა მერისა და საშიოსა ღვთის-მშობელისათა: მეოხებითა ნიოფორისა ღვთის-მშობელისათა; მეოხებითა წმიდისა გიორგი აღისა მთავარ-მოწამისათა და მეოხებითა ყოველთა წმიდათა, რომელნიც სათნო ეყენეს უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა და კვალად-ცა სათნო ყოფად არიან: აწ მე პატრონმან... და მე ბოცოს ძემან შალვა და ჩემმან ძმამან ამირბარმან შემოგწირეთ აღისა მონასტერსა, საკირეს ვეფხვას შვილი სამსა გრივსა (კოდსა) პურსა გამოიღებდეს დედისა ჩვენისათვის საალაპოდ და მწრეს ქიტილის ძე ოთხმოცსა თავ ჩათსა ღვინოსა მოგცემდეს პატრონისა მარბისათვის საალაპოდ: და ვინცა და რამანცა გვარმან კაცისამან შემცაცვალოს ხელ ჰყოს შეშლად, შიმცაიეცვალოს სჯულისაგან ქრისტაანეთასა: შემცაედების კეთრი გეეზისა, შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისა: იგიმცა ჰურია არის, რომელმანც ქრისტესა უფალსა ლახვარი შესცა: იგიმცა დიაცი არის, რომელმან ნათლის-მცემელსა თავი მოჰკვეთა: იგიმცა დიოკლეთიანე არის, რომელმან წმიდა-გიორგსა სატანჯველნი მიუპყრნა: დაისაჯოს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ღვთისა მადლით და რაიც ამ სვინაქსარსა შინა წმიდანი სწერიან, მადლითა მათითა ამასცა შინა სოფელსა და მერმისსა მის საუკუნესა: ამინ, და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს.

სამოსახსიყნულთ აღაპი.

ქ. სახელითა ღვთისათა, მეოხებითა და შუამდგომ-

ლობითა ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისათა: მეოხე-  
ბითა და შუამდგომლობითა პატიოსნისა ჯვარისათა, ძე-  
ლისა ქეშმარიტისათა, რომელსა ზედა განიპყრნა უხრწ-  
ნელნი ხელნი თვისნი ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან  
ცხოვრებისათვის ჩვენისა: მეოხებითა და შუამდგომლო-  
ბითა წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა ნათლის-  
მცემელისა იოანესითა: მეოხებითა და შუამდგომლობითა  
წმიდისა იოანე მახარებლისათა და ღვთის მეტყველისა-  
თა: მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდათა თავთა  
მოციქულთა პეტრეს და პავლესითა და ათორმეტთა  
მოციქულთა: მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდათა  
მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მღვდელთ-მოდღვართა,  
წმიდათა ნეტართა მამათა, მამათ-მთავართა, წმიდათა მოწა-  
მეთა ზეცისა და ქვეყნისათა, რომელნი სათნო ეყვნეს  
უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა: მეოხებითა და შუამდ-  
გომლობითა წმიდათა მეუდაბნოელთა, და წმიდისა დი-  
დებულისა მთავარ-მოწამისა აღისა წმიდისა გიორგისათა,  
ეჭკადრე ესე აღთქმაი და მოგახსენე ქაბულამან კლე-  
მენტო და ჩემმან შეილმან სულთამამან და შევიკვეთე  
სულისა ჩვენისა სააღაპოდ, თორმეტი გვერდი ჭიჭინისა  
ძისა ბეგარისაგან საზედაშეთა მკვიდრად მოუშლელად:  
რამანცა კაცმან ხელ ჰყოს შეშლად ამის. შემცაიცივალე-  
ბის სჯულისაგან ქრისტიანობისა. უგმიამცა ღმერთი მამა,  
ძე და სული წმიდა: დამამტკაცებელნი ღმერთმან  
აცხოვნეს.

### შეწიარულუმა სანათისა.

ქ. სახელითა ღვთისათა, მამისა, ძისა და სული-წმი-  
დისათა: მეოხებითა წმიდისა ღვთის-მშობელისათა: მეოხე-  
ბითა აღისა მთავარ-მოწამისა გიორგისათა: აწ მე ანანა-

(ყანა) შემოგწირე ჩემისა სულისათვის, გიორგისა ნაქონები იას ძისა მე პატრონმან შალვამ: რაიცა მამისა ჩემისა ამას პირსა ზედა, რომ ჩემთა ცოლის ძმათა ჰქონდეს ოთხ-ოთხსა ლიტრა ზეთსა შემოიღებდენ წელიწადს შინა: ვინცა ესე მოუშალოს, ღმერთმან ყოველივე მოუშალოს და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს.

### ს ი გ ე ლ ი -

ნებითა ღვთისათა, ჩვენ ღვთიე-გვირგვინოსანმან, ორისავე ტახტისა და სამეფოსა ღიბთ იმერისა და ღიბთ ამერისა მპყრობელმან, მეფეთ მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩემმან დედოფალთ-დედოფალმან ელენე პირმშომან ჩვენმან სასურველ საყვარელმან ვახტანგ, ნებითა და შეწვევითა ღვთისათა ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ და შეგიწყალებთ თქვენ ჩვენსა ერთგულსა და თავ-დადებით ნამსახურსა ფანჩულიძესა იობას და შენსა შვილებს ბართლომეს და იაკობს და სახლისა თქვენისა მომავალთა, მას ჟამსა ოდეს მოხვედით წინა ჩვენისა და გვეაჯენით და მოგვახსენეთ, ვისძინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ გელათს სენაკი, ტრაპეზის გვერდით საბოსტნე, ტრაპეზ ქვეშ სათიბი, სავენახე და ღუნაშვილის ვენახის გამოღმა სიმრგვლით, ვახტანგის სამწირველოს სათიბს ზემო და ყურსევეს ქახრაკისძე მისითა მამულითა, წყლითა საწისქვილოთი, საძებრითა და უძებრითა..... ყოველითავე ასე და ამა პირსა ზედა რომე ნოემბრის თვესა, გიორგობის დღესა ჟამსა გვიწირავდეთ სულისა ჩვენისათვის და წარსამართებლად მეფობისა ჩვენისა. რაგვარადაც ქახრაკიძეს ზევალას შვილს ხელ შეუვალად ჰქონებოდა ისრევე თქვენ გიბოძეთ ხელ-მოხსნით და არაფერი შემოვიდოდეს რა საჩვენო, ერთისა გალატო-

ზობის მეტი: არა ძროხა, არა საკლავი, არა ღომი, არა-  
ფერი სათხოვარი, ვითარცა ქრთამიც მოგვეციო და  
შეგჯერდით ესრე და ამა პირსა ზედა, არავინ ადამის  
ტომმან ვითარცა სენაკსა, არცა სათიბსა, არცა სავენახე-  
სა და არცა ქახრაკიძესა, ასრე ხელშეუვალად გვიბო-  
ძებია, არა ხელი წინამძღვრისა, არცა მოძღვართ-მოძღ-  
ვრისა, არცა მათისა მებართლომისა, არცა სადედოფლოს  
სამწირველოსი, არცა კანდელაკისა, არცა სხვა ძმათაგა-  
ნისა ვინ გინდა ვინ იყოს, ასე ხელშეუვალად გვიბოძებია  
ჩვენ მეფეთ-მეფესა ბაგრატს და თანა-მეცხედრესა ჩვენსა  
დედოფალთ დედოფალს ელენეს და ძესა ჩვენსა ვახტანგს,  
თქვენ თანჩულიძეს იობსა და თქვენთა შვილთა ბართ-  
ლომეს და იაკობს და მომავალთა სახლისა თქვენისათა  
ყოველთავე სამკვიდროთა შეუვალად როგორც ჩვენგან  
ბოძებულ ბარათს, აგრე ვერვინ შეგიცვალოს და მოგი-  
შალოს, ვერც შემდგომად ჩვენისა მეფეთა და დედოფალ-  
თა, ვინც შეგიცვალოს და მოგიშალოს კრულმცა იყოს  
სული მისი მას მეორედ მოსვლისა.

ბ რ ჯ ა რ ი .

მინდობითა და შუამდგომლობითა ყოვლად უხრწ-  
ნელისა და უმეტესად ზესთა აღმატებულისა, უფროსად  
კურთხეულისა ყოვლად ბიწშეუხებელისა ქალწულისა  
სანატრელისა მარიამ, სიტყვისა ღვთისა მშობლისა, ძლიე-  
რებითა ცხოველ-მყოფელისა, ცხოვრება განმაძლიერებე-  
ლის ქრისტე მეუფისა და ყოველთა წმიდათა ღვთისა-  
სათნოთა, ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარ-ან-  
გელოზთა, წინა-მორბედისა იოანე ნათლის-მცემელისა და  
წაშობთა დედათასა უმეტესისთა, წმიდათა მოციქულთა და  
წინასწარმეტყველთა, მამათა, მამათ-მთავართა, მღვდელ-მოძ-

ღვართა, მოწამეთა და ყოველთა წმიდათა ღვთისათა თავს-  
მღებობითა: ესე წიგნი და სიგელი მოგართვით თქვენ  
ყოვლად სანატრელსა და პატიოსანსა ღვთის სათნოდ დე-  
დისა. და ზესთა აღმატებულისა ბიჭვინტისა ღვთის მშობ-  
ლის ზედა-მდგომელსა კათალიკოზს პატრონსა ზაქარასს,  
ჩვენ პატრონმან გურიელმან სიმონ და პატრონმან დი-  
მიტრი გურიელმან, ასე და ამ პირსა ზედა, რომე ბედ-  
ნიერმან ხელმწიფემან ალექსანდრე მეფემან შეგვიწყალა  
და გურიელობა გვიბოძა და ბერად აღთქმული ვიყავით  
და შენდობა გთხოვეთ და გვიბოძეთ და მისდა საკანუ-  
ნოდ მოგართვით აკეთის საწინამძღვრო მისის მამულითა,  
შესავალითა და გასავალითა, რისაც მქონებელი იყოს და  
ან ყოფილიყოს უკლებლად და ყოვლისა კაცისაგან შეუ-  
ცილებლად და შევსწირეთ წმიდასა და ზესთა აღმატებულ-  
სა უპატიოსნესსა და ყოველთა უწმიდესსა, ცათა მბა-  
ძავსა, ყოვლად პატიოსანსა დედასა და ქალწულსა ბიჭ-  
ვინტისა და ღვთის-მშობელისა, ჩვენსა სასოებასა და  
მეოხსა სულისა ხორცსა ჩვენისასა, დამხსნელსა  
ყოვლისა ბოროტისაგან, ხილულთა და უხილავთა მტერ-  
თაგან; და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და ბრალ-  
თა აღსახოცელად. აწ თქვენ წმიდაო და ყოვლად-განწმენ-  
დილო სულო უტყუელო, ქეშმარიტო მეუფეო ბატონო  
კათალიკოზო, წელიწადის მოქცევასა თქვენის ყოვლად  
წმიდით და პატიოსნითა..... ჟამსა გვიწირავდით თქვენის  
კრებულთა და სოფელსა ამას შინა ლოცვას გვიყოფდით.  
ესე ასრე შეიწირე ყოვლად წმიდაო, ბიჭვინტის ღვთის-  
მშობელო, და ნაცვლად გვაგე დღესა მას დიდისა გან-  
კითხვისასა და სოფელსა ამას დაგვიცე უშფოთველად,  
სიმართლით და დღეთა სიგრძით. ხოლო აწ ვინც რა-  
მანც კაცმან: ან უმეფემ, ან დედოფალმან, დადიან-გუ-



ლიელმან, კათალიკოზმან, ეპისკოპოზმან, თავადმან, აზნაურმან შლად და ქცევად ხელ ჰყოს რისხვამსცა მამა, ძე და სული წმიდა და ყოველნი წმიდანნი ღვთისანი ზორციელნი და უზორციონი და სამას-ათვრამეტნი მამანი და ნურა რამცა სინანულითა ნუ იქმნების ხსნა სულისა და ზორცისა მისისა. სიმონ გჳრიელი და დიმიტრი.

### ნასყიდობის წიტილი

ქ. სახელითა ღვთისათა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა: ყოვლად წმადისა ყოვლად უბიწო და ყოვლად უხრწნელის დედუფლისა ჩვენისა მარადის ქალწულისა მარიაჲისათა: ზეცისა ძალთა და ანგელოზთა, მიქაელ გაბრიელ მთავარ-ანგელოზთა და სხვათა მრავალ წმიდათა ანგელოზთა, მათის თავმდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა პატიოსნისა და ცხოველ-ყოფელის ჯვარისათა, რომელსა ზედა განიპყრნა ქრისტე მეუფემან ღმერთმან ჩვენმან უხრწნელნი მკლავნი თვისნი და სისხლი დაანთხია ხსნისა ჩვენისათვის: მათის თავმდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა: ესე უთუო და უთუმცაო და დრო შემოუღებელი და მიზეზ შემოუკარებელი, ყოვლის ხრუბისაგან და იღვთისაგან გამოსული ნასყიდობის პირი და სიგელი მოგეცით ჩვენ ნორაშენის ხუცესმან ტერ მიკირტიჩამ და შვილმან ჩემმან ტერ მათეოზამ, გასპარამან და სახლის მომავალმან ჩვენმან, შენ ჯუღელს ისაიას შვილს მანველას, შვილსა შენსა ესაიას, ალადადსა და ოჰანესას და სახლის მომავალსა შენსა: დაგვექირა და მოგყიდეთ ზარათხანასთან ციხის კერძო ორი სახლის ალაგი და ერთი სახლი და ზაქარიას აშენებული, ყურსხანის ალაგიცა: ავიღეთ ფასი სრული რითაც ჭვენი გული შეიჯერებოდა, აღარა დაჲჩა ჩვენი შენს

ზედა ძმობისა და ნოყვრობის მეტი: თუ ვინმე მოდავე და მოპირისპასუხე გამოსჩნდეს პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ: არის სამზღვარი მისი ერთგნით გვერდ ზარაფხანის ფასულხნის კედელი. უკანით ბასილას სახლის კედელი. ერთი გვერდი ზეითი სახლების გზა. წინ თავისი კარი, შემოსავალ გასავალი გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან როგორადაც გეხელუოდეს: ვინცა, რამანცა კაცმან ამისად შლად და ქცევად ხელი ჰყოს, თავილამ ჰრისხაძს ღმერთი და ყოველნი მისი წმიდანნი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცონი: ვინცა და რამანცა კაცმან ამისად შლად და ქცევად ხელ ჰყოს, მასამცედების კეთრა გეზისა, შიშთვილი იუდასი, დანთქმა აბირონისა და ნუმცა იხსნების სული მისი ჯოჯოხეთისაგან: ამინ მოწამენი ნაზირი ზაალ □. ქალაქის მელიქი ავთანდილ □. მამასახლისი ნაზარ □. ნაცვალი შერვილაშვილი დავით □. გიზალათ ანჯელა □. ჯუღელი აღამალა მე მოლნისის<sup>1)</sup> ხუცესს ტერ სიმონას დამიწერია. ქკს. ტნივ.

## V.

თავითგანვე ჩვენს მეზობლურს ცხოვრებას სემიტელებთან მეტად ღრმა კვალი დააუჩნევია ჩვენს ყოფაქცევა ცხოვრებაზედა. სემის უმთავრესნი ჩამომავალნი არიან ებრაელები, ასორები, არაქები, ელამელნი პარსეთის ძველნი მემკვიდრენი, არაქები და სხვანი. ამ ყველა ტომისტთვის გვიწოდებია დასაწყისითგანვე სომეხი, ე. ი.

<sup>1)</sup> მოლნისი ახალციხის ძველი უბანი ყოფილა,

სემისდომი. ეს წოდება ისე მეტად შეგვითვისებია ჩვენ, რომ როცა არიანების ტომისაგანნი ჰაოსიანები თუ ჰაები შემოსულან დიდის სათათრეთით ჩვენსა და ასორების სამფლობელოს შუა მიწა-წყლის დამცილებელ წამგლეჯელად, მათთვისაც იგივე წოდება მიგვიცია სომეხი და დღესაც ამ შემცდარი სახელ-წოდებით ვიხსენიებთ ჰაებსა, თუმც სრულიად არ არიან სემის ტომების მოდგმისანი, მაგრამ მაინც ძალად ვასომხებთ. საკვირველი ის არის უფრო, რომ მთელი ასიის ტომები და ევროპისა თუ აფრიკისაც არმენს და ერმანებს უძახიან. იმ სახელწოდებას, რომლითაც იწოდებოდნენ ძველადგანვე ასორეთის შუამდინარის გარემო მცხოვრებნი, ასორების მეგვარტომენი არამნი. ჩვენი ნათქვამნი ის უწინდული ნამდვილ სომეხნი არიან, რომელთა მეზობლურის ხანგრძლივის გაწყობილობითაც მრავალი რამ ყოფა-ქცევა, ცხოვრების ღონე საშუალება მიგვიღია ადრითგანვე მათგან, როგორც ანბანის გაწყობილობა დიდი წილი ჩვენი და მათი ე. ი. ქალღვევლებისა, ასორებისა და ებრაელებისა ერთნაირია, მაგალითად ასე არის მათი ანბანი: ალფ. ბეთ. გიმელ. დალეთ. ვაღ. ზაინ. ხეთ. ტეთ, იოვტ. კაფ ლამეთ. მემ. ნუნ. სამეთ. აინ. ჟე. წადე. ქოფ. რემ. შინ თავ.—ჩვენი ან. ბან. გან. დონ. ენ. ვინ. ზენ. ცე. თან. ინ. კან. ლას. მან. ნარ და სხვაც. აგრეთვე წერის კოლო გაწყობილება ერთნაირი დარჩენილა მათი ჩვენში. ეს სულ ერთია: ჩვენ იმათგან აგვიღია თუ იმათ ჩვენგან აუღიათ; დღეს ასე არის მარად სახსოვრად დარჩენილი როგორც ნათლად ვხედავთ.

ასორების დამოკიდებულებაც ცხადი არის ჩვენ გვარტომობზედ. ეს ჩვენი ქართლის ცხოვრებიდგანაც სჩანს: სხვა მრავალ ფაქტებთა შორის ერთიც ის არის, როცა

წმიდა ნინო ქალწულ-მოციქულის ლოცვით შერ-  
მუსრა ციური მოვლენისაგან არმაზი მცხეთად. აი რას  
ამბობდნენ ჩვენი წინაპარნი ქართველნი: „ვითარმედ  
ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩვენი ესე ღმერთი  
არმაზ ყოვლადვე ურთიერთარს მტერნა არიან, რამეთუ  
ამან არმაზ ოდესმე მათ ზედა ზღვა მოაქცია, და აწ მან  
'მური იძია და მოაწია ესე ამას ზედა“. (ქართ. ცხოვ.)  
ეს უკვე ამტკიცებს ბ. ლინორმანის ახსნილს წარწე-  
რებსა სასომხეთოში, რომ ქართველები ყოფილან უწინ  
სრულად მფლობელნი სასომხეთოსი და მისი მხარეებისა  
მეზობლად ასორებისა. აი ასე სწერს: \*) „საწლო-წე-  
რილნი გვაცნობებენ ჩვენ, რომ სასომხეთოს პირველნი  
მცხოვრებნი ქრისტეს მერვე საუკუნოების წინად იმ  
ტომისგან შთამომავლობდნენ, საიდგანაც არიან ქართ-  
ველნი, სხვა აწინდელი კავკასიელი გვარები“... „ყვე-  
ლაზედ საკვირველი ეს არის, რომ სასომხეთოს ლურს-  
მული წარწერების ენა სრულიად გარჩეულია და  
შორი სომხურისაგან: ის ერი ყოფილა თავისუფლად  
მფლობელი იმ ქვეყნისა მეექვსე საუკუნოების წინად,  
რომელსაც წაუწერია ის წარწერანი, სრულიად არა  
ჰქონია რამე დამოკიდებულება ჰაოსიანებთან, როგორც  
ტომობით, ისე ენით სრულიად დაშორებულია! უექ-  
ველად ვანის ბოლონდელ წარწერების რიცხვიდგან  
არიან მოსულნი ჰაოსიანები და ჩამდგარნი; რომელთ  
ძველი მცხოვრებნი კავკასიისკენ განსდევნეს, იქ, რო-  
მელსაც ძველნი ივერიას უწოდებენ და აწინდელნი  
საქართველოს!“ მერმე იხსენიებს ჩვენს იმ დროინდელ  
კერპთ-მსახურ მეფეების სახელებს, რომელთაც ჰქონიათ

\*) ლინორმანის ლუწისმულის გამოკვლევიდან.

ომ-ბრძოლა ასორესტნის მეფეებთან, როგორც ლუდიპირი, ბელიტური, ისპუინი, მენუა, არგისტი, ირანძუ, ულუსუნი, უზუნა, აზა, არამი და სარდა... მეზობლური გაწყობილობა რა ექვია, მრავალ გავლენას იქონიებდა ჩვენზედ ცხოვრებაში, აღებ-მიცემობაში, ყოფაქცევაში, სამართალს-დასჯაში, მეომრობაში და ყოველგვარ მოძრაობაში. ჩვენ ვნახეთ ამის წინა ფურცელში, რომ ასორები თავიანთ მტრებს, ტყვეებს თუ განდგომილებს მრავალნაირად ჰსჯიან, ზოგს ცოცხალ-ცოცხალ ტყავს აპრობენ, ზოგთ თვალებს ჰსთხრიან, ზოგთ თავებს სკრიან, ზოგთ ცეცხლში ჰსწვავენ, ზოგთ პალოებზედ ავებენ, სხვათ ცოცხლებს კედლებში ატანებენ და სხვაც ამისთანები. კედელში ჩატანება ბევრს ჩვენგანს ზღაპარი ეგონა, როგორც სურამის ციხის ამბავია, სადაც დედის ერთა ზურაბი ჩაუტანებიათ, გარნა ახლა მრავალგან ძველ ნაოხართ ნაკედლარებში ჩნდებიან ჩატანებულნი კაცის ხერხემალნი ყოველი თავის ტანის ნაწევრ ტეროებ ჩონჩხებითა. ასრე აღმოჩნდნენ ჯავახეთში ხორენიას, ახალციხისკენ ს. წყალთბილას, თვითო მკლავ-მუხლის ტეროები ორ არშინამდის იყვნენ. ასრევე გამოჩნდა საიმერეთოსაკენ და საქართველოს სხვა მხარეებისკენაც. რაც შეეხება დანაშთ რიგად დასჯას, ჯერაც ხმარებულია ჩვენ საუბარში მისთანა ლექსები, მაგალითად: უმფროსი რომ უმცროსს უშლიდეს მეზობლობაში მისვლა-მოსვლას, ეტყვიან პასუხად: კედლიდგან გამომძვრალი ხომ არა ვარ, რომ ბუზივით კედელ-ყურეს ავეკრა და გარედ არსად არ გავსდგა ფეხიო. როცა სახლის დიაცი გაუწყობება თავის მორბედსა, ეტყვის: შე გასაფუფქაო, შე დასადალაო, შე თავ-მოსაპრელო, შე ცეცხლში დასაწვავო, ანძაზედ ასა-

გებო და სხვ. სახლის პატრონი რომ მეტად გაუწყ-  
რება თავის მოჯამაგირეს, შესძახებს, მავ ტყავს გაგაძ-  
რობ, თავპირს დაკამტვრევო. ჩვენი მეფეების სასჯელში  
ხომ არის: თვალების დათხრა, დამახინჯება, ხელ-ფეხის  
დაყრევინება, დახწობა და სხვაც მისთანები... ჩვენ წი-  
ნაპართ ჰყოლიათ საკუთარი კერპები ზადენი და ბოლი.  
ამათ მრავალგვარი სათხოვრები ლოცვა-ვეფრებაში რომ  
არ აუსრულებიათ მათთვის, დაუჩემებიათ ზადენისთვის  
ზარმაცობა; მათ მისი სახელ-წოდებიდგან დაშთენილა  
ზარმაცობის მაგიერი ლექსი ზანტი და ბოლის გამოშ-  
ტერება-გამოჩერჩეტებულობის გამო დაშთენილა ბეჩი,  
ბეჩავა. ასრევე ასორების დიდი კერპის სამას შეუ-  
რაცხყოფითა, ვეძახით დღესაც გაუგებელ ადამიანს სა-  
მასა. ეს და მრავალი ამისთანა გამოსაკვლევია ფაქ-  
ტები ცხადად აჩვენებენ, რომ ჩვენს გვარტომობას ძველის  
ძველ გვარებთან,\*) ეგვიპტელებთან, ფინიკელებთან, ასო-  
რებთან და მისთანა შესანიშნ გვარ-ტომებთან დიდ  
დამოკიდებულება ჰქონია. მაშასადამე ბევრი წერა, ბევ-  
რი შრომა და ბევრი გამოკვლევა გვჭირდება ჩვენის ქარ-  
თლის ცხოვრების სისრულეში მოსაყვანად.

ვინმე შესსა.



---

\*) იხ. „მწეუმი“ 1884 წ. № 15, 18, 21, 24, 29.

## მ ა ს ა ლ ე ბ ი

ქრისტიანობის დაცემის და ისლამის სარწმუნოების გავრცელების ისტორიის დასავლეთ საქართველოში.

გაგრძელება \*)

ევფრატის და ამქსევის გამაჭმადასება. თამარ მეფე,  
და ევფრატის ტამარა.

(ნაამბობი ევფრატელ ცეცხლადისავან).

თამარ მეფე შავშეთილამ კარჩხალის მთაზე გადმო-  
ბრძანდა, ევფრატელებმა და მაქახელელებმა თამარ მე-  
ფეს მაქახელში მობრძანება სთხოვეს. თამარ-მეფემ შეი-  
სმინა ეს თხოვნა და ბრძანა:

—რამდენსაჲმ ხანს აქ მთაზე დავრჩებით და მერე,  
დაბრუნების დროს, მაქახელში გაიხლებიდა.

ერს ძლიერ ესიამოვნა მეფის ბრძანება. მეფის ბრძა-  
ნებით კარჩხალის მთის მწვეროზე მდებარე ერთ ვაკე-  
ალაგს დაარქვეს „თავ-კალო“. ამაჲ თავ-კალოზე მისივე  
ბრძანებით ალაგეს დუქნები და გააჩინეს ტბა. თვით  
თამარ-მეფისთვის გააკეთეს მშვენიერი კოშკი, რომელ-  
საც გარს სულ ირმის რქები ეკრა. სამეფო საქმეების  
გაკეთების შემდეგ თამარ მეფე სტუმრებს მიიღებდა  
ხოლომე. სტუმრები სამეფო ტანთ საცმელით, უნდა გა-  
მოსცხადებოდნენ. სოფ. ევფრატში გაკეთებული იყო  
ერთი დიდი სასახლე, სადაც აუარებელი ტანთ-საცმე-

\*) იხ. «კრებული». № V, 1899 წ.

ლი ეწყო, აქ მოვიდოდნენ თამარ მეფის მნახველნი, თავიანთს ტანთ-საცმელს ვაიხდიდნენ, სამეფო ტანთ-საცმელს ჩაიცვამდნენ და თავ-შიშველა წავიდოდნენ კარჩხალის მთაზედ თამარ-მეფის სანახავად. ნახვის შემდეგ ესენი დაბრუნდებოდნენ ევფრატს, სამეფო ტანთ-საცმელს გამოიცვლიდნენ, ისევ თავიანთსას ჩაიცვამდნენ და ისე წავიდოდნენ. მალე თამარის ბრძანებით კარჩხალიდგან ევფრატამდის საურმე გზა გააკეთეს. კარჩხალიდგან ხალხი ურმით ჩამოდოდა ევფრატს.

ერთს საღამოს ჟამს, როცა თამარ-მეფე თავისს კოშკში ბრძანდებოდა და აქეთ-იქით იმზირებოდა, ევფრატის ეკლესიის გვერდით შენიშნა ერთი მეტად საუცხოვო ბრწყინვალე ცეცხლის შუქი. თამარ მეფემ ამიტომ კარჩხალიდგან მალე ისურვა ევფრატში ჩამოსვლა და ნახა იმ ეკლესიისა, სადაც მან შუქ მფინე ცეცხლი დაინახა. საქმე აღარ დაახანა, მალე ჩამოვიდა ევფრატში და ნახა ის ადგილი და ეკლესია, საიდგანაც მან ცეცხლი დაინახა. ევფრატის კარგი ეკლესია მაინც-და-მაინც დიდად არ მოეწონა და ბრძანა:

— მე ჩემის ხარჯით ერთი კარგი ეკლესია ხერთვისში უნდა ავაშენო სამახსოვროთ ჩემის აქ მოსვლისა და კარჩხალის მთაზედ ყოფნისა.

რამდენიმე დღის შემდეგ ხერთვისში ეკლესიის კეთება დაიწყო. დღისით ხელოსნები და მუშები მუშაობდნენ, საღამოთი იარაღს ეკლესიის შენობასთან აწყობდნენ და თითონ ისვენებდნენ; დილა რომ გათენდებოდა, ხელოსნები მოვიდოდნენ ეკლესიასთან სამუშაოთ, მაგრამ თავიანთ იარაღს იქ ვეღარ ნახავდნენ; არამედ 8 ვერსის მოშორებით, სოფ. ევფრატის ეკლესიის გვერდით ნახავდნენ იარაღს დაწყობილს. რამდენ-



ჯერმე მოხდა ასეთი მაგალითი და ხელოსნები ერთობ გაკვირვებულნი იყვნენ ასეთის საკვირველ-მოქმედებით. ესენი წავიდნენ და თამარ მეფეს მოახსენეს, ყოველის-ფერი დაწვრილებით. თამარ მეფე დაფიქრდა და ბრძანა შემდეგ:

— მაშ დანებეთ თავი ხერთვისში ეკლესიის კეთებას, დარჩეს ისევ ისე ეფფრატის ეკლესია ამ ხეობის მკხოვრებ ქართველთა დედა ეკლესიათ. თუმცა ეს ეკლესია ღარიბათ არის ნაშენი, მაგრამ მე გავამდიდრებ, მე შევმოსავ მას ყოველის სამკაულებით.

ხელოსნები თავთავიანთკენ წავიდნენ. მესამე დღეს თამარი ჩამობრძანდა ეფფრატში, ეკლესია შემოსა ძვირფას განძეულებით, სასულიერო წოდებას გადაახდევინა პარაკლისი და შემდეგ ამისა მაჰახლის გზით დაბრუნდა ლივანას. მაშინ მთელს მაჰახელში საურმე გზა ყოფილა გაკეთებული. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ეკლესია შეაკეთეს და ის კედელიც შეამკეს ძვირფასის ფარჩ მარგალიტებით, რომლის კედლის თავზედაც თამარ მეფემ მეტათ სხივოსანი კვამლი დაინახა. გაკეთების შემდეგ წყველა-კრულვა დაუდვიათ, რომ არამცა და არამც ეს ეკლესია არავინ დაატციოს, თუ თავისით დაიტკვეს ოდესმე, ეცადნენ, რომ მაშინ ეს კედელი მაინც დარჩეს საშვილიშვილოთაო. ამავე დროს თამარ მეფეს გაუკეთებია ხერთვისის ორი ხიდი, სოფ. ჩხუტუნეთის ახლოს და ერთი დიდი კოშკი სოფ. აკარ-აღმართას ზემოდ, მაჰახლის წყლის პირას, რომლის ციხის კედლები დღევანდლამდე სდგას. მაჰახლის პირიდგან მტერი რომ შემოსულიყო, ის მხოლოდ ამ ციხემდის მოაღწევდა და ამას აქეთ ფეხს ვერ შემოსდგამდა, რადგანაც გზაში კარები დაკეტილი დახედებოდა.

თამარ მეფის შემდეგ გავიდა რამდენიმე ხანი და ოსმალთა საქართველო აღდგა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველთა გამაჰმადიანება დაუწყეს. უკანასკნელ გამაჰმადიანეს აქარელნიც და გაუმაჰმადიანებელი დარჩა მაქახელი და იმერხვევი. უკანასკნელ ოსმალებმა აქაც მოჰკიდეს ხელი და დაუწყეს მაქახელთა და იმერხვევლებს გამაჰმადიანება. იმერხვევის ხალხი და შავშეთი ადრე გაათათრებულან, მაქახელს კი ბევრი უბრძოლია და უჩხუბნია, მთელი მაქახელი გაწყვეტილა ბრძოლაში. ბოლოს ესენიც გაუთათრებიათ და გაათათრების შემდეგ აქ განწყესებულან ხოჯა-მოლები და ჯამეები გაუკეთებიათ. ეკლესიების ქცევა-ნგრევაც შემოაუღიათ. ახალ გამაჰმადიანებულთ დიდად დაუვედრებიათ ოსმალთათვის, რომ ეფრატის ეკლესიას ნუ დააქცევთ, მაგ ეკლესიის შესახებ ჩვენის ძველებისაგან წყევლა-კრულვა არის დატოვებული, თუ ვინმე მას დააქცევსო. ოსმალთ თხოვნა შეუსმენიათ, ეფრატის ეკლესია არ დაუქცევიათ, მხოლოდ ეკლესიის კარები დაუკეტიათ. თუმცა ხალხი გამაჰმადიანებულა, მაგრამ პირველ ხანებში დღესასწაულ დღეებს ხალხი ამ ეკლესიას არ ივიწყებდა, მიდიოდნენ და შიგ სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ. ნამეტურ ლოცულობდნენ მოხუცებულნი. ეს ამბები აქაურ ახალ მოლა-ხოჯებს სტამბოლის მთავრობისთვის უცნობებიათ. იქიდგან ბრძანება მოსულა, რომ ეგ ეკლესიაც დააქციეთ და ხალხსაც გამოუცხადეთ, რომ იქ ფეხი სალოცავად არავინ შედგასო. მალე ხალხი შეკრიბეს და გამოუცხადეს. ხალხმა მიუგო:

— ჩვენის ძველებისაგან ანდერძად გვაქვს დატოვებული, რომ ეს ეკლესია არავინ უნდა დააქციოს, ვიდრე თავისით არ დაიქცევა.

—არ შეიძლება, რაც გებრძანათ, უნდა აღასრულოთ, ეფფრატის ეკკლესია უნდა დააქციოთ, უბრძანეს ოსმალთ.

—ვინც მას წერაქვს და ბარს დაჰკრავს, იმას მაშინათვე ხელები მოსწყდება და გაქვავდება. კარჩხალი და გვანცადულა იწივლებს, იქ ქართველი დევება მარხიან, თამარ მეფის საფლავიც „დავ კალოზება“, ისინი აღგებიან და ჩამოვლენ ჩვენ შესარცხვენათ, ჩვენ გაექვავდებით. ოსმალთა მძინე არ ქმნეს და ძალას ატანდნენ, რომ ეს ეკკლესია თვით ქართველთა ხელით დაქცეულიყო და მით დარწმუნებულნიყვნენ ესენი, რომ მის დაქცევით არაფერი მოხდება. ხალხს მეტად ძალა დაატანეს, შეაწუხეს, მოაბეზრეს წვალებით. ბევრნი ახლად გამაჰმადიანებულნი მოხუცნი ქალნი და კაცნი მწარედ სტიროდნენ და ქვითინებდნენ, ხმა-მალაჰყვიროდნენ.

—ეფფრატს აქცევენ, ღმერთო, ეფფრატს აქცევენ, ღმერთო. მაშინ ქლესიას ეფფრატს უწოდებდნენ და არა ქლესიას.

ამის დაქცევის გულისთვის დიდი ძალი ხალხი გაწყდა. ბევრმა თავი მოიკლა, რომ მე არ მხვდეს ეფფრატის დაქცევა. უკანასკნელ რომ ვეღარა მოაგვარეს რა, ოსმალთ ასე განუცხადეს თანხმობა.

—ჩვენ თქვენი ერთგულნი ვართ და მუჰამედისა. ჩვენ როგორც ერთგულნი მოგახსენებთ და გთხოვთ, რომ ამ ეკკლესიას ჩვენ დავაქცივთ, შევასრულებთ ბრძანებას, მხოლოდ ნება მოგვეცით, რომ მარჯვენა კედლის მცირე რამ კედელი არ დავაქციოთ, სადაც ჩვენს მამებს გამოწინილი ღმერთის საკვირველება უნახავთ.

რსმაღლთ ნება მოუციათ და ქართველთ დაუქცევიათ ეფფრატი, მხოლოდ დაუტოვებიათ ის კედელი, სადაც თამარ მეფეს ნათლის შუქი დაუნახავს, ეს კედელი დღევანდლამდის დგას დაურღვეველი. შემდეგ დროებში ამ კედლის დაქცევაც განუზრახავთ, რადგანაც ამ კედლის გვერდით შეიყრებოდნენ ხოლმე მოხუცებულნი და ხან ტიროდნენ ცრემლებით და ხან ლოცულობდნენო, ახალგაზდა ქართველ თათრებმა კი არაფერი იცოდნენ მისი და ყოველთვის გაკვირვებით უმზერდნენ თავიანთ დედ-მამის ტირილსაჲ. ამ 30—40 წლების წინად აქ ყოფილან ისეთი მოხუცებულნი, რომელთაც კარგად ხსომებიათ ეს ამბები, და ამ 5 წ. წინად გარდაიცვალა ეფფრატისაკენ ჭიჭინოღლის (ჭიჭინაქე) მოხუცი დედა, რომელსაც კარგად ხსომებიათ ეს ამბები და თვითაც ხშირად ულოცნია ხოლმე ამ კედლის გვერდით. ეფფრატის დაქცევის დროს ქართველ მაჰმადიანებს თავიანთის შვილებისთვის წყევლა-კრულვა დაუდვიათ, რომ ამ ეკლესიის ქვები არავინ გაზიდოს აქედანაო და სახლების საკეთებლად არ იხმარონო. შთამომავლობას მტკიცედ შეუნახავს ძველების სიტყვა და იქიდან არავის რა წაუღია. მთელი ეკლესიის კედლის ქვები იქვე არის, ზოგიერთ ბელტოებს სამი-ოთხი საეენი სიგრძე სიგანე აქვთ. ამ ეკლესიის სამრეკლოსთვის ხელი არ უხლიათ. სამრეკლო აღმოსავლეთის კარის წინ ყოფილა და ქვეშ გასავლელი იყოო. სამრეკლო დაუქცევიათ უკანასკნელ ომის დროს, ასე 1877 წ., რადგანაც აქ გაიურები მოვლენ და ამის ძალით ჩვენც გაგვაქართველებენო. უწყიან, რომ მაშინ რამდენიმე კაცმა გაბედა აქედან ქვების წადებაო. ერთი კაცი ავად გახდა და მოკვდა. მისმა

შვილებმა თავიანთ სახლიდან გამოიღეს აქედან წაღებული ქვები და ისევ უკან მოიტანესო, გარდა ამისა ცხვარი დაუკლეს და ხალხს დაურიგესო.

ამ ეკლესიის რამდენიმე ქვა ამ სოფლის მამასახლისის ტყიბორიძეს წაუღია და თავისი სახლის კედლების შენების დროს შიგ ჩაუტანებია. ერთს ქვას ქართული ნაწერები ჰქონია. ეს კაცი დღესაც ცოცხალია და ამბობს, რომ ზოგიერთი ქვები, რომლებსაც ნაწერები აქვს, აქვე ეკლესიის გვერდით ყრიან, მხოლოდ ერთობ ძირს არიან მოქცეულნი, ასე რომ მათ ზემოდ 2—3 საყენი ქვები და კედლის ლოდები ყრიან, 1893 წელსაც განუზრახავთ აქაურებს. ქვების გაზიდვა, მაგრამ შიშის გამო ვერ გაუზიდნიათ.

ეკლესია სხალტის ანუ ტფილისის ანჩატის ეკლესიის გვემიტ ყოფილა გაკეთებული. 5 საყენი სიგანე ჰქონია და 7—8 საყენი სიგძე. ეს ცხადად სჩანს დღევანდლამდე დაშთენილ საძირკველის კედლებიდან. აქვე უწყიან, რომ ძველად იტყოდნენ ხოლმე, ამ ეკლესიის ნივთები და ფული აქვე ეკლესიის ქვეშ მიწაში მარხიაო; ყველა ესენი გათათრების დროს ჩვენს ძველებს მიწაში დაუმარხავთ, რადგანაც შინებიათ, რომ ოსმალებმა არ მოგვტაცონო. ეკლესიის გვერდით ძლიერ ბევრი სახლები ყოფილა ძველად, ამ სახლების კედლები დღევანდლამდე სჩანს. უკანასკნელ ომის დროს აქ ყოფილა 80 კომლი ქართველ მაჰმადიანებისა, ომის შემდეგ იმათგან 72 კომლი ოსმალეთში გადასახლებულა და აქ დარჩენილა მხოლოდ 8 კომლი. დღეს ეს რვა კომლი 14 კომლია.

კარჩხალის მთის ქედ-ქედ არის ერთი დიდი მთა, რომელსაც ნინო-წმიდა ეწოდება. ძველად აქეთ საკა-

და ეკლესია ბუ მონასტერი უოფილა, რომელსაც სახელად ნინო-წმიდა რქმევია. ამ ეკლესიის სახელწოდების გამო მთასაც ნინო-წმიდა დარქმევია. პირველ გათათრების დროს ეს ეკლესიაც მთლად დაუქცევიათ. არსად ერთი ქვაც აღარ დარჩენილა. დღეს ამ მთას ქართველ მაჰმადიანები ინა-წმიდის მთას უწოდებენ და იმასაც უწყიან, რომ ძველად იქ ეკლესია იყო და ხალხი სცხოვრებდაო. გამაჰმადიანების დროს ხალხი დაუხოციათ და ვინც დარჩენილა, ისინიც აქეთ-იქით სოფლებში გაქცეულან: თქრი არ უნდა, რომ ეს სწორედ ასეც იქნებოდა. ხალხის გარდმოცემით თამარ მეფეს თუ კარჩხალის მთაზე ცხოვრება დიდად უყვარდა, მაშასადამე იგი ამ საყვარელ უმშუენიერეს მთებზე რომელიმე ქართველ წმიდანის სახელზედ ეკლესიას აღაგებდა და მით შეამკობდა. სჩანს, რომ თამარ მეფეს თუ სხვა ვინმე ქართველთ მეფეს აქ ნინო-წმიდის ეკლესია ან მონასტერი უნდა აღეშენებოდა. ნინო-წმიდის მთიდან ერთი გზა შავშეთში გადადის და მეორე ლივანში.

## სხალტის ხეობის გამაჰმადიანება.

(სამბობი სხალტის უსუფ ყარა მეყედ ოღლი ბოლქუასისაგან, ბოჩხელისა).

ამ ხეობაზედ ქართველებს დიდი ხანი შეუწინააღმდეგებლად თავი ქრისტიანობით, მაგრამ ბოლოს მაინც ბრძოლა მოჰპებურებიათ და გამაჰმადიანებულან. რამდენიმე სოფელს-კი საიღუმლოდ დიდხანს გაუმაგრებია ქრისტიანობით თავი; გასულა რამდენიმე ხანი და ოსმალებს თავიანთი ხოჯები და მოლები აქეთ ძლიერ გაუმრავლებიათ. თითო სოფელში ორ-ორი ხოჯა და მოლები დაუყენებიათ, ქრისტიანობით დარჩენილს ხალხს ესენი ასწავლიდნენ მუსლიმანობის სიწმიდეს და ასმენდნენ, რომ ვინც მუსლიმანობას მიიღებს, ის ცხოვდება, იმას სამოთხის კარებზედ არაფერს მოჰკითხავენ, მას ყველა ცოდვებს მიტომ აპატივებენ, რადგანაც მან დაივიწყა კერპებზედ ლოცვა და მიიღო წმიდა სჯული, სჯული ღვთისაგან მოცემული, რომელიც ერთად-ერთს ღმერთსა და მუჰამედს სცნობსო. რამდენიმე ხნის შემდეგ ზოგი დარიგებით და ჩაგონებით, ზოგი შიშით და მუქარით დანარჩენი ხალხიც გამაჰმადიანდა, მოისპოა ქრისტიანობა. პირველ ხანებში მღვდლებს სთხოვეს, რომ თქვენც მიიღეთ მუჰამედის სჯული, ჩვენ ვასწავლით ლოცვებს და მერე ხოჯობას მოგცემთო. მაგრამ ზოგიერთ მღვდლებმა უარი განაცხადეს და ზოგმა-კი მიიღო მაჰმადის სჯული.

ამ სოფლებში დარჩა გაუმაჰმადიანებელი მხოლოდ სოფ. ყინჩაური, რომელიც სხალტის ხეობაზედ მღე-

ბარეობს. ყინჩაურელებმა დიდხანს იმაგრეს თავი ქრისტიანობით, ამისი მიზეზი იყო სოფ. ყინჩაურის მღვდელი, რომელიც მეტად მწიგნობარი ყოფილა, მქადაგებელი და ქრისტიანობის მოყვარე. ეს მღვდელი ამაგრებდა თავისს ხალხს, ეს მღვდელი სწინამძღვრობდა მათ. ეს ოსმალოს უქუმათს ეუბნებოდა, რომ ჩვენ დავაყენეთ ჩვენს სჯულზედ და ჩვენ არაფერს დაგიშავებთ, თქვენი ერთგული ქვეშევრდომნი ვიქნებითო. სამართალი ამის ნებას აძლევდა, რადგანაც ეს მღვდელი მეტად გამპირახი და შორს-მჭვრეტელი ყოფილა. ეს სხვა მღვდლებივით მალე არ დამორჩილებია ოსმალოს ადგილობრივ მთავრობის განკარგულებას. ეს მღვდელი თავისს სოფლის ხალხს გარდა, სხვა სოფლის ახალს გამაჰმადიანებულს ქართველებშიაც-კი ჰქადაგებდა ქრისტეს სჯულს, მათ ასმენდა და არცხვენდა საიდუმლოდ, რომ თქვენ ოსმალოს ბრძანებას დამორჩილეთ ჩვენის ბეგების მოტყუებით და სჯული გამოიცვალეთ, გამაჰმადიანდითო. რიგიანი კაცი სჯულს არ გამოიცვლისო, თქვენ არავინ დაგხოცდათ და თუ დაიხოცებოდით, ეს უკეთესიც იქნებოდა და სჯულიდან კი ხელი არ უნდა აგელოთო... ამ მღვდლის მეოხებით ბევრი ახლად გამაჰმადიანებული ქართველი მობრუნდა მამაპაპის სჯულზედ და საიდუმლოდ დაიწყეს ქრისტიანობის აღსარება. ბევრნი ერთსა და იმავე დროს თათრულ წესებსაც ასრულებდნენ და ქართულსაც.

მაგრამ გავიდა რამდენიმე ხანი, მღვდელი დასმენილ იქმნა ჯაშუშებისაგან ამ ხეობის ადიებ ხიმშიაშვილებთან, რომ ყინჩაურის მღვდელი თავისთვის არ დგება და ყინჩაურის ხალხს გარეშე სხვა ახალ გამაჰმადიანებულს ქართველებშიაც ჰქადაგებს ძველს სჯულ-



საო, ბევრი გადაიყვანა მან ძველს სჯულზეო. ამის გამო დიდი რისხვა აწვიეს ამ მღვდელს ხიმშიაშვილებმა. ქრისტიანად დაშთენილებს უკანასკნელად გამოუცხადეს, რომ გამაჰმადიანდითო, ხალხმა უარი უთხრა, მაგრამ მალე ამათ ხოჯა და მოღებები გაეგზავნათ, ჯამე გაუკეთეს და ლოცვის დროს ხალხს იქ დაუწყეს შეკრება; მღვდელს ხმა არ გასცეს, ამას უთხრეს, შენ შენს ეკლესიაში ილოცე, ხმა არ ამოიღო, თორემ მაშინათვე თავს მოგჭრითო. ამ დროს მღვდელი მოხუცებული ყოფილა, მას ძალაც აღარ ჰქონია. ქადაგებისთვის თავი დაუნებებია და ეკლესიას კი არ განშორებია. ეკლესიაში დარჩენილა და თვითონ მარტოკა ლოცულობდა თურმე და ეკლესიას ჰპატრონობდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეს მღვდელი გამხდარა ავად. ამას იქ ახალი გამაჰმადიანებული ქართველები თურმე შიშის გამო ვერ ეკარებოდნენ, ეშინოდათ, რომ მთავრობამ არაფერი დაგვწყამოსო. მღვდელი ძლიერ ავად გახდა და შეწუხდა, საქმე გაუქირდა. ამან მიმართა ყინჩაურის ხოჯას და სთხოვა თავისთან მისვლა. ხოჯა მივიდა. მღვდელმა უთხრა:

— რაკი ასე დავიღუპენით ჩვენ და აქეთ ჩვენის კაცისა აღარავინ არის და არც არავინ მეკარება მე, ამიტომ დაგავალე შენ, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგ შენ მაინც მიპატრონო, დამასაფლავე.

მღვდელი მალე გარდაიცვალა. მივიდა მასთან ხოჯა, თათრულის წესით მოამზადა და ბოლოს ასწიეს და წაასვენეს მეხელუხზედ და ხოჯამ დაასაფლავა. ამ მღვდლის და ეკლესიის ნივთები ხალხმა დაისაკუთრა და ამათ წაიღეს ყველაფერი. მალე დაქცეულ იქმნა თვით ეკლესიაც, ისე რომ დღეს ყინჩაურში მხოლოდ

ნასაყდრევი ადგილი და ქვები-ლა ს'ანს. ოსმალოს მთავრობას ეკკლესია სრულიად დაუქცევ-დაუნგრევი.

ლაპარაკობდნენ ძველად, რომ სხალტის ზარები და ბევრი რამ მიწაშია ჩაფლული, რადგანაც გამაჰმადიანების დროს ესენი საქართველოში ვერ წაუღიათ და აქაურ ჩუმ ქრისტიანებს ისინი მიწაში ჩაუმარხავთ, რომ თათრებმა არ მოიტაცონო. ძველად ხიმშიაშვილებმა იცოდნენ ეს ადგილი, სადაც მარხია ყველაფერი სხალტის ეკკლესიისაო. ზოგნი ამბობენ, ვითომც ხიმშიაშვილებმა იგინი ერთ დროს ამოიღესო.

ტბეთის ეკკლესიის ხაზინაც იქვე მის ახლო-მახლო უნდა იყოსო; ძველად ეს ადგილები ჩვენში ბევრს ბერიკაცებს და დედაკაცებს სცოდნიათ, მაგრამ იგინი არავის ეუბნებოდნენ ამას, რადგანაც, რომ შეიტყოს ვინმემ, ის ამოიღებს და წაიღებსო. ოსმალნი მოიტაცებენ და ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ ოდესმე ქრისტიანები მოვლენ და ყველა ესენი მათ დარჩებათ. ესენი თათრებისთვის რა საჭიროა? შემდეგ დროში რომ მოხუცებულთ იმედი გადაუწყდათ და ქრისტიანი ქართველები აქ არ ჩნდებოდნენ და ნამდვილი მაჰმადიანობა დამყარდა, მას შემდეგ ესენიც აღარავის რას ეუბნებოდნენ და მალავდნენ, დედ-მამას თავიანთ დვიძლი შვილების შიშიც კი ჰქონდათ. ბერიკაცები და დედაკაცები დაიხოცნენ და იმ ადგილების ცნობებიც მათ თან გაიყოლეს, სადაც კი მიწაში რამე იყო დამარხულ-დაფლული. სომხებს ხშირად უნახავთ ასეთი რამეები ჩვენში და ყველა ესენი მიუთვინებიათ. ბევრი ჩვენგანაც უყიდნიათ. ხშირად ჩვენი ქალებიც მიჰყიდნენ ხოლმე მათ ძველ ნივთებს სხვა-და-სხვა სავაჭრო რამეებზედ.

### სხალტის ცაძარა.

(სოფ. ფანხას მამასახლისის სუფიემან-აღა მურაღ-ოდლისკან  
ნაამბობი, იგივე გელაძე. 1893 წ.)

ჩვენის ქრისტიანობის დროს სუბოვრებდა ერთი მეფე, რომელსაც სახელად თამარ დედოფალი ერქვა. ამ მეფეს აქეთ ცხოვრება დიდად უყვარდა. ერთხელ ამ ხეობისაკენ მოუხდა გამოვლა და დარჩენა იმ ალაგას, სადაც დღეს სხალტის ეკლესია სდგას. აქ ყოფილა ერთი ისეთი დიდი მსხლის ხე, რომელიც თავისს ტოტებით მთელ მის მიდამოებს ჩრდილავდა და ჭვარავდა. თამარ დედოფალმა ისურვა იმ ხის ქვეშ ღამე დარჩენა, გათენება; აქ გაათიეს ღამე. თამარ დედოფალმა ის ხე სიზმარში ნახა. მეორე დღეს ბრძანა, რომ აქ ეკლესია უნდა გავაკეთოთო. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკლესიისათვის შენობის მზადება დაიწყეს, მალე იმ ცნობილ ხესაც დაუწყეს მოკრა, მაგრამ რამდენსაც მოსპრიდნენ იმ ხეს, იმდენჯერ იმას მეორე დღეს ისევ ისე შეერთებულს, მთელს ხედავდნენ. ხალხმა ვერაფერი გააწყობა და შეწუხდა ძლიერ. ბოლოს ერთმა დაარიგა ასე, დღეს რომ ხე მოსპრათ, მონაჭერის ძირს ცულები დაარქვით და ისე დასტოვეთ ამაღამ ღა ხვალ და აღარ შეერთდებაო. ხე მოსპრეს, ცულები ისე დაურქვეს; იმღამეს ისე დასტოვეს. მეორე დღეს მივიდნენ და ნახეს, რომ ხე მოსპრილია, აღარ შეერთებულია, ცულებიც ისევ ისე წინანდებურად დატოვებულნი იყვნენ.

მალე დაიწყეს ეკლესიის კეთება. ეკლესიის ერთი კარები სწორედ იქ მოაქციეს, სადაც ეს დიდი ხე მდგარა. კარებში ორ ალაგას ამისი ბოძები დააყოლეს, რაზედაც უნდა შეებათ ეკლესიის კარები, და აი სწორედ ის ხეები, რომლებიც დღეს კარებშია ჩატანებული, ეს სწორედ იმ ხისაგან არის დარჩენილი.

სხალტა კიდევ აი რისთვის დარჩმევია ამ ეკლესიას: როცა ამის შენება დაუწყიათ, ეს ამბები მთელს ამ მხრის ხალხს გაუვია, ხოლო ვინც დაშორებით იყვნენ და ვერ ხელავდნენ ეკლესიის შენობას, ისინი ისეთ პირს ჰკითხავდნენ ხოლმე, რომელთაც ეკლესიის შენობა ენახათ:

— დიდს ეკლესიას სად აკეთებენო? ამაზედ მნახველნი მიუგებდნენ:

— მსხალთან, დიდი მსხლის ხე რომ სდგასო. ეს ხე ყველას სცოდნია მაშინ და შემდეგ დროებში სიტყვა „მსხალთან“ სხალტად გადაკეთდაო.

ყველაზე ადრე ახალ გამაჰმადიანებულ ქართველებში შარბათის სმა სხალტის, მირატის და ტბეთის ხეობაში შემოსულა, რადგანაც აქაური ხალხი უფრო მუშა ხალხი ყოფილა. იმ დროს ყველას ჰქონდა თავისი ვენახი და მარანიო. ახალ გამაჰმადიანებულთ ხშირად როცა რამე ღვინი ექნებოდათ ხოლმე, ესენი თავიანთ ქრისტიან ნათესავებს დაპატიჟებდნენ ხოლმე და ამათ ღვინის მაგიერ შარბათს მიართმევდნენო; რადგანაც გამაჰმადიანებულთ აღკრძალული ჰქონდათ ღვინის კეთება და სმაო, მათ უკრძალავდნენ თვით ვაზის მოშენებასაც-კიო.

### III

(ხამბობი ღერვით ბევრ ბეყანაძისჯან).

სოფ. წაბლანის და ფაჩხას გვერდით, ერთ მთის ძირობას, სადაც ხოდაბუნის ადგილებია, ძველად ყოფილა ეკკლესია. ეს ეკკლესია მაჰმადიანობის მიღების შემდეგ დაუქცევიათ და ეკკლესიის ქვები აქეთ-იქით მიუყრ-მოუყრიათ, ზოგი ხალხს წაუღია. ერთი ქვა ამ ხეობის წყლის ნაპირას ჩაგორებულა. დიდი ქვა ყოფილა და ზედაცქრისტე ჯვარცმით დახატული. ამ ქვასთან დედაკაცები მივიდოდნენ ხოლმე, სარეცხს მიიტანდნენ, ჯვარზედ და მაცხოვარზედ შესდგებოდნენ ფეხით და წყალში სარეცხს რეცხავდნენ და ავლებდნენ. ერთ დღეს ერთმა დედაკაცმა მიიტანა სარეცხი, შედგა ქვაზედ და დაიწყო რეცხა. ამ დროს ფაჩხის კლდის ერთ დიდ ლოდს დაუყვირნია იმ ქალისათვის:

—ადექი, გაათავე, წადი, თორემ მოვდივარო. ქალმა ყურადღება არ მიაქცა. კლდემ კიდევ მისცა პასუხი:

—საქვი რამე, მიღიხარ თუ არა, თორემ საცაა წამოვალო! ქალმა უთხრა:

—ჯანდაბას შენი თავი, მე რას მიყვირი, წამოიქეცი და დაიქეციო. ქალმა როგორც გაათავა ყვირილი, იმ წამსვე წამოვიდა ის დიდი კლდე და დაეცა იმ ქვას, რომელზედაც ქალი იდგა და ქალი თავის სარეცხით შიგ მოაყოლა და გაქვავდა. ეს საქმეები ალბად იმიტომ მოხდა, რადგანაც ის ქვა ეკკლესიისა ყოფილა და ზედ ჯვარი და წმიდანები ყოფილან დახატულნი.

აღბად ღმერთი არ ჰყაბულობდა მას, რომ ქუქყიანის ფიხთსაცმელით და ქუქყიანი სარეცხის გასარეცხად დედაკაცები ზედ შესდგებოდნენ და სარეცხს რეცხავდნენ; მაშინ ქალები ახალი გამაჰმადიანებული იყვნენ და ესენი პირის ბადის ხურვას ჯერ მტკიცედ არ იყვნენ შეჩვეულნი; ყველაფერ საქმეებს მოურიდებლივ აკეთებდნენ. მას შემდეგ ზოგიერთ სოფლის დედაკაცებს 1850 წ. დიდი შიში ჰქონიათ ხოლმე, ესენი წყალზე სარეცხს ვერ წაიღებდნენ დასარეცხად; ყველას ახსოვდა იმ დედაკაცის ამბავი. დღეს კი ეს ამბები აღარავინ იცის. ამის გამო ანდაზად დარჩენილა ხალხში: — „რას იძახი ფაჩხის კლდესავითაო“.

### ხულოს ეკკლესიის დაქვეყნება.

(75 წლის უკან ოდღი ბოლქვასის ნაამბობი).

ხულოში დიდი მშვენიერი ეკკლესია ყოფილა, მთელი ეკკლესია თლილი ქვით ნაშენი. მე არ მინახავს და მამაჩემი-კი იტყოდა ხოლმე, რომ ხულოს ეკკლესია ტფეთისთანა იყო, სხალტას სჯობდაო. ამ ეკკლესიის მღვდლებად ჩვენი გვარის კაცები იყვნენო, ბოლქვაძეები. ქართველებს რომ გაათათრება დაუწყეს, მაშინ ჩვენი ძველებიც გაათათრეს; გაათათრებულს მღვდელს ბოლქვაძეს ყადობა მისცეს და ამიტომ გვეწოდა ჩვენ ყადი ოდღი. ჩვენ თუმცა თათრებად გადავკეთდით, მაგრამ ხულოს ეკკლესიას კი პატრივისცემას და პატრონობას არ ვაკლებდით, სუფთად ვინახავდით. ახმედ-ფა-

შა ხიმშიაშვილი რომ გადალუნდა, მაშინ ამან დაიწყო სხალტას ეკკლესიის დაქცევის ფიქრები. მიზეზი არავინ არ იცოდა. ერთს დღეს ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილმა დაიბარა ჩვენი პაპა და გამოუცხადა ასე:

— ხულოს ეკკლესია უნდა დავაქციოთ და გიცხადებ, ხალხი მოაგროვოთ დასაქცევად.

— როგორ შეიძლება, ფაშავ, მისი დაქცევა. ის ჩვენის ძველების სალოცავი იყო, სალოცავი მუსლიმანის თუ ქრისტიანის, ორივე ერთია და როგორ იქნება მისი დაქცევა?

— უეჭველად უნდა დაიქცეს, სთქვა ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილმა.

— ჯამედ გადავაკეთოთ, ცოდვაა მისი დაქცევა: მიუგო ყადი ოღლი ბოლქვაძემ.

— არ შეიძლება. ეგ მაგარი ქვის ეკკლესია არის, დღეს თუ ხვალ აქ ქართველნი მოვლენ, იგინი ამ ეკკლესიაში შევლენ, აქედგან დაგვიწყებენ ბრძოლას და მოგვერევიან, ჩვენ მაშინ მათთან ვერაფერს გავაწყობთ. საქმე წაგვიხდება. ქვის ჯამე ჩვენთვის საჭირო არ არის, მისს ალაგას ხის ჯამე ავაგოთო, სთქვა ახმედ-ფაშამ.

— ფაშა! ხის ჯამე დალპება, ყოველთვის შიში ექნება და ქვის ჯამეს-კი არაფერი წაუხდება. ნუ ვიქთ მას, ნუ დავაქცევთ.

— არ შეიძლება, უნდა დავაქციოთ, მისი შიში გვაქვს.

რამდენსამე ხნის შემდეგ ახმედ-ფაშას ბრძანებას შესრულება დაუწყეს და ეკკლესია დააქციეს. ისე დააქციეს, რომ საძირკვლისა მხოლოდ ერთი არშინი კედელი-ღა დასტოვეს. მაშინ მთელი ხულო სავსე ყოფილა ეკკლესიის ქვებით; ქვების უმეტესი ნაწილი

ახმედ-ფაშას გაუზიდვინებია და იქვე ხულოში თავის-  
თვის აბანო და სარაია გაუკეთებინებია. ზოგი ქვეები  
ახმარეს ხიმშიაშვილების სასაფლაოს გარსშემოსავლე-  
ბელს გალაგანს, ზოგი ქვეებით იქვე ახლოს წყარო გა-  
აკეთეს, (ეს წყარო დღევანდლამდის არის დაშთენილი  
ჯამეს გვერდით) და ზოგი ქვეები სოფლელებმა გაზიდეს სა-  
ხლების საკეთებლად. ეკლესიის კედლებზედ დადგეს  
ხის ჯამე. გავიდა რამდენიმე ხანი და ხის ჯამე დალბა.  
დამპალი დააქციეს და მის ალაგას ახალი დადგეს. რამ-  
დენიმე ხნის შემდეგ ახმედ-ფაშას სახლ-კარი და სარა-  
იაც დაიქცა და ყველაფერი გაფუჭდა. ამის შემდეგ არ  
გავიდა დიდი ხანი, რომ ხულოში მტერიც მოვიდა და  
ყველაფერი დაიმორჩილა. მტრის მოსვლას ვერც არა  
ეკლესიის დაქცევამ უშველა და ვერც არა სხვა სიმაგ-  
რეებმა. ძველები იტყოდნენ ხოლმე, რომ ახმედ ფაშამ  
ეკლესიის დაქცევით ღმერთი გაარისხა, კარგი საქმე  
არ ჰქმნა! ხალხი იტყოდა ხოლმეო, რომ მისი სახლ-  
კარიც ისევე დაიქცევაო. და ეს თქმულობაც მართლა  
აღსრულდა. დღეს მისი სახლ-კარი ხულოში ნანგრევად  
არის ქცეული და ქვეებს სოფლელები მიეზიდებიან აქა-  
იქ სახლების საკეთებლადაო.

მე ვნახე ხულოს ჯამეს საძირკველი, ხიმშიაშვი-  
ლების სასაფლაოს კედლები, ჯამეს გვერდით გაკეთე-  
ბული წყარო, ხულოში ყოფილი და აწ დაქცეული  
ხიმშიაშვილების სახლები; იქ ძლიერ ბევრი ჩუქურთ-  
მიანი ქვეები აღმოჩნდა, რომელთაც ცხადად ეტყობა,  
რომ ისინი წინად ეკლესიად უნდა ყოფილიყვნენ.



II.

(ჩაქვისთავუელის დრმად მოხუც ყადის ჩიჯავასის ნაამბობი).

აქარაში გათათრების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგიერთი მოხუცებული კაცები და ნამეტურ დედა-კაცები ქრისტიანობაზედ მტკიცედ იდგნენ და თან ოსმალოს მოლა-ხოჯებსაც ეკამათებოდნენ და ედავე-ბოდნენ; ამ მოხუცებულებს ყოველთვის და ყველგან სულ ქრისტიანობაზედ ჰქონდათ ლაპარაკი. ახალგაზ-დებს ყოველთვის იმას ელაპარაკებოდნენ, რომ ეგების ოდესმე თქვენის ძველების სჯულზედ გადახვიდეთ თქვენაო. ასეთ მოხუცებულთ რიცხვი აქარაში დიდი ყოფილა; ამათ თურმე მოლა-ხოჯებს გაუჭირეს საქმე. ბოლოს მთავრობისაგან ასეთი ბრძანება გაშოსულა, რომ ყველა ეგენი დაიჭირეთ და გაათათრეთო, თუ არ გა-თათრდნენ მერე დახოცეთო. მალე აქარის მოხუცე-ბულნი შეუკრებიან და აქა-იქ ციხეებში დაუმწყვდე-ვიანთ, საპატიმროებში ხოჯები მიუგზავნიან და ხოჯებს ლოცვები დაუწყვიანთ. ზოგიერთი მოხუცებულები მიუ-ზიდნიან მაჰმადიანობაზედ და ზოგნი-კი ვერა. ვინც ვერ მოაქციეს, ესენი აქარ წყლის შესართავთან მოუ-რეკიანთ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა და რომელ ხიდის ნიშნებიც დღესაც სდგას. ამ ხიდზედ დაუდვიანთ თავ-საკვეთი, მოხუც ქრისტიანებს თავს სჭრი-დნენ, მერე ენის წვერს ფაშას უგზავნიდნენ და თავსა და ტანს კოროხში ჰყრიდნენო. ეს საქმეები მომხდარა ამ ასის წლის წინად, ე. ი. 1790 წლებში.

## მაჭახელის გამაჰმადიანება.

(ნაწილობა ს. ბასარკეთში და ძნელაეთში მონხუცეულ მაჭმა-  
დიანის ძნელაძისა და სხვა მონხუცეულ მაჭმადიანებისაგან).

### I

მაჭახელში მთლად გაათათრდა ხალხი, მაგრამ სოფ. ეფფრატის ხალხმა-კი დიდხანს შეინახა ქრისტიანობით თავი. ამათ ოსმალებიც ხმას არ სცემდნენ, რადგანაც ძველთაგან ბრძანება ისე იყო, რომ ეფფრატის გაათათრება არ შეიძლებოა, რადგანაც იქ თამარ მეფის სახელი და დიდი ეკლესია იყო. ამ ეკლესიაში მარხია თამარ მეფე და იქ რომ 'ხალხს დაუწყონ გაათათრება, ეს ძალიან ცუდი იქნება და ღმერთი არ იყაბულებსო. გარდა ამისა მის ზემოდ კარჩხალის მთა არის, ის ეშმაკებით სავსეა, ბევრი ლომები და არწივები არიან დაბმული და გამაჰმადიანების დროს სულ აწყდებიან ესენი, ჩამოვლენ ძირსა და ხალხს დასჭამენ, აღარც ერთს ოსმალს ცოცხალს არ გაუშვებენ და „გვანცალელაც“ ვინ იცის, რაებს იზავსო. ჩვენები ეფფრატის გამაჰმადიანების ხელს არ ჰკიდებდნენ; რამდენისამე ხნის შემდეგ ოსმალოს კაცები მოვიდნენ აქ. ესენი მიუსიეს ეფფრატს. ამათ დაიჭირეს იგი და ამათის ძალ-დატანებითაც გამაჰმადიანეს ხალხი და მერე აქედგან კარჩხალის მთაზედ ავიდნენ და იქ ნახეს თამარ მეფის სასახლე, საიდგანაც ის მთელს მაჭახელს დაჰყურებდა. ნახეს მისი ხაზინა, ტბა, სასახლეები და ღუქან-ბაზარი და ეკლესიები. ყველა ესენი დააქციეს, დაანგრეს და ამის შემდეგ უკან დაბრუნდნენ, გურჯებმა ამაზედ ბევრი იწუხეს და იტირეს, მაგრამ ვერაფერი ჰქმნეს. მაჭახელი მთლად გაათათრდა და ეფფრატშიაც ყველაფერი დააქ-

ციეს. ევფრატელები გამაჰმადიანების შემდეგ ჩუმად კიდევ დიდხანს ქრისტიანობდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყეს. როცა ბათუმის ფაშამ შეიტყო ეს ამბავი, ესენი დაიბარა და ძლიერ შეაშინა: თუ დღეიდგანვე ნამდვილი მუსლიმანები არ გამხდარხართ, მაშინ მე თავებს დაგქრით სუყველას თქვენ და გავაქრობთ მიწაზეო. ესენი მაინც დიდხანს არ ივიწყებდნენ და არ სტოვებდნენ თავიანთს ძველს წეს-ჩვეულებას.

## II.

მაქახელის შესახებ ბევრი ამბობენ, რომ გამაჰმადიანების გამო ყველაზედ ბევრი სისხლი მაქახელებს დაუღვრიათ. ამდენი სისხლი არც აქარელთ, არც ზეგნელთ, არც ლივანელთ და არც სხვათა არ დაუღვრიათ, რამდენიც მაქახელებს. რაც აქედგან ხალხი გაიქცა გურჯისტანისაკენ, იმდენი ხალხი არც ერთის აქაურის მხრიდგან არ გაქცეულა იქითკენაო. მაქახელი ძალით არის გათათრებული და ძალითვე გაქართველდებოა. მაგრამ ჩვენში თქმულობა არის, რომ ეს ისევ უნდა გაქარფველდეს, უამისობა არ იქნებაო. ამბობენ და ჩვენი ძველებიც იტყოდნენ ხოლმე, რომ ერთს ღამეს, ხერთვისის ეკლესიასთან ოსმალები დაესხნენ თავს ჩვენს ძველებსა და სულ დახოცეს, რადგანაც მათი ბაირამი იყო. ღამე ეკლესიაში შეგროვილიყვნენ, სანთლები დაენტოთ და აშკარად ლოცულობდნენ ოსმალების გასაჯავრებლად და ოსმალებმაც ამიტომ დახოცეს ყველა იქ მყოფნიო. ამაზეა ნათქვამი, რომ ჩვენმა ძველებმა წითელის კვერცხისთვის ასი კაცი მოაკვლევინეს ოსმალებსაო, ვაი რა ჩერჩეტები ყოფილანო!..

ლაზისტანის ოსმალნი ლივანაში შემოვიდნენ და აქედგან მაქახელში. მაქახელი მათ მაგრად და გულა-

დად დახვდა; მაქახლის ხალხი მეტად მაგარი და გაუ-  
ტყუარ ხალხი იყო: ესენი ადვილად არ ჩაბარდნენ  
მაჰმადიანებს, ბევრი იჩხუბეს, მაგრამ ბოლოს მაინც  
ვერაფერი გააწყეს და ჩაჰბარდნენ ოსმალებს. ოსმალთ  
მაქახლელებს მალე გამაჰმადიანებაც გამოუტყუადეს; ეს  
ამბავი მაქახლის ხალხს დიდად ეჯავრა. ამის გამო და-  
იწყეს ჭოჭმანობა და ბოლოს ოსმალოს წინააღმდეგ  
ჩხუბი ასტყეს, გამაჰმადიანება არ გვინდაო. ოსმალთ  
ამაზედ ძლიერ ბევრი მაქახლელები დახოცეს. მაქახ-  
ლელებიც ბევრს ხოცავდნენ ოსმალთ, მაგრამ საქმე  
მაინც მაქახლეებს გაუჭირდათ, რადგანაც ოსმალნი  
თოფ-იარაღით იყვნენ და მაქახლეებს-კი არაფერი  
ჰქონდათ. ბევრი ხოცვის შემდეგ ოსმალთ სისხლის ღვრას  
თავი გაანებეს. ამათ სხვა ნაირის ოსტატობით და-  
უწყეს გამაჰმადიანება. უინც არ მაჰმადიანდებოდა, იმას  
დიდს ხარჯს ადებდნენ, სამართალში უკან აყენებდნენ,  
მოწმად არსად იღებდნენ, უბრალო დანაშაულობის  
გამო სჯიდნენ, სულ უბრალო საქმის გამო მამულებს  
ართმევდნენ და იმ პირებს აძლევდნენ და ჰმატებდნენ,  
ვინც ახლად იყვნენ გამაჰმადიანებულნი; ახალ გამაჰმა-  
დიანებულთ აღიობასაც აძლევდნენ, ზოგს ბეგიობასაც.  
ასეთი საქმეებით გაავრცელეს აქეთ მაჰმადიანობა და  
იმიტომ იტყვიან ამაზედ, რომ მაქახელი ნებით არის  
გათათრებული და ნებთავე გაქართველდებაო.

მაქახელში ძველად საკმარისად გამოჩენილი აზნა-  
ურის გვარი იყო ძნელაძეების გვარი. ესენი სცხოვ-  
რებდნენ სოფელ ძნელიეთსა და ბაზარეთში, ამათ ება-  
რათ რამდენიმე სოფლის ხალხი და გამგეობა. ძნელა-  
ძეებს გარდა მაქახელში სხვა აზნაურებიც იყვნენ, მა-  
გალითად ქავთარაძეები, რომელნიც ადვილად გამაჰმა-

დიანდენ და ამიტომ ოსმალთ ამათ ბეგიაობა მისცეს. ისევე აზნაური ზაქარიადები, რომელნიც ბეგარად იქმნენ წოდებულნი, და მრავალიც სხვა ვვარის ხალხნი გამაჰმადიანდენ ადვილად. მაჰახელში მაჰმადიანობა მოიფინა და სოფ. ძნელიათამდე და ბაზარეთამდე მი-  
აღწია. აქ დაბარებულ იქმნა ჩვენის ძველების ერთი უფროსი ძნელაძე, დიდის მამულ-დედულის პატრონი, ამას გამოუცხადეს გამაჰმადიანება. იმ პირობითვე და იმ საჩუქრებით, როგორც სხვები გამაჰმადიანდენ. ძნელაძემ უთხრა:

— მე არც გავმაჰმადიანდები და არც თქვენი სა-  
ჩუქარი მინდა, ქრისტიანობას მაჰმადიანობაზედ არ გავ-  
ცვლი. ეს არას დროს არ იქნება. მე ამას ნულარ მეტ-  
ყვით, თორემ ჩხუბი მოხდებაო. მაჰმადიანობა ამას ცუდი  
რამე ეგონა. ოსმალთ ძლიერ ეწყინათ და უთხრეს:

— კარგი, მაგრამ ბევრს შეგანანებთო. ძნელაძემ  
მიუგოა:

— ნება თქვენი გახლდესთო! რამდენსამე ხნის შემ-  
დეგ ოსმალთ აუტყხეს დავა, დაუწყეს ცილის-წამება.  
ჰპრალდებოდა ტყუილად კაცის-კვლა, გაქუცვა, ახალ  
გამაჰმადიანებულების შეწუხება და სხვანი. თავს მართ-  
ლულობდა, მაგრამ უბრალოდ. ოსმალნი ძალიან სწავ-  
რავდნენ. ასეთი ბრძოლის გამო მას ხელიდგან წაუვიდა  
თავისის მამულების უმეტესი ნაწილი. ოსმალნი ეუბნე-  
ბოდნენ:

— გამაჰმადიანდით და ყველაფერს გაპატიებთ, ყვე-  
ლაფერს გაჩუქებთ ძნელაძე ეტყოდა:

— გვარად ძნელაძე ვარ და საქმიითაც ძნელაძე უნდა  
ვიქმნე. მე აი ეს ყელი და ენა რომ მომპრათ, მაინც  
არ იქნება, არ გავმაჰმადიანდები. სხვებს თუ ნებავთ

ჩემს სოფლებს. გამაჰმადიანდნენ, მე ნურავინ მერი-  
დებოა. ამ კაცის მეგვარეებს და მოყმეებს დიდი მო-  
რიდება ჰქონდათ ამ პირისა; ამისი ჰრცხვენოდათ და  
ფერ მაჰმადიანდებოდნენ. რამდენსამე ხნის შემდეგ ესე-  
ნიც გამაჰმადიანდნენ. მალე გამაჰმადიანდნენ თვით ამ  
კაცის ძმები და შვილებიც, მაგრამ ეს არ გამაჰმადიან-  
და. ამის გამო იგი შეებრძოლა ოსმალთ და ამ ბრძო-  
ლის დროს მთლად დაჰკარგა თავისი მამულები და  
დარჩა ცარიელი. გაღარიბდა, გაღატაკდა, მაგრამ თათ-  
რობა მაინც არ მიიღო. ასეთს სიღატაკეში მყოფი  
ავად გახდა, სიკვდილზედ მივიდა. ამ დროს მაჰახელი  
მთლად გამაჰმადიანებული იყო, მღვდლები აღარსად  
იყვნენ, იქიდან გარეკეს და ეკლესიებიც დააქციეს.  
ზოგი ჯამედ გადააკეთეს. ეფფრატის ეკლესიაც მაშინ  
დაუქცევიათ. ავად-მყოფ ძნელადეს საქმე გაუჭირდა.

ზ. ჯ.

(შემდეგი იქნება)



## მგელ-კაცა.

(ხალხური არაკი, გაგონილი თელაველ ნ. ხიზანაშვილისაგან და ჩაწერილი ქართველი ოსებში-ს მიერ).

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მგელ-კაცა. მგელ-კაცა ქვეყანაზედ დადიოდა, ვისაც შეხვდებოდა, სულ სჭამდა და ანადგურებდა. სხვათა შორის მგელ-კაცამ დაიბრიყვა ერთი სამეფო ქალაქი და სულ გადაქამა მცხოვრებნი დიდიან პატარიანათ და საქონლიანათ, მხოლოდ გადაარჩინა ორნი და-ძმანი. ეს და-ძმანი დააყენა ამ გაცრეებულ ქალაქში და უთხრა, არსად წახვიდეთო, თავად კი წავიდა შორ ქვეყანაში სანადიროდ. სცხოვრობდნენ და-ძმანი, თუმცა ყველა მრავალი მათ ხელთ იყო, მაგრამ ვერაფერი გულს ვერ უმხიარულებდათ, რადგანაც ვერა ცხოველს ვერ ჰხედავდნენ. ერთ დღეს ენახათ, ერთი მგზავრი კაცი შემჯდარა მშვენიერ ცხენზედ, და შევიდა ამ ქალაქში; მიიხედ-მოიხედა და ნახა, რომ მშვენიერი ქალაქია, დუქნები ღიაა, ძვირფასი ნივთები, ოქრო-ვერცხლი-მარგალიტი და სხვა უპატრონოდ ჰყრია. მგზავრს ძრიელ დაენანა ეს მშვენიერი ქალაქი, და ერთი პირი კარგად იტირა და შემდეგ გაუდგა გზას. პატარა გაიარა ქალაქში და შეამჩნია, რომ ერთი სახლიდან ბოლი ამოდის; აქსცხოვრობდნენ ის და-ძმანი. მივიდა ეს კაცი და ჰკითხა და-ძმას, თუ ეს რა უბედურება არის ამ ქალაქის თავსო? და-ძმამ, რასაკვირველია,

უამბეს: ერთმა მგელ-კაცამ გადაქამე სულ მცხოვრებნი და მარტო ჩვენ-ღა გვინახავს, არ ვიცით რალა დღისთვისაო. ოჰ, რაკი ეგრეა, შვილებო, წამოდით ჩემთან გადავარჩინოთ განსაცდელსაო. არაო, — უპასუხეს და-ძმამ. ის ისეთი მგელ-კაცა არის, რომ მოგვეწვევა და შეგვეკამსო. რას ამბობთ, შვილებო? უთხრა მგზავრმა. ცხენი მყავს, დილის ნიაფიო, ის როგორ მოგვეწვევაო; რა იქნებოდა, დაჰყაბულდენ, დაჰყენენ ნებას და-ძმანი, შემოუსხდენ მგზავრს და გაუდგენ გზას. მგელ-კაცა ამ დროს, თუმცა შორს იყო, მაგრამ გაიგო ეს ამბავი, გამოუდგა უკან; დაეწია, ჩამოსხა და-ძმანი, მგზავრიც შესჰამა და მისი ცხენიც, და-ძმათ კი უთხრა: «ეს ერთი კი მიპატივებია და, თუ მეორეზედაც შესცდით, აღარ გაპატივებთო». მოიყვანა ისევ იმავე ქალაქში, დააყენა და თვითონ კი წავიდა სანადიროდ. გავიდა კიდევ დრო, ენახოთ, რომ ერთი ცხენოსანი მგზავრი კიდევ წაადგა ამ გაცივებულ ქალაქს; ცხენი ჰყავს პირველზედ უკეთესი, მიიარ-მოიარა ქალაქში, ამანაც იტირა კარგა ხანს, და მერე წაადგა ერთს სახლს, საიდანაც ბოლი ამოდოდა, მივიდა მგზავრი და დაუძახა: ოჯახის შვილებოო. გამოხედეს და-ძმამ. მგზავრმა პირველივით ჰკითხა და-ძმას. მათაც, რასაკვირველია, უამბეს მას ყველაფერი. ოჰ, რაკი ეგრეა, წამოდით, შვილებო, გადავარჩინოთო. არა არ იქნება, დაგვეწვევა და დაგვეკამს მგელ-კაცაო. მაინც მგზავრმა შეაცდინა და-ძმანი კიდევ, შემოისხა იგინი ცხენზედ და გაუდგა გზას. გაიგო კიდევ მგელ-კაცამ, გამოუდგა და დაეწია, ჩამოსხა და-ძმანი, მგზავრიც შესჰამა და მისი ცხენიც. წამოიყვანა და-ძმანი ისევ ქალაქში და უთხრა: ის ერთი ხომ თქვენ გაპატივეთ, ეს მეორეც დვთისთვის მიპატივებია და თუ მესამე-



დაც შესცდით, აღარაგზით აღარ გაპატივებთო. წავიდა ისევ ჩვეულებრივ სანადიროდ მგელ-კაცა. გავიდა დრო-ჟამი; ვნახოთ, ერთი მგზავრი შემჯღარა კამბეჩხედ და მოადგა ამ ქალაქს. წინანდელი მგზავრებივით ამანაც რომ დაინახა ქალაქი უპატრონოდ, ჯერ ერთი პირი იტირა, შემდეგ გაიარა ქალაქში და დაინახა, რომ, ერთს სახლში ბოლი ამოდოდა. მივიდა ეზოს კარებზედ და დაუძახა, გამოვიდნენ და-ძმანი. მგზავრმა ჰკითხა, რა არის ქალაქის თავსაო? რასაკვირველია უნბეს, ასე არის საქმე და ჩვენ კი გვინახამს მგელ-კაცა, არ ვიცით რა შავი დღისთვისაო! ოჰ, რაკი ეგრეა, შეილებო; არიქა, წამოდით, გადაგარჩინოთო, ჰეი, რას ამბობ, მამობილო, უთხრეს და-ძმამ, დილის ნიავ ცხენზედ ისხდენ და მათ ვერ გადაგვარჩინეს და შენ შენი კამეჩით როგორ გადაგვარჩინო? რაღა გავეგრძელო, არ მოეშვა ეს მგზავრი, შემოისხა და-ძმანი კამეჩზედ და გაუდგა გზას. მგზავრი რამდენს სახრეს მოჰკრავს კამეჩს. მიდის ეს კამეჩი, რომ თვალს ველარავინ ასწრობს. გაიგო მგელ-კაცამ და გამოუდგა უკან. შიახწია თუ არა ზღვის ნაპირს მგზავრმა კამეჩით და ისე მგელ-კაცაც მოეწიათ, ის იყო უნდა ეტაცნა პირი უკან ბარკალში და შეცურდა კიდევ კამეჩი ზღვაში, რაღას, იზამდა, დარჩა მგელ-კაცა და კამეჩი გაცურდა მეორე ნაპირს. გადმოხტნენ კამეჩიდგან. მგზავრმა უთხრა და-ძმათ, ეს კამეჩი თქვენთვის მიჩუქნია, დაჰკალით, შექამეთ ხორცი, გაიკეთეთ ქოხი, ტყავი ზედ გადააფარეთ და იცხოვრეთო, მერე აიღეთ კამეჩის სამი გვერდის ძვალი და, რაც ინატროთ იმ სამი ძვლით, ავისრულდებათო. მართლაც და-ძმამ დაკლეს კამეჩი, ქოხიც გაიკეთეს. რომ გამოეღიათ კამეჩის ხორცი, დალონდა ძმა,

რა ვჰქნათ, რით ვიცხოვროთ, ნეტა ერთი მშვილდ-ისარი მაინც მქონდესო? ამ ფიქრში მოაგონდა, აილო კამეჩის საში გვერდი: მოდი ერთი ვინატრებ, იქნება აღმისრულდესო, მართლაც ყმაწვილმა ინატრა, ღმერთო, ერთი კარგი მშვილდ-ისარი მომეცესო, თქმა იყო, და მშვილდ-ისარი გადაეკიდა მხარზედ. ახლა მეორე ძელით ინატრა: ღმერთო, ორი კარგი ძალლი მომეციო. ვნახოთ, ორი ძალლიც ამოუღდა გვერდში; ახლა მესამე ძელით ინატრა; ღმერთო, ერთი ისეთი ხელის ბეჭედი მომეცი, რომ, საცა წავიდე, ყველგან გზა ხსნილი მქონდესო. მართლაც ხელზედ გაუკეთდა ერთი საკვირველი ბეჭედი, საცა მიდიოდა, ყველგან გზა ეხსნებოდა. აგრეთვე დადიოდა სანადიროდ თავისი ძაღლებით, ხოცავდა ნადირს, მოჰქონდა და იკვებებოდენ და-ძჳანი. ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ძჳა წავიდა სანადიროდ და ბეჭედი შინ დაჩა, მისი და ადგა და მივიდა ზღვის პირას სარეცხის დასარეცხად, გაჰხედა, რომ მგელ-კაცა ზღვის გაღმა ნაპირზედ გადი-გამოდის, ეს ქალი რომ დაინახა, გამოსძახა. რა ჰქენით, მე კი არ გიღალატეთ და თქვენ რად მიღალატეთო? რაში გიღალატეთ, გასძახა ქალმა; იმაში რომაო, დაუძახა მგელ-კაცამ, შენ მინდოდი ცოლად შემერთე და შენი ძმისთვის ჩემი და უნდა მამეცა ცოლადაო. ქალმა ეს სიტყვა გაიგონა თუ არა, ჩაუვარდა სიყვარული მგელ-კაცასი, გამობრუნდა ქობში, წაიღო თავისი ძმის ბეჭედი, მოაბა წვრილ თოკზედ, გადაუგდო გაღმა მგელ-კაცას, გაუხსნა გზა და გამოიყვანა თავისთან. ახლა უთხრა ქალმა მგელ-კაცს, თუ მოჰკლამ ჩემს ძმას, ხომ შეგირთავ, თუ არა და არაო. მგელ-კაცამ უთხრა: მე კი ვერ მოვჰკლავ; ღმერთთან აღთქმა მაქვს მიცემულიო, მოდი ასე ვქნათ: შენ მოიავადმყოფე თავი, რამ მოვი-

დეს შენი ძმა და გკითხოს, რა გარგებსო, უთხარი, რომ  
რა ვიცი რა მარგებს, ამაღამ სიზმარსა ვნახავ და ხვალ  
გეტყვი, რაც მარგებსთქო. მერე მეორე დღეს უთხარი:  
ამა და ამ მთაში ერთი ღორია, თუ მომიტან მისი შვი-  
ლის გულ-ღვიძლს, მოვრჩები, თუ არა და არათქო. ის  
იქ წავა მოსატანად და იმ ღორს ველარ გადაურჩებო.  
მართლაც. მოვიდა სალამოზედ ძმა, ვითომდა ავად იყო;  
ისე დაიწყო კვნესა დამ და ღოგინში ჩაწოლილი დახვდა,  
საბრალო ძმას გულს შემოეყარა — რა იყო დაო რა მო-  
ვივიდა? რა გარგებსო? რა ვიცი, რა მარგებსო, ამაღამ სიზ-  
მარსა ვნახავ და დილაზედ გეტყვი, რაც მარგებსო; საბ-  
რალო ძმამ იმ ღამეს ტირილით გაათენა დის სიმწუხარით.  
მეორე დღეს კვნესით წამოიწია დამ და უთხრა: ამა და  
ამ მთაში რომ ღორი არის, თუ იმისი შვილის გულს  
მომიტან, მოვრჩები, თუ არა, არაო, «შენი ჭირი-  
მე, დაო, ოღონდ შენ კარგად იყავი, და, მამ,  
შენი ძმა მოგიკვდეს, თუ ვერ მოგიტანოო», — ადგა ეს  
ყმაწვილი, ახსენა ღმერთი, გადიგდო მშვილდ-ისარი, გაი-  
ყოლა ძაღლები და გასწია. იარა, იარა, მივიდა დანიშ-  
ნულ მთაში, დაებჯინა მშვილდ-ისარზედ და გაჩერდა;  
გაიგო ღორმა თუ არა, წამოვიდა ისეთი ამბით, რომ  
თითქო ის მთა თან მოჰქონდა, ისეთი შხუილით მოდიო-  
და. შეხედა, რომ ეს ყმაწვილი გაშეშებული დგას. ღორი  
შედგა და დაიწყო, ეს ამდენი ხანია მე პირდაპირ ვერა-  
ვინ დამდგომია და, ეს რა სულია, რომ ესე თავ-გადადე-  
ბული დგასო? უთუოდ ამ საწყალს რამე გაჭირება ადგას  
და მოდი ვკითხავ და მერე ისე შევსჯამო; მართლა დაუ-  
ძახა ღორმა, რა ხარ, რა სულიერი ხარ, რომ ეგრე პირ-  
დაპირ დამიდექიო? ყმაწვილმა მოიხადა ქუდი და დაიძახა:  
«შენი ჭირიმე ერთად ერთი და მყავს და მიკვდება, შენი

შვილის გულ-ღვიძლი მასწავლეს წამლად, გინდა მომეცი და გინდა აქვე შემქამეოა. კარგი შვილოო, მაგაზედ რამ შეგაწუხა, სამი შვილი მყავს, ერთი შენ წაიყვანე, და ორი მეო. რასაკვირველია, მისცა ღოღრმა ერთი გოჭი და უთხრა, თუ სადმე გაგიჭირდეს, შემატყობინეო. წამოიყვანა ყმაწვილმა გოჭი, მოიყვანა, გასჭრა, შეაქამა დას და, აბა რა მორჩენა უნდოდა, კარგად მყოფი წამოდგა ფეხზედ. მეორე დღეს ისევ სანადიროდ წავიდა ყმაწვილი. მგელ-კაცსთან კიდევ მივიდა მისი და და უთხრა, მოუხერხე რამე ჩემს ძმას, რომ მოკლაო, თუ არა არ ვიცი რას გიზამო—უთხრა მგელ-კაცამ, რა ვქნა, მე ვერ მოვჭკლავ და, კიდევ მოიგონე ავადმყოფობა, და ერთ მთაში ერთი ირემია, იქ გაგზავნე, იმას კი უთუოდ ვეღარ დაეხწევოა. მოვიდა სალამოზედ ნადიროთ და ტვირთული ძმამ შეხედა, რომ მისი და ღოღინში ჩაწოლილა და ჰკენესის, რა იყო დაო, რა დაგემართა, რა გარგებსო, უთხრა ძმამ. რა ვიცი, რა მარგებსო, მიუგო დამ, ამაღამ სიზმარს ვნახავ და ხვალ გეტყვი, რაც მარგებსო. იმ ღამეს საბრალო ყმაწვილმა ტირილით და გმინვით გაათენა, თვალზედ ცრემლი არ შესრობია. მეორე დღეს ადგა და უთხრა დამ: ამა და ამ მთაში ერთი ირემია, თუ მისი შვილის გულ-ღვიძლს მომიტან, მოღრჩები, თუ არა და არაო. ძმაჲ უთხრა, ოღონდ შენ კარგად მომიჩი, დაო, დამაშ შენი ძმა მოგიკვდეს, თუ ვერ მოგიტანოო. დაიწერა პირჯვარი ყმაწვილმა, გადიგდო მ'შვილდ-ისარი, წაიყვანა თავისი ორი ძალლი და გაუდგა გზას. იარა. იარა, ცოტა, იარა თუ ბევრი, მიადგა ირემის ბინას, დაიბჯინა იქ მ'შვილდ-ისარი და დადგა. გაიგო ირემმა თუ არა, წამოვიდა ყმაწვილისკენ ერთი ვაი-ვაგლახით, იმის რქებს სულ ლაწა-ლუწით გაჰქონდა სახერხი ხეები. რომ მოატა-

ნა ყმაწვილს, შესდგა და იფიქრა, ამას უთუოდ უჭირს რამე, თორემ ესე მაგრად, გაბედვით კაცი არვინ დამდგარა ჩემ წინ და ეს როგორ დამიდგაო? მერე დაუძახა ირემმა: კაცო, რა ხარ, რა კაცი ხარ, აგრე თავი რამ გაგამეტე-ბინაო? ყმაწვილმა მოიხადა კიდევ ქუდი და შესტირა: შენი ქირიმე, ერთად ერთი და მყავს, მიკვდება და შენი შვილის გულ-ღვიძლი მასწავლეს წამლად, გინდა მომეცი, გინდა აქვე მომკალიო. კარგი, შვილოო, უთხრა ირემმა, ოთხი შვილი მყავს, ერთი შენ და სამი მეო და თუ კიდევ გაგიჭირდეს რამე, მაცნობეო. ყმაწვილ-მა წამოიყვანა ირმის ნუკრი, მოიყვანა, გასჭრა, აქამნ გულ-ღვიძლი დას, და ვითომდა ავად იყო, მორჩა, წამოდ-გა ფეხზედ. მეორე დღეს კიდევ არხეინად სანადიროდ წავიდა საბრალო. ყმაწვილი. ქალი მაშინვე გაექანა მგელ-კაცასთან, მივიდა და მუქარით უთხრა: ერთი სიტყ-ვით, თუ, გამაგზავნიებ ძმას ისეთ ალაგას, რომ მოკლან, ხომ კარგი, თუ არა და, ვეტყვი ჩემ ძმას შენს აქ ყოფნას და მოვაკვლევინებ შენს თავსაო. მგელ-კაცა დაღონდა და უთხრა ქალს, კარგი, მაშ რაკი ეგრეა, ამა და ამ მთაში ფაშკუნჯი ბუდობს, მოიგონე კიდევ ავადმყოფო-ბა, იმის შვილის გულ-ღვიძლისთვის გაგზავნე და უთუოდ იმას მაინც ცოცხალი ვეღარ დაესწევაო. მართლა ქალი ჩაწვა კიდევ ლოგინში, მოვიდა სალამოზედ მისი ძმამ შე-ხედა, რომ მისი და ლოგინში წევს და მწუხარებით კვნესის. ყმაწვილი კიდევ შეეკითხა ტირილით: დაო, რა იყო, რა გტკივა, მითხარი, რა გარგებს? მე რა ვიცი, რა მარგებსო, უთხრა ქალმა. ამაღამ სიზმარს ვნახავ და ხვალ გეტყვი, რაც მარგებსო. ქალი კვნესით მიესვენა და თვალებს დაუწყყო ხუჭვა. საბრალო ძმამ იმ ღამესაც ტი-რილით და ვაებით გაატარა. მეორე დღეს უთხრა დამ,

ძაო, ამა და ამ მაღალ მთაში ფაშკუნჯი ბუდობს. თუ მომიტან მისი შვილის გულ-ღვიძლს, მოვრჩები, თუ არა და არაო. ოღონდ შენ კარგად იყავო, უთხრა ძმამ და, მაშ შენი ძმა მოგიკედეს, თუ ვერ მოგიტანოო. ყმაწვილმა გადიგდო მშვილდ-ისარი, გადიწერა პირჯვარი, გაიყოლა თან თავისი ერთგული ორი ძაღლი და გასწია; ყმაწვილმა იარა, იარა. და მიადგა ერთს საშინელს მაღალ მთას, შეხედა ერთს დიდს კლდეში, დაინახა, რომ ვებერთელა ხეები არის აჩირჩხლილი; გუნებაში სთქვა, რომ უთუოდ ეს იქნება ფაშკუნჯის ბუდეო, და დადგა მის პირდაპირ მშვილდ-ისარზედ დაბჯენილი. შუადღის დრო იქნებოდა, რომ მოვიდა ფაშკუნჯი; და დაინახა თუ არა ყმაწვილი, დაეშვა მისკენ მსხუილით. რომ შეამჩნია ყმაწვილი არ იძროდა, სთქვა გუნებაში, ეს რა კაცია, რომ არ იძვრისო. მერე დაუძახა: რა ხარ. რა კაცი ხარ, რომ ჩემი შიშით აქ მოსულხარ; სთქვი, რა გაქირვება გაქვს, თუ არა კლანჭებით დაგვლევჯავო, ყმაწვილმა მოიხადა ქუდი და დაჩოქილმა შესტირა: «შენი ჭირიმე, ერთად ერთი და მყავს და მიკვდება, შენი შვილის გულ-ღვიძლი მასწავლეს და, გინდ მომეც და გინდ აქვე შემქამეო. კარგი შვილოო, უთხრა ფაშკუნჯმა, მაგისტვის რა გაწუხებებს, ხუთი შვილი მყავს, ერთი შენ და ოთხი მეო; მისცა შვილი ფაშკუნჯმა და უთხრა, თუ რამე გაგიქირდეს შემატყობინეო, მოიყვანა ფაშკუნჯის შვილი, გასჭრა, აქამა გულ-ღვიძლი დას. და წამოდგა, ვითომდა მარგო და მოვრჩიო. მეორე დღეს გულ დამშვიდებული კიდევ სანადიროდ წავიდა ყმაწვილი, მისი და და მგელ-კაცა კიდევ ერთად შეიყარნენ, ქალმა კიდევ დაუწყო მგელ-კაცას: გინდა თუ არა, მოკალი ჩემი ძმაო. მგელ-კაცამ უთხრა, რა ვჭქნა, მე ვერ მოვკლავ ჩემი ხელით.

ღვთისათვის ფიცი მიმიციაო; მერე წავიდა და საიდგანლაც მოიტანა. ერთი საარაყე ქვაბი და ერთი მსხვილი ჯაჭვი, და უთხრა ქალს! აი ეს ჯაჭვი, შენი ძმა რომ მოვიდეს საღამოთი, სანამ დაღლილი იყოს, გამოჰკითხე, რაში აქვს ძალ-ლონე, მოტყუებით მკლავები ერთმანეთზედ მიუკარ ამ ჯაჭვით, მერე მე დამიძახე და, რაც გვინდა, იმას უზამთო. მართლაც მოვიდა საღამოზედ დაღლილი ყმაწვილი. და მიეგება აღერსით, სკამზედ დაჯდა თუ არა, პატარა ხანს შემდეგ დამმოიტანა ჯაჭვი და უთხრა ძმას თვალთ-მაქცობით: ძმაო, გენაცვალოს და, სულ გარედ გადიხარ უდაბურ ალაგას, ჩადიხარ საკვირველ მამაცობას და მე კი არ ვიცი, რა ღონე და რა შეძლება გაქვს, აბა მოდი, ამ ჯაჭვით ხელები შეგიკრა, გასწყვიტავ თუ არა, ვნახო მეც შენი ღონეო. ახლა ძმამ უთხრა: დაო ჯან, ძრეელ დაღლილი ვარ, თავი დამანებე, ეხლა და ხვალ რასაც მეტყვი, აღვისრულებოა. არაო, არ მოეშვა და, ეხლა უნდა მაჩვენო შენი ღონეო. ძმამაც ხათრი არ გაუტეხა, ადგა გაშალა ყმაწვილმა მკლავები, ხელის გულები ერთმანეთზედ მიაკრა და მახვიე ჯაჭვი მკლავებზედაო. დამ დაახვია, გასწია ყმაწვილმა და გაგლიჯა ჯაჭვი; ისე რაც უნდა იყოს გავგლეჯავო, უთხრა ძმამ. მაშ როგორ ვერ გაჰგლეჯავო, აბა ერთი შეგიკრაო. მაშინ დაიკრიფა გულ-ხელი ყმაწვილმა, და უთხრა დას: აბა ეხლა შემიკარიო. დამ შეუკრა მკლავები ჯაჭვით, ყმაწვილმა გასწია და ვერ გაგლიჯა, აბა რაც ძალი და ღონე გაქვს, გასწიეო. გასწია ყმაწვილმა, ჯაჭვმა სულ ხორცები წააგლიჯა და სისხლი წასკდა, ვერ გაწყვიტეო? უთხრა დამ: ვერა, დაო, ვერა ხედავ სისხლი წამსკდა, გამიხსენიო; ვერ გაწყვიტეო, კიდევ ჰკითხა ქალმა. ვერა, დაო, გამიხსენი ხელებიო. იმ

საათში დაუძახა დამ მგელ-კაცას. მგელ კაცამ ქვაბი შემოარბენინა, აიღეს საბრალო ყმაწვილი, ჩასვეს ხელები გაკრული საარაყე ქვაბში, გადუღეს რაღაც ფისით და მისცეს ზღვას. საბრალო მისმა ერთგულმა ძაღლებმა, დაინახეს თუ არა პატრონი, მისდიეს ყმუილით ნაპირ-ნაპირ. ზღვამ ატარა-ატარა ქვაბი ერთ კუნძულში მიიტანა, მიაგდო და დააყენა. ძაღლები დადგენ, უტკირეს და იყმუღლეს. მერე მოაგონდა ღორის სიტყვა, რომ უთხრა ყმაწვილს, თუ რამე გაგიჭირდეს, მაცნობეო, მაშინვე ერთი ძაღლი ღორთან გაიქცა და მეორე იქ დარჩა ყარაულად. ძაღლი მივიდა ღორთან, ღორმა შეხედა თუ არა, იცნო და სთქვა. უთუოდ რაღაც ამბავია ჩემი ძმობილის თავსაო, და უთხრა ძაღლს: ირემთან იყავიო! ძაღლმა უთხრა თავის გაქნევით, არას ნიშნად, მაშ წადი შეატყობინე ირემს და მეც მოვდივარო. ძაღლი მივიდა ირემთან, ირემმაც რომ დაინახა, იცნო და ჰკითხა, «ფაშკუნჯთან იყავიო? ძაღლმა თავი აუქნია არას ნიშნად, მაშ წადი შეატყობინე და მეც მოვდივარო. ძაღლი ახლა მივიდა ფაშკუნჯთან, ფაშკუნჯმა დაინახა თუ არა, მანაც იცნო. ის იყო ფასკუნჯს ერთი შეკაზმული რაში მოემზადებინა ძმობილისთვის საჩუქრად, იმ საათში ფაშკუნჯმა რაში და ძაღლი შეისხა ფთებზედ და გასწია ზღვისაკენ. მივიდა, ნახა რომ ღორი ეწვდებოდა ეშვით და ვერა სწვდებოდა ქვაბს, ხან ირემი რქით და ვერც ის სწვდებოდა: მერე ფასკუნჯმა უთხრა, გამოტანით კი გამოვიტან, მაგრამ ვერ გავტეხავ ქვაბსაო. ახლა ღორმა სთქვა, ოღოდ შენ კი გამოიტანე და სულ ლუკმა-ლუკმად ვაქცევო. მაშ, კარგო, შეფრინდა ფასკუნჯი ზღვაში, წამოუჭროლა ქვაბს და ცივ-ცივად გადმოაგდო ქვაბი ნაპირს ისე, რომ ყმაწვილი არც კი შენძრეულა შიგ-»



მაშინვე მივაწა ღორი და სულ ლუკმა-ლუკმა აქცია ქვები, ჩაბნეს, ნახეს, რომ ყმაწვილს გული წასვლია, მკლავი დასივებია და ჯაჭვი შიგ ჩასჯდომია ხორცში. ღორ ეწვალა, როგორც იყო მოავლო ჯაჭვს კბილი სტრთხილით, ისე რომ ხორცისთვის არ მოევლო კბი- მოუჭირა და კნაწა გაადინა ჯაჭვს. გაეხსნა ყმაწვილს ღი. დაუშაშრეს დასივებული მაჯები, შეუხვიეს. და მე- ე ყმაწვილმა დიდი მადლობა გადაუხადათ ფასკუნჯმა, რაში აჩუქა ყმაწვილს და გამოემშვიდობენ. ახლა უთხრა თავის ერთგულ ძაღლებს ყმაწვილმა: აბა, ჩემო ერთგუ- ლებო, ერთი ეს სიკეთეც მიყავით, როგორმე ჩემი მშვილდ- ისარი იქნება მომიტანოთო, ძაღლები წავიდნენ და ქობს გარშემო დაიწყეს ტრიალი. დაინახა თუ არა ყმაწვალის დამ, გამოუარდა და დაუშინა ქვები და დაუწყო. ლანძღვა: «წადით, საცა თქვენი პატრონი ჩაიხლრჩო, თქ- ვენც იქ ჩაიხრჩვიეთო». საბრალო ძაღლები მაინც არ მოეშენენ, იმდენი უთვალთვალეს, სანამ ქალი გარედ გავიდოდა. მერე შეცვივდენ სადგომში, მოიტაცეს ისარ მშვილდი და მიუბრუნეს პატრონს. ყმაწვილმა ღმერთს მადლობა შესწირა, პირჯვარი გადიწერა, შეჯდა თავის რაშხედ და გასწია ქობისკენ. მივიდა და შეხედა, რომ მისი და და მგელ-კაცა ერთმანეთს ეხვევიან. აღარც აცვივა და აღარც აცხელა, სტყორცნა ისარი და დაც მოკლა და მგელ-კაცაც. იქიდგან გამობრუნდა უკან თა- ვისი ერთგული ძაღლებით და გაუდგა ერთ ტრიალ მინ- დორს, რომ მიდის ამ ტრიალ მინდორზედ ყმაწვილი, ისე დაცხა-დაცხა, რომ საბრალო ძაღლებმა. თითო ადღი- ენები წამოჰყარეს. გახედა მერე ყმაწვილმა და ერთგან- აღსვის ხე დაინახა, მიბრუნდა, იქ გადმოხტა. რაში მიაბა და წამოწვა ჩრდილში. ყმაწვილს დაღლილობამ და სიც-

ხემ ძალა დაატანა და მიიძინა; ძაღლები წყურვილმა შე-  
 წუხა, წავიდნენ, იქეთ-აქეთ შიირბინ, მოკრბინეს და  
 იპოვნეს წყარო, წყალი დალიეს, და შემდეგ გაბანნენ;  
 ამოვიდნენ თუ არა წყლიდან ძაღლები, ოქროს თმით  
 შეიმოსნენ, წამოვიდნენ, ნახეს, ყმაწვილს ისევ ეძინა.  
 ძაღლებმა გამოალვიძეს ყმაწვილი. შეხედა ყმაწვილს  
 ძაღლებს და დიდათ გაჰკვირდა. შემდეგ ძაღლები გაუძ-  
 ლვნენ წინ და მიიყვანეს წყაროსთან. ყმაწვილმა ნეკი  
 ჩაჰსდო გასაშინჯად წყალში, ვნახოთ, რომ ოქროს სალ-  
 ტა შემოეკრა ნეკზედ. ყმაწვილი გაჰკვირდა, შემდეგ  
 დაიბანა თავი, თმა ოქროს თმად ექცა, გაიხადა ტანისა-  
 მოსი, სულ ოქროთი შეიმოსა, მერე მოხსნა რაშს. იარა-  
 ღი, გაავლო წყალში—წყაროში და ოქროთი შეიმოსა.  
 ფაფარი, ძუაც დაუსველა რაშს და ოქროთი შეიმოსა, ერთი  
 სიტყვით ოქროთი შემოსილი ყმაწვილი გაუდგა გზას;  
 მიდის და თან მიანათებს, იარა—იარა და მიადგა ერთს  
 გორას. შეხედა, რომ მეცხვარეს ცხვრის ფარა გადმოუშ-  
 ლია ჭორახედ, ჩამოწოლია ჩომბახს და ლილინებს. მივიდა  
 ეს ყმაწვილი და დაუძახა მეცხვარეს; მეცხვარემ დაინახა  
 თუ არა ყმაწვილი, რომ ოქროში ბრწყინავდა, პირჯვა-  
 რის წერა დაიწყო, ეგონა წმინდა გიორგიაო. დაუძახა  
 ყმაწვილმა მეცხვარეს, ცხვარს არ გაყიდიო? რა გაყიდეა  
 მინდა, შენი მადლის ჭირიმე, რამდენიც გნებავს მიირთვიო.  
 არა შეილო, მე უფასოდ არა მინდა რაო, მოიყვანე ერთი  
 ცხვარი, რაც ღირს, ფასი მიიღე, დამიკალი და ხორცი  
 შენ და ფაშვი მეო; მეცხვარეს დააკლევინა ყმაწვილმა  
 ცხვარი. ხორცი იმასვე დაუგდო, ფაშვი წაიღო და გა-  
 მომშვიდობების დროს, ჰკითხა მეცხვარეს: აქ ახლო-მახლო-  
 ან სოფელი ან ქალაქი ხომ არსად არისო? როგორ არა,  
 შენი მადლის ჭირიმე, ე. მაგ გორას გადაივლი თუ არა,

ერთი დიდი ქალაქია და ხელმწიფეც შიგ მან ქალაქში სცხოვრობსო. ყმაწვილი გაუდგა გზას, ავიდა გორაზედ; გორაზედ ერთი უხარ-მაზარი ქვა იდო, ასწია იმ ქვას, რაშის მორთულობა და თავის ოქროთი შემოსილი ტანისამოსი ქვას ქვეშ ამოსდო, რაში და ძაღლები გაუშვა და უთხრათ: როცა ეს აღვირი დავაჩხაკუნო, აქ გამოცხადდითო. თვითონ ცხვრის ფაში წაიკრა თავზედ, რომ ოქროს თმა-ქოჩორი არ გამოჩნდესო, გასწია და შევიდა ქალაქში. ყმაწვილმა იარა და მივიდა ხელმწიფის სახლში. კარის კაცს ჰკითხა: დიდებულ ხელმწიფეს მოჯამაგირე ხომ არ უნდაო? — როგორ არაო, უთხრეს. შევიდნენ. მობხენეს ხელმწიფეს და დაიყენეს მებაღედ ეს ყმაწვილი. ყმაწვილი ბაღს მშვენივრად ინახავდა, ერთის სიტყვით ბაღში გაუჩენელს აჩენდა. ერთხელ გააკეთა მშვენიერი ნობათი ამ ყმაწვილმა და ხელმწიფეს მიართვა. ხელმწიფეს ჰყვანდა სამი ქალი, ორი ქალი თითქმის ხანში იყვნენ შესულნი, და მესამე კი ყმაწვილი იყო; ქალებმა ნობათი ძრიელ მოიწონეს და სთქვეს: ამდენი მებაღე გვეყოლია და ასეთი ხილი, ასეთი ნობათი არც ერთს მებაღეს არ მოუერთმევიანო, და მოდი ერთი გავიაროთ ბაღში და ვნახოთ, რა ხეზედ ასხია ეს ხილიო, უთხრეს ერთმანეთს ქალებმა. მართლაც გამოსთხოვეს მამას ნება და წავიდნენ ბაღში, ქალები ცალ-ცალკე მხარესკენ წავიდნენ. უნცროსმა ქალმა იმდენი ჰქნა, რომ მებაღის ქოხისკენ წავიდა. მივიდა, ნახა, რომ ყმაწვილს დასძინებია (მებაღეს) და ცხვრის ფაშვი ცოტა გვერდზე მოქცევია; ქალმა შეამჩნია, რომ რაღაც უბრწყინავდა. მივიდა ქალი ნელა, ცოტა კიდევ გადუწია ფაშვი და ნახა ოქროს ხუჭუქიანი თმა. აქამდინ კი ქაჩალ მებაღეს ეძახდნენ ყმაწვილს. მაშინ გამობრუნდა ქალი. მოგლიჯა.

შამი კიტრი—ერთი სულ ყვითელი, მეორე ცოტა შეყვითლებული და მესამე მწვანე. წამოიღო ეს კიტრები, მოიტანა, დაუწყო მამას და უთხრა. გამოიცან, რას ნიშნავს ესენიო. შელმწიფემ ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერ გამოიცნო, მერმე დაუძახა თავის მოხუცს ვეზირს და უთხრა: აი ასე არის საქმე და რას იტყვიო, ვერა გამიგია რაო. ახლა ვეზირმა უთხრა: დიდებულო ხელმწიფევ, ეგ სამი კიტრი ნიშნავს შენს სამს ქალს; ეს ორი ყვითელი კიტრი იმისი ნიშანია, რომ დრო გადასვლიათ და მესამეს ეხლა დრო აქვს და თხოულობენ გათხოვებასაო. მაშინვე გასცა ბძანება ხელმწიფემ, შეჰყარა თავის დიდებულნი კაცნი, გაუმართა ნადიმი, მერე უთხრა თავის ქალებს: აბა, შეიღებო, ვისაც ვინც გინდათ, გამოირჩიეთო. უფროსმა ქალებმა ამოირჩიეს თავიანთვის: ერთმა ნაზირი და მეორემ ვეზირი; ეს უნცროსი, აუვლის და ჩამოუვლის ხალხს, აუვლის და ჩამოუვლის. მერე მამამ უთხრა: რა ჰქენი, შეიღო, არავინ მოგეწონაო? ახლა ქალმა: რა ვქენა, მამავ, მე ვინც მინდა, ის აქ არ არისო. მაშინვე დაუძახა კარის კაცთ ხელმწიფემ და უთხრა: ხომ აღარავინ დაგრჩენიათ კიდევ მოსაწვევიო; არავინ, თქვენი ქირიმე, დიდებულო ხელმწიფევ, მხოლოდ ერთი თქვენი ქაჩალი მებაღე არ გახლავთ აქაო, წადით, ჩქარა მოიყვანეთო, ბძანა ხელმწიფემ. ქაჩალი მებაღე მოიყვანეს, გზაზედ მებაღეს კურდღლის ბაჭია დაეჭირა და უბეში ჩაესო. ქალმა დაინახა თუ არა მებაღე, წავიდა მისკენ, მაგრამ დაუპირდაპირდა ქაჩალ მებაღეს და შედგა. მამამ შენიშნა ეს. მერე ჰკითხა ქალს: რა ჰქენი შეიღო, არ მოვიდა კიდევ, ვინც შენ გინდაო? აქ არის მამა, მაგრამ რაღაც უზის უბეში და ვერ მიმიბედნია, მეშინიანო; ახლა მამამ: ნუ გეშინია, შეიღო, დახუჭე თვალები და ჩაუვარდი

კალთაშიო. მართლა დახუჭა ფვალი ქალმა, გაექანა და ჩაუფარდა ქაჩალ მებალეს კალთაში. ოჰ! ღმერთმა თქვენ კარგი მოგცეთ, დაინახეს თუ არა, ამოდენა ხალხმა შეჰქნა კიყინა; რა ჰქნა, ქაჩალ მებალე აირჩიაო. რაღა იქნებოდა, უფროს სიძეებს კი დიდი ქორწილი გადუხადა ხელმწიფემ, მაგრამ ეს უნცროსი სიძე-ქალი დაითხოვა და ერთი უბრალო საქათმე მისცათ საცხოვრებლად. გავიდა დრო, გახდა ხელმწიფის ცოლი ავად, მკურნალებმა რომ ველარ უშველეს რა, მერე ასწავლეს, რომ ირმის რძე მოარჩენს მაგისტანა ავადმყოფსაო. რასაკვირველია ხელმწიფემ მაშინვე დაუძახა თავის უფროს სიძეებს, მისცა ჯარი და გაგზავნა ირმის რძის საშოვნელად. ესენი რომ წავიდნენ, მერე ქაჩალმა მებალემ ე. ი. უნცროსმა სიძემ უთხრა თავისს ცოლს: ადე, წადი ერთი ცხენი სთხოვე მამაშენს, რომ მეც წავიდე, იქნება მე ვიშოვნო ირმის რძეო; მართლა წავიდა ქალი და უთხრა მამას, მოიტა მამი, ერთი ცხენი ჩემს ქმარსაც მიეცი, ისიც წავიდესო. ქალი მამამ სასაცილოდ აიგდო; შენი ქმარი აქ ხომ საკვირველ ამბებს სჩადის და, იქ რომ წავიდეს, რასაკვირველია, ქვეყანას გადააბრუნებსო. ახლა ცოლმა უთხრა ქმარს (ხელმწიფეს), მიეცი, კაცო, ერთი ცხენი ვითომც არ გყოლია, რა იქნებაო. რაღა იქნებოდა, გამოუყვანეს ერთი კოჭლი ცხენი და მისცეს ქაჩალ მებალეს. ესეც შეჯდა და ჩაქ-ჩაქით და კოჭლობით გაუდგა გზას, ბაზრისკენ რომ ჩაიარა, ბაზრის ხალხმა დასცეს კიყინა, ზოგი დამპალ საზამთროს, დამპალ ვაშლს ესროდა და ზოგი რას. ქაჩალ მებალემ ყურიც არავის უგდო. ჩაიარა ბაზარი, იარა-იარა და მივიდა იმავე დიდ ქვასთან, სადაც ჰქონდა თავისი რაშის იარაღი და თავისი ტანისამოსი. ასწია ქვა, გამოიღო აღვირი, დააჩხაკუნა თუ არა, მოვარ-

დენ იმ საათს რაში და ორივე ძაღლები. ქაჩაღ მებაღემ კოჭლი ცხენი ძაღლებს ჩააბარა, უყარაულეთ ჩემ ამოსვლამდინაო, თვითონ შეიმოსა თავისებურად ოქროში შექედილ ტანისამოსში, შეკაზმა რაში და მოახტა ზედ, მოჰკურცხლასაჩქაროდ ცის ელვასავით და ჯერ შუა გზა არ ჰქონდათ გავლილი მის ქვისლებს, ისე მოეწია. უკან; აბა იმათ რა იცოდენ, თუ მათი ქვისლი იყო. რომ ვაუქროლა გვერდით, მისმა ქვისლებმა და ჯარმა ქუდები იძრეს და პირჯვრის წერა დაიწყეს. ეგონათ ან ქრისტეა ან წმინდა გიორგიო. იარა-იარა ქაჩაღ-მებაღემ და მივიდა თავის ძმობილ ირემთან, მისი ძმობილი ირემი იყო ირემთ ხელმწიფე, მივიდა თუ არა, უთხრა: არიქა ჩქარა, შეაგროვე შენი საბძანებელი ირემები, თორემ ორი დასტა ჯარი მოღის ხელმწიფის გამოგზავნილი და დაგიხოცავენ ირემებსაო. ირემი მაშინვე ერთ დიდ ქვას დაადგა, ქვა შეინძრა, ვნახოთ, მორბიან ყველა მხრიდგან ირემები და შეიკრბნენ ერთ ბაკში. მხოლოთ ერთი კოჭლი ირემი უკან დარჩენილიყო და ესეც რაც ძალი და ღონე ჰქონდა მორბოდა. ეს კოჭლი ირემი იპოვნეს ხელმწიფის გამოგზავნილმა ჯარმა. გამოედევნენ უკან ერთი ჰაი-ჰუით და ის იყო, რომ უნდა დაეჭირათ, ისე კიდევ შემოერიან ისიც ირმის ჯოგს. რა იქნებოდა, ორი ქვისლი თავისი ჯარებით მოადგენ ირმის ჯოგს შეხედეს რომ ქაჩაღ მებაღე ირმის ჯოგში დაიარება არხეინად; ქაჩაღ მებაღე გამოვიდა, მიეგება ჯარს და უთხრა თავის ქვისლებს: «რა გინდათ, რისთვის გარჯილხართო», ამათ ქუდები მოიხადეს, პირჯვარი დაიწერეს და უთხრეს: «ესე არის საქმე, შენი მადლის ჭირიმე, ესე და რძისთვის გიახელითო». ძალიან კარგო, უთხრა ქაჩაღ-მებაღემ, მაგრამ თუ უფროსი უკანა ბარდაყხედ ჩემი რაშის დამღას დაიკრავთ

უნტროსი მარჯვენა ყურის ბიბილოს მომაკრვეინებთ, ხომ მოგცემთ ირმის რძეს, თუ არა და არაო. მეტი რა გზა ჰქონდათ, დასთანხმდენ. მაშინვე ქაჩალ-მებაღე შევიდა ირმის ჯოგში, მოუწველა ერთი კოკლი ირმის რძე და მისცა და გამოისტუმრა. შემდეგ შევიდა ისევ ჯოგში, მოწველა ირმის რძე, რომელიც ნამდვილად მარგებელი იყო, შეჯდა რაშხედ, წამოიღო რძე და წამოვიდა. ერთი გაუტია თავის რაშს და მოეწია თავის ქვისლებს. იმათ დაინახეს თუ არა, კიდევ პირჯვრის წერა დაიწყეს. ქაჩალ მებაღე მოვიდა თავის ქვასთან გადმოხტა რაშიდან, მოცვივდნენ მისი ერთგული ძაღლებიც და მოუყვანეს კოკლი ცხენიც. ქაჩალ მებაღემ ტანისამოსი გაიხადა, შეინახა ქვას ქვეშ, შეჯდა თავის ჯაგლაგ კოკლ ცხენზედ, წამოვიდა ჩაქ-ჩაქით, მოვიდა შინ. მის უფროსს ქვისლებს მოუტანიათ რძე და უთქვამთ ხემწიფისათვის, რომ ამდენ და ამდენ თუმნად ვიყიდეთო; დაულევია ხემწიფის ცოლს, მაგრამ არაფერი არა ურგია რა. ახლა ქაჩალ მებაღემ უთხრა ცოლს, წადი ერთი, წაუღე დედაშენს ეს რძე და დააღვეინე, იქნება არგოსო. მართლაც, ამ ქალმა წაიღო, მიიტანა რძე და უთხრა დედას: აბა დედი, ეს რძე ჩემმა ქმარმა მოიტანა და ნახე, იქნება გარგოს რამეო. უფროსმა დებმა სასაცილოდ აიგდეს და უთხრეს: „წადი, დაიკარგე აქედან, შენი ქმარი რა არის, რომ მისი მოტანილი რძე რა უნდა იყოსო? ალბად, მანდ ვინმეს ძროხას მოსწველიდა ეგ უხვირო, და ის მოუტანიაო“. ხემწიფის ცოლმა მაინც მოისურვა, მოიწათა ლიტრით რძე: ცოტა დალია თუ არა, სულ მორჩა, განთავისუფლდა: ოჰ, გაუკვირდათ ძლიერ და დიდის საჩუქრით გაისტუმრეს დედ-მამამ. თავიანთი უნტროსი ქალი. გა-

ვიდა ღრუ-ქამი, ხემწიფეს მოუხდა სხვა ხემწიფესთან  
ოძი; მან დიდი ჯარით გაგზავნა თავისი უფროსი სი-  
ძეები საომრად. ახლა კიდევ უთხრა ცოლს ქაჩალ მე-  
ბაღემ: წადი ერთი, გამომიტხოვე მამაშენს ერთი ცხენი  
და მეც წავალ ჯარში საომრადო. ქალი მივიდა მამას-  
თან და უთხრა: მამი, მიეცი ერთი ცხენი ჩემს ქმარ-  
საც, წავა ისიც ომში, იქნება ცოტა რამ შემოგეშვე-  
ლოთო. გაიგონეს თუ არა იქ მყოფებმა, და თვითონ  
მამამაც, სასაცილოდ აიგდეს უნცროსი ქალი: წადი  
აქედან მოგეშორდი, სირცხვილით როგორ უნდა გავუ-  
რიო ჯარში შენი ქმარიო. მიცა ხელმწიფემ ერთი კო-  
ჭლი ცხენი, და ქალმაც წამოუყვანა თავის ქმარს. ქა-  
ჩალ მებაღე კიდევ შეჯდა კოჭლ ცხენზედ და ჩაიარა  
ბაზრისკენ. დაინახეს თუ არა ბაზრის ხალხმა, დასცეს  
კიჟინა, ზოგი რას. ესროდა და იგდებდნ მასხარად.  
მან მაინც ყური არ უგდო, გაიარა თავისთვის, მივი-  
და კიდევ თავის ქვასთან, ასწია ქვას, გამოიღო, დააჩ-  
ქარუნა აღვირი თუ არა, მოვარდა რაშიც ძაღლებით;  
მაშინვე შეიმოსა თავისებურად, კოჭლი ცხენი ისევ  
თავის ერთგულ ძაღლებს მიაბარა, მოახტა რაშს და  
მოჰკურცხლა. იარა იარა და მივიდა იქ, სადაც თავისი  
სიძამრი ოძობდა. ის იყო უნდა დამარცხებულიყო  
მტრისგან, რომ ჩაერია ქაჩალ მებაღე, საითაც კი გაუ-  
ტია თავისს რაშს, სულ ღობესავით ჰფინა მტერი. ეს  
რომ დაინახა მისმა სიძამრმა—ხემწიფემ, სთქვა გუნება-  
ში: ღმერთო, მადლობა შენთვის, ეს უთუოდ დამხმარე-  
ანგელოზია, ღმერთმა გამომიგზავნა მაშველადო;  
დადგა და დაიწყო პირჯვრის წერა და ლოცვა: ამ  
ქაჩალ მებაღის შველით გაიმარჯვა მისმა სიძამრმა. მე-  
რე რომ გაფავდა ოძი, ქაჩალ მებაღე მობრუნდა უკან



და თავის ხმატს რომ აგებდა ბუდეში; ამ დროს თავისისავე ხმლით ცოტა ხელი გაიჭრა; დაინახა თუ არა ხელმწიფემ, გაქანდა მაშინვე, ამოიღო თავისი ჯიბის ბაღდადი და შეუხვია დაჭრილი ხელი. ქაჩალ მებაღემ ისევ თავისებურად მოხლიტა თავისი რაში და მოვიდა თავის ქვასთან, გადმოხტა ისევ; ჩაიცვა თავისი ძველი ტანისამოსი, გაუშვა რაში და ძაღლები, გამრგლიჯა რაშს ძუა და უთხრა: როცა ეს ბეწვი დავტუსო, მაშინვე გამოცხადდი ჩემთანაო. შეჯდა ისევ კოჭლცხენზედ და გაუდგა გზას. მივიდა შინ, წამოწვა ტახტზედ და მიეძინა. მძინარეს დაჭრილი ხელი გადმოუარდა გვერდზედ, ცოლმა დაინახა, შეხედა ხელზე და იცნო, რომ მისი მამის ბაღდადით ჰქონდა ხელი შეხვეული მის ქმარს; გამოიღვიძა თუ არა ქაჩალ-მებაღემ, ცოლმა ჰკითხა: ვინ მოგცა მამი-ჩემის ბაღდადი შენაო. ქაჩალ-მებაღემ ყველაფერი უამბო ცოლს რაც გარდახდა და როგორც შეუხვია ხელმწიფემ ხელი. ქალსაც რასაკვირველია ძრიელ ესიამოვნა, რომ გაიგო თავისი ქმრის გარემოება. ხელმწიფე ომიდან რომ დაბრუნდა გამარჯვებული, შეჰკრიბა თავისი დიდ-კაცობა, ნაზირვეზირნი და წვეულობა გაუმართა. აბა ქაჩალ-მებაღეს და მის ცოლს ვინ ახსენებდა? ეს რომ გაიგო ქაჩალ-მებაღემ, შეიხსნა ხელმწიფის მოცემული ბაღდადი, მისცა ცოლს და უთხრა: წადი მამი-შენის სახლში, როგორც იყოს შედი, ნებით არავინ გათამაშებს და, როცა შენმა უფროსმა დებმა ითამაშონ და დადგენონ; მაშინვე აღარავის დააცალო, გადაერიე შენც, ამოიღე ეს ბაღდადი, გაშალე და დაიწყე თამაშობაო. მართლა ქალი ასე მოიქცა, როგორც ქმარმა დაარჩია. დარბაზში ითამაშეს უფროსმა დებმა. დადგნენ თუ არა.

უფროსები; გაიკრა ხელი ჯიბეს უნცროსმა დაბ, ამო-  
იღო სისხლიანი ხელსახოცი, გაშალა და დაიწყო თა-  
მაშობა. მამამ, ე. ი. ხელმწიფემ დაინახა თუ არა ბალ-  
დადი, დააყენა თავისი ქალი და გაჯავრებით შეუტია:  
შე ასეთო-ისეთო, ვინ მოგცა შენ ეგ ბალდადიო? ჩემმა  
ქმარმა მოიტანა, შენ რომ ხელი შეგეხვიაო, უთხრა  
ქალმა. შენს ქმარს იქ რა უნდოდა, მე მაგითი ღვთის-  
გან გამოგზავნილ ანგელოზს შევუხვით ხელი და შენ,  
შენს ქმარს იმას აბადლებო?—დაუწყო ჯავრობა. ახლა  
ქალმა უთხრა: რას მიჯავრდები მამი, თუ არა გჯერა,  
გაგზავნე კაცები ჩვენს ქოხში და მოაყვანინე შენი  
სიძეო; მართლაც ოთხი კაცი გაგზავნა ხელმწიფემ  
ქაჩალ-მებალის მოსაყვანად; ქაჩალ-მებალეს დაუძახნია  
რაშისთვის და თავისი ძაღლებისთვის, მოუტანინებია  
თავისი ბრწყინვალე ტანისამოსი, ჩაუცვამს, წამოწო-  
ლილა ტახტზე და დასძინებია. მოვიდნენ ხელმწიფის  
გამოგზავნილი კაცები, შეადეს ქოხის კარი, შეხედეს,  
რომ ქაჩალ-მებალე ოქროში ბრწყინავს. იმათ ანგელო-  
ზი ეგონათ, დაისწერეს პირჯვარი და გაბრუნდნენ უკან.  
მივიდნენ ცარიელნი ხელმწიფესთან და უთხრეს: ესე  
იყო შენი ქირიმე, ქაჩალ-მებალე ვერ ვიპოვნეთ, მარტო  
ერთი ანგელოზი თუ რაღაც იწვა ქოხშიო. როგორ  
თუ ანგელოზიო, შეუტია ხელმწიფემ, წადით ჩქარა,  
უთხარით, რომ მოეთრეს; თუ არ წამოვიდეს, წამოათ-  
რიეთო. მივიდნენ ხელ-მეორედ, შეიხედეს კიდევ ქოხ-  
ში, ისევ ისე ბრწყინავდა მწოლარე. ეს კაცები კან-  
კალით შევიდნენ შინ, ყმაწვილმაც გამოიღვიძა და  
ჰკითხა ყმაწვილებს, რა გინდათო?—არათფერი, შენი  
მადლის ქირიმე, ხელმწიფე გეძახის, თუ შეიძლება  
მოხბანდითო. მაშინვე მოახტა ქაჩალ-მებალე რაშს, გა-

იყოლა ძაღლები და ელვასებრ გაჩნდა ხელმწიფის კარ-  
ზედ. გაივლის და გამოივლის სასახლის წინ. ხელმწი-  
ფემ გადმოჰხედა, გამოგზავნა რვა-ათი მეჯინიბე რაშის  
დასაქერად, ჩამოსარმევად. ქაჩალ-მებაღემ განგებ მისცა  
რაში; რაშმა გაიქნია აღვირი და ათივე გადაჰყარა  
აქეთ-იქით. მერე ყმაწვილმა გამოართვა რაში, მისცა  
ძაღლებს და ძაღლებმა გაატარ-გამოატარეს; შემდეგ ყმაწ-  
ვილი შევიდა დარბაზში. ყველანი სიფრთხილით და  
მოკრძალებით თავს უკრავენ. ხელმწიფეც მოკრძა-  
ლებით ჰკითხა ქაჩალ-მებაღეს: ვინა ბრძანდებით თქვე-  
ნაო?—მე თქვენი უნცროსი სიძე ვარო, უბასუხა ქა-  
ჩალ-მებაღემ. ხელმწიფე მეტად გაჰკვირდა. მერე მო-  
ახსენა ამ ყმაწვილმა: ხელმწიფევ, ირმის რძისათვის  
რომ გაგზავნეთ თქვენი სიძეები, საიდან მოიტანესო?  
—იყიდეს ამდენ ათას თუმნადო, უბასუხა ხელმწიფემ.  
მაშ, თუ შეიძლება, გაუსინჯეთ უფროსს სიძეს ბარდაყი  
და მეორეს ყურის ბიბილოო. მაშინვე დაუძახა უფროს  
სიძეს. თუმცა ძლიერ უარზედ იდგა, მაგრამ ძალით მი-  
იყვანეს რაშთან, გაუსინჯეს ბარდაყი, და სწორედ მო-  
უვიდა რაშის უკანა ფეხის დამლა. ახლა დაუძახა მეო-  
რე სიძეს. მას ქული მოექცია გვერდზე, მოჭრილი ყუ-  
რის ბიბილოსკენ, არ გამომიჩნდესო. მოიხადე ქულიო  
და არ იხდის. მერე ძალად მოახდევინეს, ამოიღო ჯი-  
ბიდგან ბიბილო ქაჩალ-მებაღემ, დაატოლეს და დარწ-  
მუნდენ, რომ მისი იყო. მაშინ უამბო აქამდე ქაჩალ-  
მებაღედ წოდებულმა, როგორც მისცა რძე ქვისლებს

და რაც სხვა რამე მოიმოქმედა, ყველაფერი. ხელმწი-  
ფე დიდად გახარებული დარჩა. რომელიც კარგი სასა-  
ხლეები ჰქონდა, უნცროსს სიძეს დაულოცა, და უფ-  
როსი სიძე-ქალები მოსამსახურედ დაუყენა... ნათქვა-  
მია, რომელმაც უფრო მოითბინა, ის უფრო ცხონ-  
დარ, ისე მოუვიდა ქაჯალ-მებაღესაც. ჭირი იქა, ლხინი  
აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

იმ წართა საა, რამქელთაც კვსაგნებათ 1899 წლას  
„კრებულა“.

დ. აბაშა

1. ავალიანისა, ელენე დიმიტრის ასული.
2. დოლიძე, ბაგრატ ივანეს ძე.
3. ჭანტურია კლემენტი, მღვდელი.

დ. ახალ-სენაკი.

1. გამზარდია გიორგი.
2. გვანცელაძე ი. ს.
3. კახიანისა, ნადეჟდა სერაფიმოვის ასული.
4. მატარაძე, სპირდონ ანდროას ძე.
5. ქავთარაძე, გიორგი ლევანის ძე.
6. ყიფიანი სამსონ გ.
7. ხუხია ლევან (ს. ხობი)

ახალ-ციხე.

1. ქართული სახალხო წიგნთ-საცავი.
2. უდის სახალხო წიგნთსაცავი.
3. ბურჭულაძე, გრიგოლ იესეს ძე.
4. გამრეკელისა, მარიამ გრიგოლის ასული
5. გიორგობიანი, აფინოგენ სიმონის ძე.
6. მაისურაძისა, სოფიო პეტრეს ასული.
7. მეფისოვისა, მაგდალინა პეტრეს ასული.

8. შალიკოვი, თ.-დი კოსტანტინე.
9. ქუჭულაშვილი სიმონ, მღვდელი.

**სად. ავჯალა**

1. ახალ-გაზ. დამნაშავეთა თავშესაფარი.

**სად. ულაგაული.**

1. კალოიანი, იასონ ალექსისძე.

**ალექსანდროპოლი.**

1. ბეგთბეგოვი, ივანე სოლომონის ძე თ.-და.
2. დუმბაძე, სამსონ ანტონის ძე
3. ყორყოლაძე, ლავრენტი არქიფოს ძე.

**არდაჰანი.**

1. მალაკელიძე, ილია ლევანის ძე.
2. ცხადია, ანდრია დავითის ძე.

**ასხაბადი.**

1. წერეთლისა, ელენე მიხეილის ასული.

**სად. აღბულადი.**

1. ცქიტიშვილი, ტარასი ზურაბის ძე.

**სად. ახტალა.**

1. ერისთავი, სოლომონ სიმონის ძე.

### ახტი (ერევ. გუბ.)

1. ბეგოვი რაფიელ.

### სად. აქსტავა.

1. მელაძე ანდრონიკე.
2. მიქაბერიძე, სერგი ლუარსაბის ძე.
3. ჯავახიშვილი, ვლადიმერ მიხეილის ძე.

### სად. აჯიქაბული.

1. სარქიმელია, დავით გიორგის ძე.
2. სილაძე, სტეფანე სიმონის ძე.

### ბათოში.

1. ბერძენიშვილი ე. ს.
2. გოგიტიძე, იოსებ ქაიხოსროს ძე.
3. გრიგოლია, ლევან მაქსიმეს ძე.
4. დგებუაძე, ქსანტე ალექსის ძე.
5. დიღია, ბიქტორ ნიკოლოზის ძე.
6. დუმბაძე, ნიკოლოზ ანტონის ძე.
7. ეზოვი, პავლე იაკობის ძე.
8. ელიავა გრიგოლ ლავრენტის ძე.
9. ენუქიძე, სიმონ ზაალის ძე.
10. თაყაიშვილი, დიმიტრი აღ.
11. იმნაძე, სერგი ივანეს ძე.
12. კვაჭატირაძე, თომა გიორგის ძე.
13. მიქაძე, ალექსანდრე მათეს ძე.
14. მხეიძე, სეფე ივანეს ძე.
15. ნადირეიშვილი გრიგოლ.

16. ნაკაშიძისა, კ-ნა სოფიო ნიკოლო. ასული.

—50

17. საბახტარიშვილი, იასონ ბეჟუკის ძე.

18. ქიქოძე, ლეონიდ სიმონის ძე.

19. ცერცვაძე, გრიგოლ იაკობის ძე.

20. შანიძე, ნიკოლოზ ელიზბარის ძე.

21. შერვაშიძე, თ-დი პროკოპი ლევანის ძე.

22. ჭყონია, პაჭლე შერმადინის ძე.

23. თავართქილაძე, კონსტანტინე ჩიტოს ძე.

24. მკედლიშვილი, ლევან ლუკას ძე.

### ზ ა შ ო.

1. იაფ-ფასიანი ქართული სამკითხველო.

2. სამკითხველო დეპოსთან

3. მეძმარიაშვილი პეტრე

4. ტოროშელიძე, ნესტორ ივანეს ძე

### სად. ბელაზორი.

1. კამკაშიძე, დავით გიორგის ძე.

2. კიკნაძე, ივანე გ.

3. კიკნაძე, ვასილ ალექსის ძე

4. ლოლაბერიძე, ნიკოლოზ მ.

### ზრჯოში

1. მონიავა, ალექსი ბეკოს ძე.

2. ჯომარჯიძე, ნიკოლოზ სიმონის ძე.

### ბუხარა.

1. ბახტაძე, ერისტო დავითის ძე



### ზ. მ. მ. ი.

1. აღღის სახალხო სამკითხველო
2. ბაგრატიონ-დავიდოვი, თ-დი დავ. აღექ. ძე
3. ბაგრატიონ-დავიდოვი, თ-დი ვას. ედიბერის ძე
4. კაკაბაძე, აღექსანდრე დარისპანის ძე.
5. მაჩაბელი, თ-დი ვასილ გიორგის ძე.

### ზ. მ. რ. ი.

1. ამილახვარისა, კ-ნა ნინო კონსტანტინეს ასული (ოთარშენი).
2. გარაყანიძე, კონსტანტინე ზურაბის ძე.
3. რომანოვი, გიორგი რომანის ძე.
4. ორჯონიკიძისა, აღექსანდრა ივანეს ასული (ცხინვალი).

### ზრაკალი

1. თარხანოვისა, კ-ნა ელისაბედ აღექსანდრეს ასული (ახალ-ქალაქი).
2. ხოვლეს უფასო სამკითხველო

### ქ. ზანჯა

1. ადგიშვილი გრიგოლ.
2. ბაქრაძე, გიორგი ივანეს ძე
3. გეთაშვილი, ვასილ გრიგოლის ძე
4. გიგვაძე, სამუილ ილარიონის ძე.
5. გოგბერიძე, იაგორ თომას ძე.
6. გოგობია, ივანე ჩერემეხის ძე

7. დოლიძე, სოლომონ იესეს ძე.
8. ვაშაკიძე, რაჟდენ ანდრიას ძე.
9. ზალდასტანიშვილი, გიორგი შერმაზანის ძე
10. კლიმიაშვილი პლატონ.
11. კუჭუაშვილი, ივანე ნიკოლოზის ძე.
12. მაჩაბელი, მიხეილ ალექსანდრეს ძე.
13. ნოდია, თეიმურაზ მარკოზის ძე.
14. ყორდანია, იოსებ ბეჟანის ძე.
15. ასიხარულიძე, ლკონტი იორდანეს ძე.
16. უშვერიძე, მიტროფანე ზაქარიას ძე.
17. ფანჯავიძე, ვასილ სპირიდონის ძე.
18. ქურხული, ზაქარია სოლომონის ძე.
19. ყაზბეგიშვილი, სოლომონ დავითის ძე.
20. ჩიკვინიძე, სამუილ დიმიტრის ძე.

— 100

21. ცხვირავაშვილი, ნესტორ იაკობის ძე.
22. ძაგანია, ნესტორ ლომკაცის ძე.
23. წერეთელი, დავით პარმენის ძე.
24. ჭკუასელი, ილარიონ იესეს ძე.
25. ჯუღელი, ალექსი ალფეზის ძე.
26. აღეჟავა, სიმონ კონსტანტინეს ძე
27. წერეთელი, ილია სპირიდონის ძე

### სად. გმრანი

1. ჯაიანი, კონსტანტინე დარისშანის ძე.

### გუდაუთი (სოხუმ. ოლქი)

1. ბაღდავაძე, გიორგი ესტატეს ძე.

2. მამალაძე, ივანე.
3. ჩიმაკაძე ერმალოზ

### დარუბანდი

1. შენაბდე ნესტორ

### დუშეთი.

1. დედაბრიშვილი, შოთა ზაქარიას ძე.

### სად. ევლახი.

1. კახაძე, სტეფანე დიონისის ძე.
2. მესხი, იოველ სპირიდონის ძე.

### ეგორლიკი (სტავრ. გუბ.)

1. მაყაშვილი, თ-დი რევაზ გრიგოლის ძე

### სად. ვარვარინო.

1. ბოკერია, დავით ს.
2. გედევანიშვილი, სიმონ ნ.
3. ლალიძე, სიმონ დ.

### ჯუგდიდი

1. მიურატისა, პრინცესა ანტუნაეტი
2. ქანდარია, ანტონ გიორგის ძე
3. შენგელია, კონსტ. ალექსის ძე
4. ჟვანია, ვლადიმერ გლახუას ძე

## თბილისი

1. ამილახვარი, თ-დი ივანე გივის ძე
2. ამირეჯიბი, თ-დი მიხ. ქაიხ. ძე
3. არდაზიანისა ანნა
4. არჯევანიძე, ნიკოლოზ ივანეს ძე
5. ასათიანი მიხეილ
6. ალლაძე, გიორგი დავითის ძე
7. ბარათოვისა, კ-ნა ბარბარე გიორგის ასული
8. ბარბაქაძე დათიკო
9. გაბაევისა, მარიამ ზაქ. ასული
10. გაბაშვილისა, ეკატერინე რევაზის ასული
11. გაბრუაშვილი, დავით ილარ. ძე
12. გაჩეჩილაძე ლავრენტი
13. გედევანიშვილი, მიხ. აღ. ძე
14. გედევანოვი, ვლად. მიხეილის ძე
15. გოგებაშვილი, იაკობ სვიმ.-ძე
16. გოგიტიძე, ნიკოლოზ გიტოს ძე
17. გურული ფილიპე
18. დიასამიძე, ალექსანდრე ნიკ.-ძე
19. დიასამიძე, თ-დი გრიგ. ნიკ.-ძე
20. ქვეციანიძისა, ელ. ივ. ასული
21. ეპიტაშვილი, დიმიტრი პეტ.-ძე
22. ვაჭნაძე, თ-დი რევაზ ქაიხ.-ძე
23. თარხან-მოურავისა, კ-ნა ბარბარე მაკარის ასული
24. თაყაიშვილი, ექვთიმე სიმ.-ძე
25. თუმანოვი, თ-დი გრიგ. ნიკ.-ძე

26. იოსელიანი, გიორგი ნიკ.-ძე
27. კარბელაშვილი, პოლ. მღვდ.  
— 150.
28. ჭარგარეთელი, მთავარ-დიაკონი
29. კარიჭაშვილი, დავით გიორ.-ძე
30. კირიონი ყ-დ სამღ. ალავერ-  
დის ეპისკოპოსი
31. ლეონიდი, ყ-დ სამღ. გორის  
ეპისკოპოსი
32. ლორთქიფანიძე, ვლად. ბეჟ.-ძე
33. მამაცაშვილი, კოსტ. ქრის.-ძე
34. შამინეიშვილი, ევტოხი ზეს.-ძე
35. მაქავარიანი, დავით პატას ძე
36. მანსვეტოვი, იაკობ ალექ.-ძე
37. მახარობელიძე, სვიმონ დიმ.-ძე
38. მგალობლიშვილი სოფრომ.
39. მელიქოვისა, კონა ალექსანდრე  
შაკარის ასული
40. მერკვილაძე იოსებ
41. მესხივეისა, კლლა ნიკ. ასული
42. მესხისა, ეკატერინე გრ. ასული
43. მთვარელოვი, ნიკ. ვასილისძე
44. მჭედლიძე, ვასილ ანდრეას ძე
45. ნათაძე, ალექსანდრე ივანეს ძე
46. პაპოტოვი, ნიკოლოზ დავითის ძე
47. რატიევი, ივანე გიორგის ძე
48. სათავად-ჰონ. სასწავლებელი
49. სამეურნეო სასწავ. მოწაფენი
50. სარაჯიშვილი, დავით ზაქ.-ძე
51. ტირეალიძე, ვასილ ივანეს ძე

52. ფარსადანოვისა, კ-ნა დესპინე  
დავითის ასული
53. ქადაგიძე დ.
54. ქართველიშვილი, გიორგი და-  
ვითის ძე
55. ქუთათელაძე, არისტო ვას.ძე
56. ქუმსიშვილი, ვასილ გრიგ.-ძე
57. ქუჩუკაშვილი შიო
58. ლოლაბერიძე, ნიკოლოზ ბეს.-ძე
59. შატბერაშვილისა, ნინო ნიკო-  
ლოზის ასული
60. ჩოლოყაშვილი, თ-დი ბიძინა  
ოთარის ძე
61. ჩომახოვი, გიორგი მღვდელი
62. ჩხიკვაძე ზ.
63. ცინცაძე, კალისტრატე მღვდ.
64. წერა-კითხვის საზოგადოების  
I სამკითხველო
65. წერა-კითხვის საზოგადოების II  
სამკითხველო
66. წერეთელი, სამსონ დარისპ.ძე
67. წერეთელი, ვლად. ლავრ.-ძე
68. ჭავჭავანიძე, ალექსანდრე ნიკ-  
კოლოზის ძე
69. ჭიჭინაძე, ვარლამ იოსების ძე
70. ჭიჭინაძე ზაქარია
71. ხარაევი, ილია მიხეილის ძე
72. ხელაძე, ლუარსაბ დიმიტრის ძე
73. ხუციშვილი, გიორგი აბრ.-ძე
74. ჯანაშვილი, მოსე გიორგის ძე

75. ჯაჯანოვი, რაედეუნ სოლ.-ძე  
76. ჯვარიშვილი, ათანასე თე-  
ოდორეს ძე  
77. ჯმუხაძე, დიმიტრი დავითის ძე  
—200.

78. ლეჟავა იოსებ

### რედაქციები:

79. „ივერია“  
80. „კვალი“  
81. „ცნობის ფურცელი“  
82. „მოამბე“  
83. „კავკაზი“  
84. „თბილისის ფურცელი“

### თელავი

1. საზოგადო საკრებულო
2. ნაცვალაძე ვლ. პ. (ენისელი)
3. პეტრიევისა, მარიამ პეტრეს ას.
4. ფანცხავა, რომანოზ სპირიდ.
5. ხირსელისა, მარიამ დავითის ას.
6. ჯორჯაძისა, კ.ნა ევგენია სოლო-  
მონის ასული (საბუე)

### თიანეთი

1. სახალხო სამკითხველო
2. ყანჩაველი, მელიტონ დავითის ძე

### იურიევი

1. ქართველი სტუდენტები

### კავკასი

1. ილურიძე ივანე

### კავიზმანი

1. გუბელაძისა ოლღა

### სად. კარატაპა

1. ვეფხვაძე ივანე

### კახი (ზაქათალოს ოლქი)

1. ფურცელაძე ბესარიონ (მღვდ.)

### კივი

1. ქართველი სტუდენტები
2. ბაბუნაძე, იოსებ გიორგის ძე
3. წერეთელი ვასილ

### კონსტანტინეპოლი

1. მიხეილ ანდრიასი
2. ქართველ-კათოლიკეთა მონასტერი

### დ. ლანჩხუთი

1. უფასო სამკითხველო
2. აკეთის უფასო სამკითხველო
3. მხეიძე ნესტორ
4. წილოსანი კირილე

### სად. მარელების

1. ჩიოჩია, ალექსანდრე დ.
2. ჯუღელი კორნელი



**სად. მოლითი**

1. ხარაძე, კირილე ბეჟანის ძე
2. ვეფხვაძე, ფარნაოზ (მღვდ.)
3. ზუმბულიძე, ილია ა.
4. შატბერაშვილი, ნიკოლოზ მერაბ.
5. შარიქაძე, გიორგი ი.
6. შენგელია, მიხეილ პ.
7. ყიფიანი, რომან გ.
8. ლამბაშიძე, სერგი გიორგის ძე

**სად. მუკუზანი**

1. რჩეულიშვილი, მიხეილ სპირ.-ძე
2. ჯაფარიძე, ვასილ ნიკოლოზის ძე

**ჰვ. შახსანი**

1. ნადირაძე დიმიტრი

**სად. მცხეთა**

1. სახალხო სამკითხველო

**მეძვენი (ლენხ. მაზ.)**

1. აბღლელიანი, იასონ გრიგოლის ძე

**მერვი**

1. ჩარგვიშვილი, კაპიტონ პეტ.-ძე

**მოსკოვი**

1. ქართველი სტუდენტები

2. ხახანაშვილი, ალექსანდრე სოლ.
3. გრიგოლ ეპისკოპოსი

### სად. ნატანები

1. ბოლქვაძე, იაგორ გ.
2. ნაკაშიძისა, კ-ნა ბრილიანტი გოზორ.  
— 250
3. შათირიშვილი, ნოე ამბაკოს ძე.

### სად. ნიგოთი

1. უფასო სამკითხველო

### დ. მნი (რაჭა)

1. გოცირიძე, რუბენ ბიჭიას ძე (სორი)
2. სოხაძე, კოდრატი მღვდ.
3. ჩიქინაძე, ივანე ფარსად.-ძე (წესი)
4. ფოფხაძე, ვლად. მღვდ.
5. გელოვანი ქაიხოსრო, თ.-დი

### ოდესა

1. პეტრიაშვილი, პროფესორი ვასილ
2. მელიქიშვილი, პროფესორი პეტრე  
გიორგის ძე
3. ჯაყელი, სიმონ ქაიხოსროს ძე

### ოჯურგეთი

1. ქალაქის სამკითხველო
2. თავაძე, ვასილ ივლიანეს ძე

3. თავართქილაძე სილიბისტრო
4. ცხადაძე, ილია სარდიონის ძე
5. წერეთლისა, თამარ ივანეს ასულა
6. ჯინჭარაძე, გრიგოლ მაქსიმეს ძე
7. ხუნდაძე, ვ. ს.
8. ნიკოლაიშვილი გ-რგი (ნაგომარი)
9. ასკანის უფასო წიგნთ-საცავი

### ოჩამჩირე

1. აბაშიძე, თ-დი კონსტანტ მიხ.-ძე
2. კაჭარავა, ტრიფონ იესეს ძე
3. ხელაია პორფირე მღვდ.

### პიატიგორსკი

1. ხოტივარი იოსებ
2. მგელაძე, რაფიელ ლევანის ძე

### პეტერბურგი

1. ცაგარელი, პროფ. ალექ. ანტ. ძე

### პრიუბი (ბაქ. გუბ.)

1. სალარიძე, გიორგი ნიკოლ.-ძე

### საფ. ჩიონი.

1. ტყეშელაშვილი, ირაკ. გიორ.-ძე
2. თანცულაია იოსებ.

### საჩხერა

1. საჩხერეს სამკითხველო
2. მაჩაბელი, თ-დი ანეპოდისტე

3. წერეთლისა, კ-ნა ანნა როსტომის ასული
4. წერეთელი, თ-დი ამირინდო გრიგოლის ძე
5. ლამბაშიძე, იასონ.

### სამბრელია

1. სტურუა, ნიკოლოზ ესტატეს ძე

### საგარეჯო

1. საგარეჯოს სახალხო წიგნთ-საც.

### სიღნაღი

1. კარდანახის წიგნთსაცავი
2. ბარნაბოვი, ალექსი აბრამის ძე
3. იაშვილი მღვდ.
4. შკედლოვი ნიკოლოზ
5. მონაზონი თამარა (ბოდბე)
6. ნასიძისა, ევა ზაალის ასული
7. ტყავაძე, გიორგი იესეს ძე

### სოხუმი

1. გვლია ბესარიონ
2. თურქია, საჩინო ხოსროს ძე
3. კვინცარიძე ენუქ
4. მატახერია, სიმონ გახუს ძე
5. ჩარკვიანი, გიორგი სიმონის ძე

### სურამი

1. მურმანიშვილი ლუარსაბ დ.

#### სუზსა

1. სუფსის სამკითხველო

2. კამიხიძე, ბედია ბეჟანის ძე

#### სტავროპოლი

1. ანდრონიკაშვილი, ლევან გაბრი-  
— 300 ელის ძე

2. თვალჭრელიძე ა.

3. ფხაკაძე, იაკობ ივანეს ძე

#### სად. საბუნჩე.

1. მელაძე, დიმიტრი როსტომის ძე

#### სად. საბირი

1. ნადირაძე ილიკო

#### სად. ტაუზი

1. კუხიანიძე ლეონტი

#### თმბრიუკი

1. ბაქრაძე, მიხეილ ქაიხოსროს ძე

#### უჯარა

1. ჩარკვიანი, ალექსანდრე ნ.

#### ფოთი.

1. ქალაქის სამკითხველო

2. ბერეჟიანისა, ეფროსინე გიორ-ას.

3. ბრელიძე, რაჟდენ ესტატეს ძე

4. გეგელაშვილი, ნოე ლუარსაბის ძე

5. გოლოვინი, ვასილ ივანეს ძე

6. თურქია, მიხეილ ლევანის ძე

7. კილურაძე, სილევან ივანეს ძე
8. ნადირაძე, მიხეილ ბესარიონის ძე
9. ნიკოლაძე, ნიკოლოზ იაკობის ძე
10. ქლენტი, აფრასიონ გულვანის ძე
11. ცეცხლაძე, ბესარიონ კონსტ.-ძე
12. ალექსანდრე ეპისკ. გურია-სამეგ.
13. ბერეჟიანისა, ნინო ნიკიფ. ას.

### ქუთაისი

1. აგიაშვილისა, კ-ნა ბარბარე დავითის ასული
2. აფაქიძე, გიორგი ბესარიონის ძე
3. ბალანჩივაძე ბიქტორ
4. ბაქრაძე, ზემლემერი
5. ბაქრაძე, დავით ნიკოლოზის ძე
6. ბახტაძე, თეოდანე დავითის ძე
7. ბახტაძე, ნიკოლოზ მარკოს ძე
8. ბესარიონი, ყ-დ სამღვდ. ეპისკოპოსი იმერეთისა
9. ბეჟანეიშვილი ვასილ
10. ბექაია, ივანე ლუკას ძე
11. ბოკერია, დიმიტრი ზაალის ძე
12. გაბრიელის სამკითხველო
13. გაბუნია, ტარიელ დიმიტრის ძე
14. გველესიანი, ივანე ზურაბის ძე
15. გიგაუროვი, დეკანოზი რაჟდენ
16. გრინევი, ივანე ვასილის ძე
17. დადიანი, უგუნათლებულესი თ-ი გრიგოლ ლევანის ძე

18. დადიშკელიანისა, კ-ნა ანეტა
19. დავიდოვი ივანე
20. დუმბაძე, ივანე. ანტონის ძე
21. ზვიადაძე ბესარიონ
22. თოფურია, სამსონ ბესარიონისძე
23. თუმანიშვილი, თ-დი პავლე
24. თომაშვილი, ჯიბრაელ დავითის ძე
25. კანდელაკი, ზაქარია გრიგოლისძე
26. კვინიხიძე ბესარიონ მათეს ძე
27. კვიციანი დავით
28. კილაძე, ივანე დავითის ძე
29. კლდიაშვილისა, ეფროსინე ქაი-  
ხოსროს ასული
30. კლდიაშვილი, ვასილ მიხეილის ძე

—350

31. კლდიაშვილი, დავით სამსონის ძე
32. კობახიძე, კოსტანტინე სტეფ.-ძე
33. კობახიძე, პარმენ გიორგის ძე
34. კოკოჩევი, ლეონ, პეტრეს ძე
35. კოკოჩაშვილი, პეტრე ივანეს ძე
36. ლალიძე, მიტროფანე ერ. ძე
37. ლოლუა, ლუარსაბ თეიმ. ძე
38. ლოსაბერიძე ბესარიონ
39. ლორთქიფანიძე, თ-დი კირილე  
ბეჟანის ძე
40. მატარაძე, ილარიონ ანდრიას ძე
41. მელიქოვი, თ-დი ილია ზაქ. ძე
42. ნიკოლაძისა, ანასტასია იაკ.-ან.
43. ნოდია, ბესარიონ სიმონის ძე
44. ნორაქია დადე

45. ოყრეშიძე, დომენტი თომას ძე
46. ევანია, ამბაკო ვასილის ძე
47. სათავად-აზნ. სასწავლებელი
48. საურთიერთო ნდობის ბანკი
49. ფანცხავა, ვესევი სპირიდონის ძე
50. ფეიქაროვი, მიხეილ თომას ძე
51. ფხაკაძე, ივანე სიმონის ძე
52. ფაჩულია, ხარიტონ ზურაბის ძე
53. ქალაქის სამკითხველო
54. ქაჯაია, ელიზბარ ოტიას ძე
55. კორქაშვილი, კოსტ. სიმონის ძე
56. ქუთ. გემნაზიის ქართ. მოწაფენი
57. ქუთ. სამეურნეო. სასწავლ.
58. ლამბაშიძე, ესტატე ბესარ. ძე
59. ჩარკვიანისა, ეკატ. ნიკ. ასული
60. ჩაჩიბაია, ვლადიმერ ზურ. ძე
61. ჩიკვაიძისა მაკრინე
62. ოცხელი იოსებ
63. კვირკელია, სპირიდონ მათეს ძე
64. ლორთქიფანიძე, სერგი თომას ძე
65. თუმანიშვილი, კონსტ. პავლეს ძე
66. ჯაში, ხარიტონ
67. ჯაყელი, ლევან ტიმოთეს ძე
68. ჯინჭველაშვილი, პლატონ მღვ.

### სად. მარკული

1. ამირეჯიბი, თ-დი სარდიონ
2. კალატოზოვი აბელ
3. კალატოზოვი ვასილ
4. ციციშვილისა, კ-ნა ეკატ. დ-ა-  
ვითის ასული. (კინწვისი)



ქმარი

1. ვორდროპისა მარჯორი

სად. ქიურდამირი

1. ლულაძე, ალექსანდრე კონსტ. ძე

უპირილა.

1. აბაშიძე, თ. დიმიხვილ ზურაბის ძე

2. ალავეძისა, ნინო ივანეს ასული

3. აღხაზაშვილი ბიქტორ

4. არდიშვილი ივანე

5. ბაგრატიონისა, უგანათლ. კ. ნა  
ნიდიტორ

6. ბარამაძე მიხეილ

7. ბახტაძე, სერგი ლუკას ძე

—400

8. ბიბილაშვილი ანდრო

9. გაჩეჩილაძე ბიქტორ

10. გაჩეჩილაძე სამსონ

11. გაჩეჩილაძე სევასტი

12. გველესიანი, ბესარიონ მღვდ.

13. გოგორიშვილი სიმონ

14. ელიაშვილი, სამსონ სპირიდ. ძე

15. გუჯაბიძე მურძა

16. იოსელიანისა, ანნა არქ. ასული

17. კალატოზიშვილი, პროკოპი

18. კაპანაძე, ტარასი

19. კვანტრეშვილი ანტონ მღვდელი

20. მაისაია, ბავლე

21. მალლაკელიძე ნლია
22. მაჭავარიანი სოლომონ
23. მაჭავარიანი ვასილ
24. მერკვილაძე აფრასიონ
25. მოდეშძე, ბესარიონ პეტრეს ძე
26. მუჭირი ანტონ
27. ნეზიერიძე ბაგრატ
28. ნეზიერიძე მოსე
29. ორჯონიკიძე სიმონ
30. ორუხაძე ვლადიმერ
31. საყვარელიძე ბესარიონ სოლ. ძე
32. ტაბატაძე მინა
33. ფერაძე ერმალო
34. ჩიხლაძე, სერაფიონ მღვდ.
35. ჩუბინიძე, გედევან ზურაბის ძე
36. ჩხეიძე, ნოე ტატოს ძე
37. შერფთლისა, კ-ნა ბარ სპ. ასული
38. შულუკიძე, ალექსანდრე
39. ხიღირბეგიშვილი, თედი ნესტორ  
კონსტანტინეს ძე
40. ხუნდაძე, დიმიტრი
41. ხუსკივაძე, საჩინო
42. ჯანელიძისა, ეკატ. კონსტ. ას.
43. მაჭავარიანი, დიმიტრი
44. „მწყემსი“-ს რედაქცია

#### შაჰანი.

1. სას. ოკადემიის ქარნოვ. სტუდენტ.

#### სად. შორაპანი.

1. ბაქრაძისა ვერა ნიკოლო ასული.

2. ყაზაიშვილი, სამსონ ლუკას ძე.

### სად. შამხორი.

1. არონიშიძე, სოლომონ საყვარ. ძე.

### უზუა.

1. ვესტაფიევისა, ნინო ივან. ასულთა.

### ჩრხატაური.

1. უფასო სამკითხველო.
2. ხიდისთავის უფასო სამკითხველო.
3. გორის საეკლესიო-სამრ. სასწავლო.
4. კალანდაძე ბათო (ხიდისთავი).

### ცაგერი.

1. გერსამია ალექსანდრე ბლად. მღ.
2. შარგიანი ივანე
3. მახარაშვილი, აკინტე კონსტ. ძე.
4. ნაზაროვი დავ. აღ. ძე (ლაილაში)

— 450

5. ნიქარაძე თ-დი რაჭდენ.
6. კრამიშვილი, დავით ბეს. ძე (ბეჩო).

### სად. ძირულა.

1. ჭიჭინაძე, ილია იოსების ძე.

### სად. ჭიფა.

1. ივაზაია, ნესტორ შ.

2. დევდარიანი ნიკოლოზა.
3. თუხარელი ნიკოლოზ.

### სად. ჰიათურა

1. ჩამაღლობელი პავლე
2. ბრეგვაძე ნიკო
3. დარჩია ფილიპე
4. დევიძე, ლავრენტი ჭლ. მღ.
5. დეისაძე გიორგი
6. დეკანოზიშვილი ირაკლი
7. მიქაძე ილიკო
8. მოდებაძე კარპე
9. ოთხმეზური ნიკო
10. ქორქაშვილისა, მონაზ. (მღვინევი)
11. წერეთელი, იოსებ ბლ. მღ.
12. წერეთელი ვლადიმერ
13. წერეთელი კოტე
14. წერეთლისა, მარიამ სიმ. ასული
15. ძიმისტარაშვილი ლეონტი

### ხაშური (მინაილოვი)

1. გოგლიჩიძე, სამსონ ზ.
2. დავრიშვილი, ილია გ.
3. იაშვილი, ალექსანდრე მ.
4. კალანდაძე დავით
5. კვალიაშვილი, გრიგოლ დ.
6. კიკნაძე, ილარიონ ა.
7. მაჭავარიანი, ტერენტი ო.
8. მაჭავარიანი, ივანე ო.
9. მაჭავარიანი პეტრე

10. მესხი ანდრია ყ.
11. ნიქაბაძე, ისიდორე ი.
12. ლამიშვილი, გიორგი დ.
13. რიუამაძე, მალხაზ გ.
14. სვანაძე, სიმონ პ.
15. ტორაძე, ნიკოლოზ ი.
16. ჩხეიძე, ნიკოლოზ
17. ციბაძე, ანტონ თ.
18. ცინცაბაძე, იროდიონ გ.
19. ცქიტიშვილი, ალექსანდრე ყ.
20. ქანტურია, ილარიონ ა.
21. ხარაძე, ელფეთერ ბ.
22. ხარაძე, თომა მ.
23. ხაჩიძე, თევდორე ზ.
24. ხელაძე, ვლადიმერ ექვთიმეს ძე
25. ჯაფარიძე, ნესტორ ა.
26. ნოზაძე, სტეფანე გიორგის ძე

### დ. ხოლო

1. ბახტაძე, მათე ვასილის ძე
2. გორდაძე, ივანე ზაალის ძე
3. მიქელაძისა, კ-ნა ელისაბედ სარ-  
— 500 დიონის ასული
4. ქუთათელაძე, ვასილ მღვდელი
5. ლამბაშიძე, ტრიფონ
6. ჩხიკვიშვილი პოლიკ. ივანეს ძე
7. ძიძიგაური, დავით სიმონის ძე
8. წერეთელი, ნესტორ.

### ჯუმათი

1. კომია საჩინო.

უცხოეთში ეგზავნებათ:

ოქსფორდის უნივ. პროფესორს ბ-ნ მორფილს  
სტრასბურგის უნივ. პროფ. ბ-ნ შტაკელბერგს  
გრაჯის უნივ. პროფ. ბ-ნ შუპარტს  
ბრიტანიის მუზეუმს, ლონდონს  
ეროვნულ წიგნთ-საცავს, პარიზს  
საუნივერსიტეტო წიგნთ-საცავს, იენას.  
პატრს თამარაშვილს, რომს  
მონპელიეში მყოფ ქართველთ.

